ჟურნალი პატრიარქისა

1

საქართველოს საპატრიარქო

თბილისი — 1984



ჯვარი ვაზისა — შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით. IV ს.

ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო,
დაგვიცევ და დაგვიფარე ჩვენ

დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქის ი ლ ი ა II ლოცვა-კურთხევით



ᲬᲛ. ᲛᲔᲤᲔ ᲗᲐᲛᲐᲠᲘᲡ ᲢᲐᲫᲢᲖᲔ ᲐᲚᲬᲔᲠᲚᲘᲡ 800
ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲬᲘᲠᲕᲐ ᲡᲘᲝᲜᲘᲡ
ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲫᲝ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ

...და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული
სახელითა უფლისაჲთა,
მდაბალი და დაწუნებული,
მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა...

„ქებაი და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, ძველი ქართული ხელნაწერი.

სინის მთა





წმიდა ეკატერინეს მონასტერი

ლოცვა, რომელი ვთქვი მე ცოდვილმან და მდაბალმან ილია II, კათოლიკოს-პატრიარქმან სრულიად საქართველოისა, წმიდასა სინის მთასა ზედა, სადა მოსე წინასწარმეტყველმან ღმრთისაგან მიიღო ათი მცნება

მამაო ჩვენო, — დიდება შენდა!
ძეო ღმრთისაო, — დიდება შენდა!
სულო წმიდაო, — დიდება შენდა!

ყოვლადწმიდაო სამებაო, ერთარსებაო, შემოქმედო და განმგებელო ორსავ სამყაროთაო, — დიდება შენდა!

ვითარ ვსთქვა ქება მე უღირსმან და გლახაკმან შემკობად შენდა; გონება ჩემი და გული ჩემი ვერ შემძლებელ არს გამოთქმად დიდებისა შენისა. გარნა გვედრი, მიითუალე იგი, ვითარცა უმეცარი სიტყუა ყრმისა მშობლისა მიმართ. ბაგითა ჩემითა მით ცოდვილითა, ღმერთო ჩემო, შენ შეგღაღადებს ერი ჩემი შენს მიერ შეყვარებული.

უფალო ჩემო, შენ გიგალობენ სერაფიმნი და ქერუბიმნი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი, ურიცხვნი ძალნი ზეციურნი. მე რა ვთქვა, როგორ შეგასხა ქება? ან რა საქმენი გიჩვენო, ოდეს ღვაწლითა თვისითა განბრწყინდნენ წინასწარმეტყველნი, მოციქულნი, მოწამენი, მღვდელმთავარნი, ღირსნი მამანი და ყოველნი სხვანი წმიდანნი შენნი?

ვითარ სახელ გსდვა? არა უწყი. დამიდუმდა ენა ჩემი წინაშე დიდებისა შენისა. ვიცი ოდენ, რომ ჩვენთანა ხარ და არა განგვეშორები, რომ ხარ დაუსაბამო და უსასრულო სიყვარული, რომ თბილა შენთან და გარეშე შენსა არა არს ცხოვრება ჩვენი.

წმიდაო, წმიდაო, წმიდაო უფალო საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქვეყანაჲ დიდებითა შენითა! დიდებაჲ შენი, ვითარცა სიყვარული შენი, დაუტევნელი შენში, ეფინება ყოველსა ქმნულსა შენსა; და ჩვენც მდაბალნი ზიარებულნი მადლსა შენისა დიდებისასა ვმაღლდებით უფალო, ვიწმიდებით, მამაო ჩვენო.

მსგავსად წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა, მე, ცოდვილი მონა შენი, ილია II, ყოველთა ქართველთა სახელით ვხმობ: „დ ი დ ე ბ ა შ ე ნ დ ა ყ ო ვ ლ ი ს ა თ ვ ი ს“, გადიდებ შენ, რომელი ყოველგან ხარ, რომელი ხარ ჩვენთან და რომლისა წიაღშიც ვართ ჩვენ. გადიდებ შენ, რომელმან სავანედ თვისსა აღირჩიე გული ჩვენი და მუნითგან გვსწავლი და გვწურთნი, ვითარცა ასწავებდი მოსეს და ელიას ქორების წმიდასა მთასა ზედა.

გადიდებთ შენ და გმადლობთ შენ, მოწყალეო, რამეთუ გვქმენ მსგავსად შენდა, რამეთუ მოგვანიჭე ენა ქართული და რწმენა ჭეშმარიტი, სიყვარული ღმრთისა და სიყვარული მოყვასისა, მოგვფინენ ნათელი გონებისა და ჭეშმარიტებაჲ მეცნიერებისა:

გარნა რაჲ არს ჭეშმარიტი? ადამის მოდგმა დასაბამიდან ეძიებდა მას. ერნი მრავალნი ჩვენზედ ძლიერნი მოსწყდნენ და აღიხო-

ცნენ პირისაგან მიწისა მის ძიებაში. ჩვენზედ მოიღე მოწყალება სახიერო და გამოგვიცხადე თავი თვისი. და ოდეს კაცობრიობას მოუვლინე ძე შენი საყვარელი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, შენის კურთხევით, შენის წყალობით ერმა ჩემმა ისმინა მისი, შეისისხლხორცა მცნებანი მისნი შენგნით ბოძებულნი, სიყვარულით იტვირთა უღელი მისი ტკბილი და ტვირთი მისი სუბუქი. ამისთვის გმადლობთ შენ. გმადლობთ შენ, რამეთუ მოძღვრავდი და მოძღვრავ ხალხსა ჩემსა, ატარებ რა მას გზითა მით შენითა იწროითა, ვითარცა ატარებდი ერსა ისრაელისასა უდაბნოთა შინა.

გმადლობთ მამაო უფალო, რამეთუ გვრწამს და აღვიარებთ, სულსა წმიდასა შენგნით გამომავალსა, სულსა, რომელი ყოველგან არს და ყოველსავე აღავსებს მადლითა შენითა; რომელი არს უძლურთა მკურნალი, დაცემულთა საყრდენი, ნაკლულევანთა სრულმყოფელი. გმადლობთ შენ, წმიდაო სამებაო, აღმავსებელო ჩვენო ძალითა შენითაო.

და კვალად გმადლობ შენ, ღმერთო ჩემო, იმ მრავალთა წყალობათათვის, რომელი გარდამოავლინე თავსა ზედა ჩემსა, რომე დამადგინე მოძღვრად ერისა შენისა ივერიისა. ხოლო დღეს მონა შენი ცოდვილი ღირს მყავ ხილვად წმიდისა მთისა ამისა და თაყვანისცემად დიდისა სიწმიდისა მისისა.

„ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდით და ჰპოვოთ, ირეკდით და განგეღოს თქვენ“, — ბრძანებს მაცხოვარი და იტყვის ესე: „რასაცა ითხოვდით მამისაგან სახელითა ჩემითა, გეყოს თქვენ“. მამაო სახიერო, გევედრები სახელითა ძისა შენისათა, ნუ განეშორები ერსა ჩვენსა, შეცოდებათა გამო ჩვენთა; მოგვიძიენ ვითარცა მამაჲ მოიძიებს ძესა თვისსა წარწყმედულსა; შეგვინდევ ურწმუნოებაჲ, გულფიცხობაჲ, ამპარტავნებაჲ, შური და ვერცხლისმოყვარებაჲ; გეაჯებით, აღხოცენ ცოდვანი ჩვენნი და განკურნენ სულნი ჩვენნი ვნებულნი. **მოგვმადლე სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი, სიყვარული უძლეველი, ძალი წყლისა და ძლიერებაჲ ცეცხლისა, აღვგვავსე მადლითა ყოვლადწმიდისა სამებისა;** სარწმუნოებასა და სიყვარულსა შინა შენსა, განამტკიცე მთავრობა ჩვენი; გვაკურთხე მშვიდობითა, უფალო, მოგვფინე სული სიწმიდისაჲ, თავმდაბლობისაჲ და მოთმინებისაჲ.

განამრავლენ შვილნი და შვილთა შვილნი ჩვენნი, გული წმიდაჲ დაბადე მათ შორის, სული წრფელი განუახლე გვამსა მათ შინა.

აკურთხე გვირგვინი ქორწინებულთა და სიყვარულითა განამტკიცე კავშირი მათი; ცოდვანი სიჭაბუკისა და უმეცრებისანი შეუნდევ და ნათელ ჰყავ მომავალი მათი.

სრულასაკოვანთა მიმადლე გული ბრძენი და მოწყალე, გონება საღი, რათა გიცნან შენ და აღასრულონ ნებაჲ შენი.

მხცოვანთა წელნი აკურთხენ სიმშვიდითა. განამრავლენ მოდგმა მათი; ცხოვრება მათი სათნო ჰყავ, რათა უშფოთველად შეერთონ საუკუნეთა.

გევედრები უფალო, განუნათლე გონება მეცნიერთა, მწერალთა და ხელოვანთა ჩვენთა. დალოცე საქმე მათი, რათა იქმნას ნაღვაწი მათი საკეთილოდ ქვეყნისა, რათა შრომითა თვისითა გემსახურონ შენ, ემსახურონ ერსა შენსა ივერიისასა.

დალოცე ჩვენი მშრომელი ხალხი, ყოველი მაშვრალი და ტვირთმძიმე. ჩვენთა დიდთა წინაპართა რწმენა, სიყვარული და სიწმიდე მიანიჭე მათ.

ღმერთო, განამტკიცე და განაძლიერე, ჩვენი წმიდა სამოციქულო ეკლესია და მღვდელმსახურნი მისნი, ყვენ იგინი ნათელ ერი-

სა, აღადგინე ტაძარნი და მონასტერნი ჩვენნი და შეგვკრიბე საფარველსა ქუეშე შენსა.

გარნა რა გთხოვო, უფალო, მათთვის, რომელნი უარგყოფენ შენ, რომელნი ვლენან გზასა ცთომილთასა? გეაჯები, შეიწყალენ იგინი, მოაქციე და მრევლსა შენსა შეუერთე; „რათა იყოს ერთ სამწყსო და ერთ მწყემს!“.

მერმეცა გევედრები ღმერთო, რათა მოიხსენო სასუფეველსა შენსა სულნი ქართველთა მოღვაწეთა სინის მთისათა; გევედრები, რათა მოიხსენო მეფენი და დედოფალნი ჩვენნი, მამამთავარნი, კათოლიკოს-პატრიარქნი, სამღვდელო და სამონოზვნო წესით აღსრულებულნი, პატიოსანი შრომით დაღლილნი, აღმშენებელნი ტაძართა და მონასტერთა, ბრძოლის ველზე მოწყვეტილნი და ყოველნი შვილნი შენნი ქართველნი. დალოცე სავანენი ზეციურისა საქართველოჲსა, შეუნდე შეცოდებულთა და იხსენ ტანჯვისაგან, მოჰფინე მათ ნათელი შენი და სიყვარული შენი.

მუხლმოდრეკილი აღვავლენ ლოცვებს, უფალო, მშვიდობისათვის სოფლისა, რათა სუფევდეს ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება: მამაო წმიდაო, გეაჯები, შეისმინე ლოცვისა ჩემისაჲ და დაგვიფარენ ჩვენ!

დასაბამო და მიზეზო ყოვლისაო, არსთაგანმრიგეო, სავსე დიდითა წყალობითა შენითა კვალად ვხმობ: „დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა! დიდება შენდა შემოქმედო ჩვენო, მწყალობელო ჩვენო, დიდება შენდა! დიდება შენდა ღმერთო ერისა ჩვენისაო, რომელმან დასწერე სახელნი ჩვენნი წიგნსა მას ცხოვრებისა კრავისასა!

„მე ვარ ანი და ჰოჲ, იტყვის უფალი ღმერთი, რომელი არს და, რომელი იყო და, რომელი მომავალ არს, ყოვლისა მპყრობელი“ (გამოცხადება 1, 8) მოვედ ჩვენთანა, უფალო, და გვაცხოვნენ ჩვენ ღმერთო ჩვენო, ამინ!

მშვიდობა ყოველთა



ვიყუარებოდეთ ერთიერთას

საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ეგვიპტეში

ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპისა და პატრიარქის, უნეტარეს ნიკოლოზ VI მიწვევით, 1984 წლის 5—17 (18—30) მაისს, ეგვიპტეში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, ილია II და მისი თანმხლები პირები: ურბნელი მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე), პროტოდიაკონი ხვთისო შალიკაშვილი და საპატრიარქოს საგარეო განყოფილების მდივანი ბორის გაგუა.

5 (18) მაისს, ქაიროს აეროპორტში დელეგაციას დახვდნენ: ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი, უნეტარესი ნიკოლოზ VI, ბაბილონის ეპისკოპოსი პეტროსი, ტამიეტის ეპისკოპოსი ტიტოსი, ალექსანდრიის პატრიარქის პირადი მდივანი გეორგიუს პიტიდისი, საპატრიარქოს წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირნი. დელეგაციას, ასევე დახვდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის წარმომადგენელი ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის საპატრიარქოში, დეკანოზი დიმიტრი ნეცვეტაევი, რომელიც ეგვიპტეში ვიზიტის მთელი დროის განმავლობაში თარჯიმნობას უწევდა და თან ახლდა საქართველოს ეკლესიის დელეგაციას.

დამხვდურთა შორის იყვნენ, აგრეთვე, სსრ კავშირის საქმეთა დროებითი რწმუნებული ეგვიპტეში ედმუნდ შახნაზარიანი და საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული ნიკოლაი კომისაროვი.

იმავე დღეს დილით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI და მათი თანმხლები პირნი ალექსანდრიაში გაემგზავრნენ.

ალექსანდრიაში ჩასვლისას, სასტუმრო „მეტროპოლთან“ სტუმრებს შეხვდნენ: ალექსანდრიაში ბერძენთა სათვისტომოს თავმჯდომარე ბატონი პანაიოტის სულოსი, საბერძნეთის გენერალური კონსული ბატონი იოანე ზეპპოსი, გენერალური კონსულის მოადგილე ქალბატონი ანა პასარი და საბერძნეთის სათვისტომოს წარმომადგენლები.

ბატონმა პანაიოტის სულოსმა სტუმრებისა და დამსწრე ოფიციალურ პირთა პატივსაცემად გამართა სადილი. საღამოს, ალექსანდრიის საპატრიარქო ტაძარში, მისმა უნეტარესობამ ნიკოლოზ VI და მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ილია II გადაიხადეს დოქსოლოგია — მცირე პარაკლისი, რის შემდგომაც პატრიარქმა სტუმრები თავის რეზიდენციაში მიიღო. რეზიდენცია საპატრიარქო ტაძრის ეზოშია. იგი დიდებული შენობაა. აქ თავდაპირველად ბერძენ ქალთა და ვაჟთა სასწავლებელი ყოფილა. ამ დროს, ეგვიპტეში 200 ათასზე მეტი ბერძენი ცხოვრობდა, მაგრამ მალე ბევრი სამშობლოში დაბრუნდა, სასწავლებელი დაიხურა და მის შენობაში საპატრიარქო მოთავსდა. დღეს-დღეობით ალექსანდრიაში ცხოვრობს სამი ათასამდე ბერძენი, ხოლო მთელ ეგვიპტეში 7 ათასამდე. მიღების შემდეგ სტუმრები მასპინძლის თანხლებით ალექსანდრიის სანაპიროს დასათვალიერებლად გაემგზავრნენ.

მეორე დღეს, საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ დაათვალიერა ალექსანდრიის საპატრიარქოს ბიბლიოთეკა და მუზეუმი, რომელიც დაარსებულია 982 წელს. ბიბლიოთეკაში 40 ათასზე მეტი წიგნი და ხელნაწერი ინახება. აქ დაცულია მღვდელმთავართა ძველი შესამოსლები, მიტრები, ბარძიმები, შანდლები, ხატები და სხვა საეკლესიო ნივთები.

შემდეგ დელეგაცია გაემგზავრა წმ. საბას სახელობის მონასტერში (წინამძღვარი მიტროპოლიტი სიმეონი). იგი აშენებულია IV საუკუნეში, იმ ადგილას, სადაც ქრისტეს დაბადებამდე იდგა აპოლონის ტაძარი, აგებული ალექსანდრე დიდის გენერლის პტოლომეუს ლაგუსის მიერ (შემდგომ პტოლომე I, ეგვიპტის იმპერატორად წოდებული). მომდევნო საუკუნეებში იგი თანდათან გაიზარდა. დღეს კი მონასტერი სხვადასხვა შენობათა დიდ კომპლექსს წარმოადგენს, რომელთაგან ყველაზე ბოლოს, ალექსანდრიის ახლანდელი პატრიარქის — ნიკოლოზ VI დროს აშენდა ფილოსოფიის სკოლა და საავადმყოფოს შენობა.

მონასტერში დაცულია ბევრი სიწმიდე და მათ შორის ქვა, რომელზედაც წმ. ეკატერინე აწამეს და თავი მოკვეთეს. მუზეუმში ინახება ალექსანდრე დიდის დროინდელი ბერძნული და რომაული კერამიკა, მცირე ზომის ქანდაკებები და მონეტები, რომლებიც მის ტერიტორიაზე გათხრების დროს იპოვეს.

მონასტრის დათვალიერების შემდეგ სტუმრები მიძინების სახელობის მართლმადიდებელ ეკლესიას ეწვივნენ, სადაც მღვდელმსახურება არაბულ ენაზე სრულდება.

დღის 1 საათზე, მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II და მისი თანმხლები პირები ალექსანდრიის გუბერნატორმა გენერალ ფაუზი მაზმა მიიღო თავის რეზიდენციაში. — „...მე თქვენს მობრძანებას ვთვლი, როგორც ღვთის დიდ ლოცვა-კურთხევას“ — თქვა მან. საპასუხო სიტყვაში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დიდი მადლობა გადაუხადა გუბერნატორს მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის და აღნიშნა ის ისტორიული ურთიერთობა, რომელიც ალექსანდრიასა და საქართველოს შორის იყო. „ეს ურთიერთობა კვლავაც გრძელება და იმედი გვაქვს მომავალში უფრო მეტად განმტკიცდება“-ო. პატრიარქმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცა გუბერნატორს და მადლობა გადაუხადა ალექსანდრიის საპატიო მოქალაქის მედლისათვის, რომლითაც გუბერნატორმა დაჯილდოვა იგი. მიღებას ესწრებოდნენ: ალექსანდრიის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI, ალექსანდრიის გუბერნატორის მოადგილე, გენერალი გალალ ჰამდი, ალექსანდრიის პატრიარქის მდივანი გეორგიუს პიტიდისი და სხვა ოფიციალური პირნი.

მიღების შემდეგ, ალექსანდრიის ბერძენთა სათვისტომოს თავმჯდომარემ, ბატ. პანაიოტის სულოსმა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მოაწყო სადილი ბერძნულ რესტორან „აბუკიო“-ში.

7 (20) მაისს, კვირას, ალექსანდრიის პაპმა და პატრიარქმა ნიკოლოზ VI და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ერთობლივი წირვა აღასრულეს ალექსანდრიის საპატრიარქო ტაძარში. წირვის დასრულების შემდეგ ორმა პატრიარქ-

საქართველოს დიდება. ხაბინინის გამოცემით.

ალექსანდრია. მისი უწმიდესობა და უნეტარესობა
ი ლ ი ა II და უნეტარესი პაპი და
პატრიარქი ნ ი კ ო ლ ო ზ VI.

მა ოფიციალური სიტყვით მიმართა ერთმანეთს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სამახსოვრო საჩუქარი გადასცა მის უნეტარესობა ნიკოლოზ VI. წირვაში მონაწილეობა მიიღეს მიტროპოლიტმა კონსტანტინემ და პროტოდიაკონმა ხვთისო შალიკაშვილმა. საპატრიარქო ტაძარში წირვას ესწრებოდა ალექსანდრიის გუბერნატორის მოადგილე, გენერალი გალალ ჰამდი და სხვა ოფიციალური პირები.

წირვის დასრულების შემდეგ პატრიარქის რეზიდენციაში გაიმართა მიღება და ოფიციალური სადილი სასტუმრო „მეტროპოლში", რომელსაც ესწრებოდნენ: ალექსანდრიის გუბერნატორის მოადგილე, გენერალი გალალ ჰამდი, საბერძნეთის ვიცეკონსული ანნა ჰასარი, საბერძნეთის სათვისტომოს თავმჯდომარე პანაიოტის სულოსი, სირიის სათვისტომოს თავმჯდომარე ანტუან სუკერი, ეგვიპტეში სსრ კავშირის ვაჭრობის წარმომადგენლობის წარმომადგენლის მოადგილე ვილენ ბონდარევი, ალექსანდრიის საპატრიარქოს წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირნი. სადილზე ოფიციალური სიტყვა წარმოთქვა ალექსანდრიის ბერძენთა სათვისტომოს თავმჯდომარემ, ბატ. პანაიოტის სულოსმა, რომელმაც ფართოდ გააშუქა ის მეგობრული ტრადიციები, რომლებიც ბერძნებსა და ქართველებს შორის არსებობდა საუკუნეების განმავლობაში. მან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ორი ქვეყნისა და ერის ურთიერთობის უფრო მეტად გაღრმავებისათვის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამ ვიზიტს.

შემდგომ სიტყვა წარმოთქვა ალექსანდრიის პატრიარქმა. სიტყვის ბოლოს მან გამოთქვა რწმენა, რომ მეგობრული ურთიერთობა საქართველოსა და ალექსანდრიის ეკლესიათა შორის აუცილებლად გაღრმავდება და განმტკიცდება მომავალში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა გულთბილი მადლობა გადაუხადა ყველა დამსწრეს სტუმართმოყვარეობისათვის და თქვა: „...ჩვენს შორის მეგობრული ურთიერთობა დაიწყო ჯერ კიდევ პირველი საუკუნეებიდან, მაგრამ განსაკუთრებით განმტკიცდა თქვენი პატრიარქობის წლებში. თქვენ, თქვენო უნეტარესობავ, ეკუთვნით არა მარტო ალექსანდრიის ეკლესიას, არამედ მთელ მსოფლიოს, რადგან ასრულებთ მოციქულებრივ მოღვაწეობას მსოფლიოს ერთა დაახლოების დიდ საქმეში". უწმიდესმა ილია II მადლობა გადაუხადა ეგვიპტის მთავრობას იმის გამო, რომ მას მიეცა საშუალება ამ უძველესი კულტურის კერთხეულ მიწაზე ჩამოსულიყო.

საღამოს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის წარმომადგენლის დეკანოზ დიმიტრი ნეცვეტაევის მიწვევით, უნეტარეს ნიკოლოზ VI ერთად, რუსულ, ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიას ეწვია.

8 (21) მაისს, ორი პატრიარქი და მათი თანმხლები პირნი ქაიროში გაემგზავრნენ.

საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ დაათვალიერა ქაიროს ეროვნული მუზეუმი, სადაც ფარაონთა ხანის ცივილიზაციის ფასდაუდებელი ნიმუშები ინახება და მათ შორის, ტუტანჰამონის საქვეყნოდ განთქმული სამარხი განძი; მუზეუმში ფართოდ არის წარმოდგენილი ეგვიპტის მთელი ცივილიზაციის განვითარებადი საფეხურები. თავისი კოლექციით იგი უნიკალურია მსოფლიოში.

დელეგაციამ დაათვალიერა მოჰამედ ალის მეჩეთი, რომელიც კონსტანტინეპოლის წმ. სოფიის ტაძრის ასლს წარმოადგენს. ტაძარს სამივე მხრიდან „ელ გავჰარას" სასახლე ეკვრის („ძვირფასეულობათა" სასახლე).

მეჩეთი და სასახლე ციტადელის შიგნით იმყოფება, რომელიც 1171 წელს ააშენა ეგვიპტის ხალიფა სალადინმა. ციტადელი ქაიროს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, მას „მკვდართა ქალაქს" უწოდებენ. აქ შუა საუკუნეების ეგვიპტის მმართველთა და დიდებულთა საფლავები და მავზოლეუმებია. ამ ადგილას მამელუკთა მრავალი საფლავია, რომელთა შორის, შესაძლოა ქართველებიც განისვენებენ.

9 (22) მაისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI მათი თანმხლები პირებით საბჭოთა კავშირის საელჩოს რეზიდენციაში მიიღო სსრ კავშირის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ეგვიპტეში ბატ. ედმუნდ შაჰნაზარიანმა.

მიღების შემდეგ საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ დაათვალიერა გიზას ცნობილი პირამიდები, სფინქსი და წმ. გიორგის სახელობის მონასტერი, სადაც ალექსანდრიის პატრიარქთა საფლავებია. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მონასტრის სიძველეთა ფონდიდან საჩუქრად გადასცეს წმ. გიორგის ხატი. ეს არის ის ადგილი, სადაც იმპერატორმა დიოკლეტიანემ აწამა წმიდა გიორგი.

იმავე დღეს დელეგაცია ეწვია 40 სებასტიელი მოწამის სახელობის ეკლესიას (II ს.), ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს და დაათვალიერა ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობანი.

10 (23) მაისს, სასტუმრო „რამზეს ჰილტონში" საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პატივსაცემად გაიმართა ოფიციალური სადილი.

მის უწმიდესობას სიტყვით მიმართა პატრიარქმა ნიკოლოზ VI. მან თქვა: **„...დიდი სიხარულით მოგესალმებით თქვენო უნეტარესობავ, ბატონო ილია, იმ დიდი სიხარულით, რომელიც თქვენმა აქ მობრძანებამ მოგვგვარა ჩვენ. დამოკიდებულება, რომელიც არსებობს ჩვენს ეკლესიებს შორის, უფლებას გვაძლევს ბევრი ვთქვათ და ვილაპარაკოთ. მე პირადად რამდენჯერმე ვესტუმრე თქვენს ეკლესიას და ვიგრძენი, თუ რა ერთგულია ქართველი ერი მართლმადიდებლობისა... თქვენი ვიზიტი ძალას გვმატებს და იმედს გვიმტკიცებს, რომ კვლავაც გაგრძელდება ის ძმური ურთიერთობა ჩვენს ორ ეკლესიას შორის, რომელსაც უკვე მრავალი საუკუნის ისტორია აქვს".**

საღამოს ორი პატრიარქი და მათი თანმხლები პირები ეწვივნენ წმ. კონსტანტინეს სახელობის ეკლესიას. იგი აშენებულია 1914 წელს. ტაძარს აქვს სამი ტრაპეზი: წმ. კონსტანტინესა და ელენეს, მოწამე ნესტორისა და წმ. ალექსანდრეს სახელზე. 1938 წელს, მისი უნეტარესობა ნიკოლოზ VI ამ ეკლესიაში დიაკვნად მსახურებდა.

გარეთ, ტაძრის კედელზე დამაგრებულია მემორიალური დაფა, რომელზედაც ამოჭრილია ბერძენთა სახელები, ვინც მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა. 40-იან წლებში, როდესაც ნაცისტურმა გერმანიამ დაიპყრო საბერძნეთი, ბერძნული არმია რეფორმირებულ იქნა და ეგვიპტეში მცხოვრებ ბერძენთა საერთო მობილიზაცია მოხდა. ათასობით ბერძენი დაიღუპა ელ. ალამეინსა და დასავლეთ უდაბნოში, სადაც ბრძოლები მიმდინარეობდა. მათგან, ვისი სახელიც მემორიალურ დაფაზე იყო ამოკვეთილი, ბევრი ალექსანდრიის პატრიარქის მდივნის, ბატ. გეორგიუს პიტიდისის, მაშინ ლეიტენანტ პიტიდისის, მეგობარი იყო, რომელთა გვერდით ისიც იბრძოდა ნაცისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

დღევანდელ ბერძენთა სათვისტომოს ისტორია ეგვიპტეში იწყება მოჰამედ ალის მმართველობის წლებიდან, რომელიც მაკედონიიდან იყო წარმოშობით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი იწყება ბერძენთა ემიგრაცია ეგვიპტიდან. 1952 წლიდან ეგვიპტეში დაბადებულ ბერძნებს არა აქვთ მოქალაქეობრივი სტატუსი, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მათი რიცხვის შემცირება.

მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა დამიანეს, სინის, ფარანისა და საითის მთავარეპისკოპოსის მიწვევით, 12 (24) მაისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II და მისი თანმხლები პირნი სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში გაემგზავრნენ.

სინის ცენტრალური ნაწილი გრანიტის მთებისაგან შემდგარი დიდი პლატოა, საიდანაც ცას ებჯინება მოსეს (ბიბლიაში ქორების მთა), ეკატერინეს, სერბალისა და უმ შუმარის მწვერვალები და მაღალი ქედები. ესაა ადგილი, სადაც იზრაელნი 33 საუკუნის წინ ცხოვრობდნენ.

სინის სანაპირო ქალაქების გარდა, ამ უკაცრიელ და პირველმყოფადი სილამაზის ნახევარკუნძულზე აქა-იქ ცხოვრობენ ბედუინები, რომლებიც ძირითადად, მომთაბარე ცხოვრებასა და მესაქონლეობას მისდევენ და წმ. ეკატერინეს მონასტრის ბერები. სინის სახელწოდება მოდის მთავარის ქალღმერთის სახელისაგან „სინ", რო-

მელსაც თაყვანს სცემდნენ უძველეს დროში სინის უდაბნოთა მცხოვრებნი. სინის ნახევარკუნძული მოწამეა სხვა ღმერთების თაყვანისცემისაც. მათ შორის, ელ-ელიონის (უმაღლესი ღვთაებისა), რომლის მქადაგებელი მადიანის მღვდელი იოათამი იყო. მას ჰყავდა 7 ქალიშვილი. ერთი მათგანი, ეგვიპტიდან გაქცევის შემდეგ, მოსემ შეირთო ცოლად. აქ გაატარა მოსემ ორმოცი წელი და აქ გამოეცხადა ღმერთი შეუწველი მაყლის სასწაულის სახით. უბრძანა მას, დაბრუნებულიყო ეგვიპტეში და მიეყვანა იზრაელის ძენი ქორების მთასთან, რათა თაყვანი ეცათ მისთვის. 50 დღის შემდეგ მათ მიაღწიეს ქორების მთას და მიიღეს სჯული ღმრთისა — 10 მცნება. II საუკუნიდან დაწყებული, ქრისტიანი ბერები სახლდებოდნენ ქორების მთის მისადგომებზე, ფარანისა და საითის ოაზისებში.

ორ პატრიარქსა და მათ თანმხლებ პირებს ფარანში დახვდა მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა დამიანე — სინის, ფარანისა და საითის მთავარეპისკოპოსი. ფარანის ტაძარში აღვლენილი ლოცვის შემდეგ დელეგაცია წმ. ეკატერინეს მონასტერში გაემგზავრა. მონასტრის ეკლესიაში ორმა პატრიარქმა და მთავარეპისკოპოსმა ერთობლივი ლოცვა ჩაატარეს.

12 (25) მაისს, დილის 5 საათზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II, პროტოდიაკონი ხვთისო შალიკაშვილი და საპატრიარქოს საგარეო განყოფილების მდივანი ბორის გაგუა, წმ. ეკატერინეს მონასტრის ორი ბერის — მამა პავლესა და მამა ილიას თანხლებით წმ. სამების ეკლესიის ძნელ აღმართს აუყვნენ, რომელიც წმ. მოსეს (ქორების) მთის მწვერვალზე მდებარეობს. წმ. ეკატერინეს მონასტრიდან გზა ციცაბოდ კლდეებში 2300 მეტრის სიმაღლეზე ადის. წმ. მოსეს მთა, ანროგორც მას ეძახიან, „წმიდა მწვერვალი", მონასტრის სამხრეთით მდებარეობს. იმპერატორმა იუსტინიანემ ამ მთის მწვერვალზე აღაშენა ეკლესია, რომელიც მიწისძვრის შედეგად დაინგრა. 1934 წელს ძველი ეკლესიის ნანგრევებზე აშენებულ იქნა ახალი ეკლესია. მონასტრიდან მთის მწვერვალისკენ არსებობს ორი ასასვლელი. ერთი წარმოადგენს კლდეში გამოკვეთილ 4 ათასამდე საფეხურს, აშენებულს ბერების მიერ VI საუკუნეში. ეს უფრო მოკლე, მაგრამ ამავე დროს, უფრო ძნელად ასასვლელი გზაა; მეორე, აშენებულია ეგვიპტის მთავრობის მიერ IX საუკუნეში, უფრო გრძელი, მაგრამ ნაკლებ სახიფათოა. ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე ეს გზა საფეხურებს უერთდება. მისი უწმიდესობა ილია II ფეხშიშველი ავიდა მთის მწვერვალზე, თუმცა, ეს არც ისე იოლი იყო. მწვერვალიდან იშლება შესანიშნავი, სულწარმტაცი პლატოს ხედი, ცაში ასვეტილი მწვერვალებით.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეკლესიაში ჩვენი ერის პარაკლისი გადაიხადა. უკან საფეხურებით დაბრუნდნენ. საფეხურებზე იმპერატორ იუსტინიანეს მიერ აშენებული ორი თაღოვანი კარიბჭეა. მისმა უწმიდესობამ ისევ ფეხშიშველა ჩამოათავა ეს კიბეები წმ. ილია წინასწარმეტყველის ეკლესიამდე, რომელიც თითქმის შუა გზაზე მდებარეობს. ეკლესიაში პატრიარქმა ისევ ერის ლოცვა აღავლინა (როგორც ისტორიული წყაროებიდან ვიცით, წმ. ილიას ეკლესია ქართველებს აუშენებიათ).

საღამოთი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს მონასტრის ფერისცვალების სახელობის ეკლესია, აშენებული 540-იან წლებში ბერძენ არქიტექტორ სტეფანოზ აილისიოსის მიერ. ეკლესია ბაზილიკის ფორმისაა.

მონასტრის კარებზე იკითხება ბერძნული წარწერა:

„ესე არს ბჭეჲ უფლისაჲ, და მართალნი შევლენან მას შინა"

(ფსალმუნი. 117:20).

მონასტერში ინახება 2 ათასზე მეტი ფასდაუდებელი ხატი. მათგან 12, ყველაზე ძველი და იშვიათი, განეკუთვნება VI საუკუნეს და შესრულებულია ენკაუსტიკის ტექნიკით. ხატების დიდი რაოდენობა ადრე ბიზანტიური პერიოდისაა (VI—X საუკუნეები) და შესრულებულია ბერძნული, ქართული, სირიული და კოპტური სტილით. მონასტერში დაცული ხატების უმრავლესობა კი მიეკუთვნება XI—XII საუკუნეებს. დასავლეთ ევროპის ხატები ძალიან ცოტაა; მათგან აღსანიშნავია წმ. ეკატერინეს გოთური სტილით შესრულებული ესპანური ხატი, დათარიღებული 1387 წლით.

13 (26) მაისს, საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ დაათვალიერა წმ. ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკა, რომელიც ვატიკანის ბიბლიოთეკის შემდეგ მეორეა მსოფლიოში მასში დაცული ხელნაწერების რაოდენობითა და ფასეულობით. 3 ათასზე მეტი ხელნაწერიდან უმრავლესობა არის ბერძნული, ხოლო დანარჩენი — არაბული, ქართული, სომხური, სლავური, კოპტური და ეთიოპური. ხელნაწერთა უმრავლესობა საეკლესიო ხასიათისაა, მაგრამ მათ შორის არის ბევრი ისტორიული დოკუმენტი იმპერატორების, პატრიარქების, ეპისკოპოსებისა და თურქ სულთანთა ოქროსა და ტყვიის ბეჭდებით დაბეჭდილი.

ბიბლიოთეკის ყველაზე ძვირფასი ხელნაწერია V საუკუნის „სირიული კოდექსი" და ბიზანტიის იმპერატორის თეოდოსიუს III მიერ ნაბოძები ბერძნული სახარება, დათარიღებული 717 წლით. დელეგაციამ დაათვალიერა 978 წლით დათარიღებული ქართული ხელნაწერი პარაკლიტონი და „ცხოვრებაჲ და განგებაჲ წმ. მამისა ჩუენისა სვიმეონისაჲ" — დაწერილი ასომთავრულით და XIII საუკუნის პერგამენტის გრაგნილი, რომელზედაც ნუსხა-ხუცურით აღბეჭდილია ბასილი დიდის წირვა. 1956 წელს ფრანგმა პროფესორმა ჟერარ გარიტმა გამოსცა აქ არსებულ ქართულ ხელნაწერთა კატალოგი (97 ქართული ხელნაწერი).

1971 წელს მონასტერში მომხდარი ხანძრისგან ოთხი წლის შემდეგ იპოვეს კიდევ 100-მდე ახალი ხელნაწერი, ცალკეული ფურცლების სახით. მათ შორის, 12 ფურცელი „სინის კოდექსისა", რომლის მთავარი ტექსტი ბრიტანეთის მუზეუმშია. ახლად აღმოჩენილი ხელნაწერები არის ბერძნული, არაბული, სირიული, ქართული და სლავური წარმოშობისა. დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ჯერ კიდევ უცნობი, ახლად აღმოჩენილი ქართული ხელნაწერები.

კვირას, 14 (27) მაისს, წმ. ეკატერინეს ფერისცვალების ეკლესიაში შესდგა ერთობლივი წირვა, რომელიც მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობა დამიანემ და მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ილია II ჩაატარეს. წირვაში მონაწილეობა მიიღეს არქიმანდრიტმა პორფირემ, მიტროპოლიტმა კონსტანტინემ, ეპისკოპოსმა ტიტოსმა, დეკანოზმა დიმიტრი ნეცვეტაევმა, პროტოდიაკონმა ხვთისო შალიკაშვილმა და მონასტრის სამღვდელოებამ. წირვა ძირითადად ქართულ ენაზე მიდიოდა. წირვის დამთავრების შემდეგ სინის მთავარეპისკოპოსმა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

შეხვედრას მთელი მონასტრის ძმობა ესწრებოდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მათ დიდი მადლობა გადაუხადა ჭეშმარიტმოყვარეობისათვის და მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა დამიანე და მონასტრის ძმობა მოიპატიჟა საქართველოში.

15 (28) მაისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი მათი თანმხლები პირებით ქაიროში დაბრუნდნენ.

16 (29) მაისს, საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ქაიროში სინის მთის მთავარეპისკოპოსის წარმომადგენლობას ესტუმრა. წარმომადგენლობის ტაძარში არქიმანდრიტმა დიონისემ ლოცვა აღავლინა, რომლის შემდეგაც მთავარეპისკოპოსის რეზიდენციაში შესდგა მიღება. დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს წმ. მარიამის სახელობის კოპტური ეკლესია, რომლის გუმბათზეც 1968—69 წლებში მოხდა ღვთისმშობლის გამოცხადების მრავალი სასწაული.

იმავე დღეს, საბჭოთა კავშირის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ეგვიპტეში, ბატ. ედმუნდ შაჰნაზარიანმა სსრ კავშირის საელჩოს რეზიდენციაში მოაწყო სადილი უნეტარეს ილია II და მის თანმხლებ პირთა პატივსაცემად.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ბატ. ედმუნდ შაჰნაზარიანმა, მან აღნიშნა ის დიდი როლი, რომელსაც დღეს ეკლესია ასრულებს მსოფლიო მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

სიტყვა წარმოსთქვეს უნეტარესმა ილია II და უნეტარესმა ნიკოლოზ VI. სა-

დილის შემდეგ გაიმართა გულთბილი საუბარი. საღამოთი ქაიროს საბერძნეთის სათვისტომოს ვიცე-პრეზიდენტმა, ბატ. სტავროს მაკოსმა გამართა გამოსათხოვარი ვახშამი რესტორან „ელ-მაოკატამში“, ნილოსის სანაპიროზე.

17 (30) მაისს, დელეგაცია ეწვია არაბ ქრისტიანთა მართლმადიდებლურ ეკლესიას, რომელიც აშენებულია 1931 წელს მთავარანგელოზის სახელზე. ეკლესიაში წირვა-ლოცვა არაბულ ენაზე მიმდინარეობს. ქაიროს ქრისტიან არაბთა სათვისტომოს პრეზიდენტმა, ბატონმა რობერტ ჰოშნიმ მიღება გამართა სათვისტომოს საბჭოს შენობაში. შემდეგ დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ქაიროს ცნობილი ხან-ხალილის ბაზარი.

ქაიროს საეპარქიო სახლში გამართული სადილის შემდეგ, საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ქაიროს აეროპორტში გაემგზავრა. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და მისი თანმხლები პირები აეროპორტში გააცილეს: მისმა უნეტარესობამ ნიკოლოზ VI, ბაბილონის ეპისკოპოსმა პეტროსმა, ალექსანდრიის პატრიარქის მდივანმა, ბატ. გეორგიუს პიტიდისმა, დეკანოზმა ნიკოლოზ ნეცვეტაევმა, ალექსანდრიის საპატრიარქოსა და ქაიროს ბერძენთა სათვისტომოს წარმომადგენლებმა.

გამცილებელთა შორის იყო საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული, ბატ. ნიკოლაი კომისაროვი.

დასრულდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ოფიციალური ვიზიტი ალექსანდრიის ეკლესიასა და სინის მთაზე. ვიზიტმა განმტკიცა ის ძმური ურთიერთობა, რომელსაც მრავალი საუკუნის წინათ ჩაეყარა საფუძველი და ვფიქრობთ, წარუშლელი კვალი დასტოვა ხალხთა ურთიერთობის იმ დიდ საქმეში, რომელიც ასე გვესაჭიროება დღეს, მსოფლიოში მშვიდობისა და ურთიერთსიყვარულის მისაღწევად.

წმიდა ეკატერინე

ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპისა და პატრიარქის, უნეტარეს ნიკოლოზ VI მისასალმებელი სიტყვა

უწმიდესო და უნეტარესო პატრიარქო საქართველოისა, ქრისტესმიერ საყვარელო ძმაო, ბატონო ი ლ ი ა,

გამოუთქმელი სიხარულითა და ზესულიერი აღტაცებით აღვავლენთ დიდებასა და ევქარისტიას სამების მიმართ, რამეთუ ღირსგვყო, დღეს ჩვენს შორის ბრძანდებოდეს უწმიდესი და უნეტარესი, საქართველოს პატრიარქი, რომელთანაც მჭიდრო კეთილმეგობრული კავშირი დავამყარეთ საქართველოს საპატრიარქოში ჩვენი არაერთგზისი ვიზიტის დროს.

ჩვენი, მთელი აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის თავისი ღვაწლმოსილებითა და ღვთისმეტყველების სიბრძნით გამორჩეული ეკლესია მღელვარებით ემზადებოდა თქვენს უნეტარესობასთან, იმ პირველ საქართველოს პატრიარქთან შესახვედრად, რომელიც ალექსანდრიის ეკლესიას ეწვია.

ამ ძალზე დაძაბულ მდგომარეობაში, რომელიც ამჟამად მთელს ქვეყანაზე სუფევს, ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ ვიზიტების გაცვლა აუცილებელია არა მხოლოდ მორწმუნეთა კეთილგონიერების განმტკიცებისათვის, არამედ იმისათვისაც, რომ იგი ხელს შეუწყობს კაცობრიობის უდიდეს მისწრაფებას — მშვიდობას.

ჩვენ, ვითარცა პატრიარქი ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკისა, ჩვენს წმიდა სამღვდელოებასთან და მორწმუნე ხალხთან ერთად ვიღვწით, რათა დავიცვათ ქრისტიანული სულის ერთიანობა, მივმართავთ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს, რათა, როგორმე, გამონახონ საერთო ენა, ააცდინონ კაცობრიობას ყოველივე ბოროტი.

ესაა მთავარი ამოცანა, რომელიც ჩვენი ეკლესიების წინაშე დგას დღეს. აუცილებელია შენარჩუნებულ იქნას ერთიანობა. უსათუოდ უნდა იქნას გათვალისწინებული დიდი და დაუმცხრალი ძალა ქრისტიანობისა. ამის მაგალითს გვაძლევს და გვარწმუნებს ჩვენი ეკლესიის ისტორია. მან არაერთგზის გამოავლინა წარსულში შეუდარებელი ღირსება ქრისტეს სახარებისა და წინ წარუძღვა რწმენაში ათასობით მოწამეს.

თქვენი, საქართველოს ეკლესიის პატრიარქის საპატიო ვიზიტი ამ უძველეს მიწაზე საშუალებას გვაძლევს მოვიგონოთ საქართველოს ეკლესიის ვრცელი გზა პირველქრისტიანული წარსულიდან დღემდე; გზა, რომელიც სავსეა მოწამებრივი ცხოვრებით, ტანჯვით, დავრდომილებითაც, მაგრამ მარადიული აღმავლობით, სიცოცხლით,

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო საქართველოს ეკლესიაში საღმრთო მსახურების ახალი აღმავლობა. შესანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე თქვენი საპატრიარქოს წმიდა სამღვდელოების ღირსებამ, მისმა მორწმუნეობამ, მისმა უკიდეგანო ერთგულებამ უფლისმიერი წმიდა ადგილების მიმართ. სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში ის რწმენა და პატივისცემის გრძნობა, რომელსაც ქართველი მორწმუნე ხალხი წირვა-ლოცვის დროს ტაძრებში გამოხატავს. დიდად ვაფასებთ და ვადიდებთ თქვენი საპატრიარქოს და ღვთისმორწმუნე მრევლის კეთილმსახურებასა და გულმოდგინებას. გილოცავთ გულითადად, რამეთუ აგრძელებთ რა თქვენთა წინაპართა ტრადიციებს, ჭეშმარიტად ხართ დიდი საეკლესიო პიროვნება, ღირსი დაფასებისა და პატივისცემისა.

ამ წმიდა მოგონებებით ვეგებებით თქვენს უნეტარესობას ალექსანდრიის საპატრიარქოში და გარწმუნებთ, რომ შევინარჩუნებთ ჩვენს შორის არსებულ სულიერ კავშირს, მუდამ მხარში ვედგებით მართლმადიდებელი ეკლესიის უცვლელ და მარადიულ იდეებსა და ტრადიციებს.

ალექსანდრიის ეკლესია, რომელსაც მოციქულთა დროიდან და წმიდისა მოციქულისა და მახარებლის მარკოზის მოღვაწეობიდან დღემდე ამშვენებდნენ ღვთისმოსავი მამები და საღვთისმეტყველო მეცნიერების სახელგანთქმული მწერლები, ხარობს და ზეიმობს დღეს, რამეთუ სიყვარულისა და მშვიდობის ამბორს ცვლის უნეტარეს პატრიარქთან, რომელმაც დაგვაფასა და შორეული ქვეყნიდან ჩამობრძანდა.

სულიერი აღმაფრენითა და დიდი მღელვარებით გეამბორებით და ვითხოვთ ღვთის კურთხევას თქვენთვის. საქართველოში დაბრუნებულმა კი, გთხოვთ, ჩემი პატრიარქული ლოცვა-კურთხევა გადასცეთ თქვენს წმიდა სამღვდელოებასა და ღვთისმოყვარე ქრისტიანებს, თქვენს მეტად განათლებულ სამწყსოს, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში.

თარგმნა თ. მესხმა

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ი ლ ი ა II საპასუხო სიტყვა

თქვენო უნეტარესობავ, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელო, ჩვენო საყვარელო ძმაო, ბატონო ნიკოლოზ! ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ქალბატონებო და ბატონებო!

„ღმერთი მოწყალე და კაცთმოყვარეა, კეთილად განმგებელია მის მიერ შექმნილი სულებისა“ — წერს დიდი მამა ათანასე ალექსანდრიელი. გვჯერა და გვწამს, რომ უფალი განმგებელია საქართველოსა და ალექსანდრიის სამოციქულო ეკლესიებისა. მათ ხომ შემოქმედმა დააკისრა დიდი პასუხისმგებლობა — იყვნენ სულნი ჩვენი ერებისა.

ალექსანდრია და საქართველო — რა შორეულნი და ახლობელნია ისინი ერთმანეთისათვის! რა ბევრი რამაა საერთო ჩვენს ეკლესიებს შორის; საერთოა არამარტო წარსულში, არამედ აწმყოშიც; ამაზე მეტყველებს თუნდაც ასკეტიზმისაკენ ჩვენი სწრაფვა, ღრმა ფილოსოფიურ-ღვთისმეტყველური აზროვნება და სხვა. გავიხსენოთ ათანასე და კირილე ალექსანდრიელები, ორიგენი, პავლე თიბაითელი, კლიმენტი ალექსანდრიელი ეგვიპტეში; პეტრე იბერი, ევაგრე პონტოელი, იოანე პეტრიწი, ეფრემ მცირე, გიორგი და ექვთიმე მთაწმიდელები საქართველოში.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რამ განაპირობა ჩვენში რწმენისა და სულიერი აზროვნების ასეთი მაღალი კულტურა?

„თვითოეულსა კაცად-კაცადსა ჩუენსა მოცემულ არს მადლი საზომისაებრ ნიჭისა ქრისტესისა“, — ვკითხულობთ ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში (ეფ. 4., 7). „ყოველსა, რომელსა მიეცა დიდად, დიდადცა მიეღოს მისგან“, — ბრძანებს მაცხოვარი (ლუკა 12, 48). დიდი ნიჭი სულისა წმიდისა მიჰმადლა უფალმა ჩვენს ხალხებს და ამიტომაც უფრო მძიმე იყო და არის ჯვარი ჩვენი ერებისა. თითქოს საქრისტიანოს საზღვრების დარაჯად დაადგინა უფალმა ისინი, ამიტომაც არიან უმეტესად გვემულნი და ჯვარცმულნი, მაგრამ ღვთის შეწევნით კვლავაც მკვდრეთით აღმდგარნი და ამაღლებულნი.

ეგებ აღასრულეს ჩვენმა ეკლესიებმა თავისი ვალი და უკვე საჭირონი აღარ არიან ქვეყნისათვის? არა, ნუ იყოფინ! ისინი დღესაც ასრულებენ მათზე დაკისრებულ მისიას ჩვენი ერების სულიერი და მორალური წინსვლის დიდ საქმეში. ისინი მარილნია სოფლისა. „უკეთუ მარილი... განქარდეს, რაითა-მე დაამარილოს?“ (მათე 5, 13). ისინი „ნათელნია სოფლისა“ (მათე 5, 14); და განა შეიძლება წარმოვიდგინოთ სოფელი ნათლის გარეშე, სულის გარეშე?! ვიდრე არსებობს კაცობრიობა, ეკლესიის ძალა და მნიშვნელობა მუდამ აუცილებელი იქნება ქვეყნისათვის და ვერავითარი სხვა ძალა მას ვერ შთანთქავს, თვით უფალი ბრძანებს: „...აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (მათე 16, 18).

დღეს, მსოფლიო დაძაბულობის ამ პირობებში, როცა კაცობრიობას ბირთვული ომის საფრთხე ემუქრება, ქრისტიანული რწმენა, სიყვარული და სასოება ყველაზე აუცილებელი საჭიროებანია თითოეული ადამიანისათვის, ერებისა და ქვეყნებისათვის. ვინ უნდა ააღორძინოს ჩვენში ისინი, თუ არა ეკლესიამ?!

დღეს, როდესაც ტექნიკური რევოლუციის წყალობით მატერიალურად უზრუნველყოფილი პირობები შეექმნათ ადამიანებს, როდესაც თითქოს დაკმაყოფილდა მათი მისწრაფება ცხოვრების კეთილდღეობისაკენ, თავი იჩინა შინაგანმა სიცარიელემ, უკმარისობის გრძნობამ, სიცოცხლის აზრისადმი სკეპტიკურმა დამოკიდებულებამ... ვინ შეძლებს უწამლოს შეცდომილ ადამის ძეს და განკურნოს სალმობანი სულისა მისისანი, თუ არა ეკლესია, რომელი არს სხეული იესო ქრისტესი, უფლისა ჩვენისა — გზისა, ჭეშმარიტებისა და სიმართლისა.

გვწამს, უფალი შეგვაძლებინებს ჩვენზე დაკისრებული მოვალეობის აღსრულებას;

ჯერადად თქვენ, თქვენო უნეტარესობავ, ბრძანდებით

ცნობილი, როგორც არა მარტო ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი, არამედ, როგორც ქრისტიანული სამყაროს გამოჩენილი მოღვაწე, როგორც დაუღალავი მქადაგებელი რწმენისა, სიყვარულისა და მშვიდობისა. ღმერთმა დაგლოცოთ! გისურვებთ შემდგომ წარმატებებს თქვენს დიდ სულიერ მოღვაწეობაში.

საქართველოს ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ეგვიპტის მთავრობას, ასევე თქვენ, თქვენო უნეტარესობავ, რომ მოგვეცით საშუალება ვსტუმრებოდით დიდების შარავანდედით მოსილ ალექსანდრიის უძველეს ეკლესიას, ვწვეოდით იმ კურთხეულ ადგილებს, რომელთა მონახულება და თაყვანისცემა მათი სიწმიდისადმი ჭეშმარიტად დიდი სიხარულია ყოველი ქრისტიანისათვის. ჩვენში ეს გრძნობა კიდევ უფრო ძლიერდება, რადგანაც ვიმყოფებით იმ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ IV საუკუნეში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი სასულიერო პირი და ფილოსოფოსი ევაგრე პონტოელი, რომლის შესახებაც XIV საუკუნის ცნობილი ისტორიკოსი ნიკიფორე კალისტე ქსანთოპული წერდა: „ეფრემ ასურის შემდეგ ყველაზე უფრო შესანიშნავნი იყვნენ ფილოსოფიის ორივე დარგში დიდიმოს ალექსანდრიელი და ევაგრე პონტოელი“... ვიმყოფებით იმ დალოცვილ მიწაზე, სადაც ჯერ კიდევ V საუკუნეში აუშენებია ეკლესია (თებეს ნეკროპოლში) ქართველ დიდ მამას — პეტრე იბერს.

ღღეს, ალბათ, მათი წმიდა სულებიც აქ ბრძანდებიან, ამ დიდებულ ტაძარში და იზიარებენ ჩვენი ეკლესიების წარმომადგენელთა ურთიერთ შეხვედრის სიხარულს და აღავლენენ ლოცვებს ჩვენი სამწყსოს შემდგომი სულიერი ამაღლებისათვის, ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და სიყვარულისათვის.

მეც შევთხოვ უფალს, დალოცოს ჩვენი შეხვედრა, ჩვენი ერები და ეკლესიები, მოგვმადლოს მშვიდობა ადამიანებს, ხალხთა და სახელმწიფოთა შორის. დაე, გვეწეოდეს „ღმერთი და მამაჲ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, მამაჲ მოწყალებათა და ღმერთი ყოვლისა ნუგეშინის-ცემისად“ (2 კორინთელთა 1,3).

ამინ!

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II სიტყვა, წარმოთქმული სინის მთის წმიდა ეკატერინეს მონასტერში

თქვენო უნეტარესობავ, სინის, ფარანისა და საითის მთავარეპისკოპოსო, ბატონო დამიანე! თქვენო მაღალღირსებავ, მამანო და ძმანო წმიდისა ამის მონასტრისანო!

...„უფალი სინაიდ მოვიდა, და გამოგუიჩნდა ჩუენ სეირით, ისწრაფა ფარან მთათ, და მოვიდა ბევრეულთა თანა წმიდათა, კადესა, მარჯუენით მისაჲ ანგელოზნი მისნი მის თანა“ (მეორე შჯული 33,2) — ვკითხულობთ ბიბლიაში.

ამას მუდამ გრძნობდა ქართველი ადამიანი და ამიტომაც ცდილობდა მჭიდრო კავშირი ჰქონოდა ამ წმიდათა-წმიდა ადგილთან.

აქ ჯერ კიდევ VI საუკუნიდან იღვწოდნენ ჩვენი ბერები, რასაც ადასტურებს ანტონინე მარტვილის თხზულება და ადგილობრივი გადმოცემა: სინის მთის ახლოს იყო ადგილი, რომელსაც არსელაი ეწოდებოდა. იქ იმყოფებოდა და ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა ქართველი ბერი მიქაელი და მისი მოწაფე ევსტათი.

სინის მთაზე ქართველთა მოღვაწეობა განსაკუთრებით გაძლიერებულა და ქართველთა რიცხვი გამრავლებულა IX საუკუნიდან, როდესაც არაბების გამუდმებული თავდასხმებით შეწუხებულ ჩვენს წინაპრებს ნაწილობრივ დაუტოვებიათ პალესტინის სავანეები და შედარებით უშიშარი ადგილისათვის, სინის მთისათვის მიუშურებიათ.

როგორც ისტორიიდან ჩანს, უკვე X საუკუნეში აქ ქართული ეკლესიებიც ყოფილა. ქართველი მეცნიერი ა. ცაგარელი წერს, რომ სინის მთის ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძის მიხედვით, ჩვენს ბერებს აქ აუშენებიათ ეკლესიები იოანე ღვთისმეტყველისა და წმ. გიორგის სახელზე, სადაც ისინი სულიერ მოღვაწეობასთან ერთად დიდ მეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდნენ.

რუსი მოგზაურის, პ. უსპენსკის ცნობით კი ჩვენს წინაპრებს სინის მთაზე ჰქონიათ ოთხი ეკლესია: წმ. ილიას სახელობისა ქორების მთაზე, ღვთისმშობლისა — დავითისეული, იმავე მთის კალთაზე, პეტრე-პავლესი — ქორებისა და ეკატერინეს მთებს შუა და სებასტიელ მოწამეთა — ლეჯის ველზე.

როგორც ძველი წყაროებიდან ვლინდება, ქართველები, აგრეთვე, მოღვაწეობდნენ ღვთისმშობლის სახელობის „მაყლოვანის“ სავანეში (იმ ადგილას, სადაც მოსე წინასწარმეტყველმა იხილა შეუწველი მაყვალი).

სინის მთაზე ერთ-ერთი ტაძარი ქართველთა მეფეს წმ. დავით აღმაშენებელს (XI ს.) აუგია. ჩვენს მატიანეში — „ქართლის ცხოვრებაში“, ვკითხულობთ: დავითმა „მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალათასეული, და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიაო სრულებით და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა რჩეულისა“.

ჩვენს სასულიერო პირებს ჭეშმარიტად ძმური მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ ბერძენ ბერებთან; იმ დროს, როდესაც ეგვიპტელი მეომრები, მოთარეშე ბედუინები, არბევდნენ სინის მთის წმ. სავანეებს, ქართველი ბერები მხარში ედგნენ ბერძენ მამებს და მათთან ერთად იზიარებდნენ ავბედითობას.

მაგრამ მთავარი საზრუნავი მათი, სიხარული და ტკივილი, მაინც სამშობლოსთან იყო დაკავშირებული. ისინი „დღე-ყოველ ლოცულობდნენ „ქართლისა მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემიქცევისა, ტყუეთა მოქცევისა, ჟამთა დაწყნარებისა და ქრისტიანობისა დამტკიცებისათვის“. იღვწოდნენ ქართული კულტურის შემდგომი განვითარებისა და სულიერი ამაღლებისათვის, ეწეოდნენ მთარგმ-

ნელობით მუშაობას, წიგნების გადაწერას, როგორც ქართულ, ისე ბერძნულ და არაბულ ენებზე და სხვა. მეცნიერთა ცნობით, სინის მთაზე დაცულია 85 ქართული ხელნაწერი. მათ შორისაა ჩვენი უძველესი თარიღიანი და უთარიღო ხელნაწერები.

XV საუკუნიდან, როდესაც საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ-ეკონომიურად დაუძლურდა, შემცირდა ქართველთა რიცხვიც სინის მთაზე, თუმცა თითო-ოროლა მოღვაწე ჯერ კიდევ XIX საუკუნემდე მაინც ყოფილა აქ.

ის, რაც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, არის მხოლოდ ზოგიერთი ეპიზოდი სინის მთასა და საქართველოს შორის მჭიდრო ურთიერთობისა. აქედან გამომდინარე, ჩვენს ჩამოსვლას ვანიჭებთ დიდ მნიშვნელობას, რადგანაც მისი საშუალებით უნდა განახლდეს ის კავშირი, რომელიც ჩვენს შორის საუკუნეების მანძილზე არსებობდა. გამოვთქვამთ იმედს, რომ ეს კავშირი იქნება ღრმა და ორმხრივი.

დღეს განსაკუთრებით საჭიროა ურთიერთობის განმტკიცება, რადგანაც მსოფლიო და, რა თქმა უნდა, ეკლესიებიც დგანან მრავალი პრობლემის წინაშე. ეს არის ომის საშიშროება და მრავალი სხვა. დღეს ალბათ ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანი და მითუმეტეს თანამდებობის პირი ფიქრობს, თუ როგორ შეიძლება აცილებულ იქნას ომის საშიშროება. მეტად გვაღელვებს და გვაწუხებს დაძაბული ფეთქებადი მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში; ღვთის წყალობა და ადამიანის კეთილნება, ვფიქრობთ, არ დაუშვებს მსოფლიო კატასტროფას. ვიმედოვნებთ, მშვიდობიანი მოლაპარაკებით დადებითად გადაიჭრება ახლო აღმოსავლეთის საკითხი.

სინის მთა იყო და მარად დარჩება წმიდათა წმიდა ადგილად ყველა ქრისტიანისათვის. ამ გრძნობით სავსენი დღეს თაყვანს ვცემთ ამ წმიდა ადგილს და აღვავლენთ ლოცვებს ჩემი სამშობლოსათვის, თქვენი უნეტარესობისათვის, მკვიდრთათვის მთასა ამას შინა და ყოველთა განსვენებულთათვის ტაძართა ამათ შინა.

„უფალი მათ შორის სინასა, მთასა წმიდასა მისსა, უფალო ღმერთო კურთხეულ, კურთხეულ არს ღმერთი დღითი-დღე. წარგვიმართოს ჩუენ ღმერთმან მაცხოვარებისა ჩუენისამან“ (ფს. 67, 17, 19). ამინ!

მოგზაურობის შთაბეჭდილებანი

მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე)

ჯერ გათენებული არც იყო, თვითმფრინავი ქაიროს აეროდრომზე რომ დაეშვა.

ცოტაოდენი მოსვენებისა და საუზმის შემდეგ გავემგზავრეთ ალექსანდრიისაკენ. გზა, რომლითაც ჩვენ მივემართებოდით, ეგვიპტის ჭალაკებზე გადიოდა, რომელსაც მდინარე ნილოსი ქმნის თავის დელტაში. უძველესი დროიდან მას მოაქვს ნოყიერი შლამი გაზაფხულობით და სტოვებს თავის სანაპირო მინდვრებზე.

მხოლოდ აქაა შესაძლებელი სასურველი კულტურების მოყვანა და ხეირიანი მოსავლის მიღება. დანარჩენი მხარე წარმოადგენს უმეტესწილად უდაბნოს, ან ნახევარუდაბნოს. გზადაგზა გვხვდებოდა კარგად მოვლილი პურის ყანები. მკა უკვე დაწყებული იყო და შეკრული ძნები მიწაზე ელაგა. ძნებს აქ ბუნელებად არ დგამენ, აწყობენ ერთად, ვინაიდან წვიმებისა და სეტყვისა არ ეშინიათ. წვიმები აქ საერთოდ ძალიან იშვიათია და შეიძლება წელიწადი ისე გავიდეს, რომ ერთი წვეთიც არ ჩამოვარდეს ციდან. რაც შეეხება უდაბნოებს, იქ ორ წელიწადში ერთხელ თუ გაწვიმდება.

ქაიროდან მგზავრობას 5 საათს მოვუნდით. გზა გადიოდა დასახლებულ პუნქტებზე, იგრძნობოდა სიღარიბე და სიმწვანის ნაკლებობა.

ალექსანდრია ევროპული ტიპის, კარგად მოწესრიგებული ქალაქია. იგი უმეტესწილად, არაბებით არის დასახლებული. ქაიროსთან შედარებით, აქ სიგრილეა, ზღვიდან ქრის ნიავი.

დაგვაბინავეს საკმაოდ ძველ სასტუმროში. ეს სასტუმრო და მისი რესტორანი ერთ მდიდარ ბერძენს ეკუთვნის. იგი ბერძენთა სათვისტომოს უფროსი ყოფილა. სადილობისა და შესვენების შემდეგ, წავედით ფერისცვალების სახელობის საპატრიარქო ტაძარში, სადაც დიდი სიხარულით შეხვდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. გადავიხადეთ პარაკლისი. ისმოდა ღვთის სადიდებელი გალობა ბერძნულად და ქართულად.

დავათვალიერეთ ტაძარი, მისი შემოგარენი და პატრიარქის დიდებული რეზიდენცია. იგი თითქმის ცარიელია, იგრძნობა, რომ მართლმადიდებლები აქ ცოტანი არიან, 200 ათასი ბერძენიდან სულ რამდენიმე ათასია დარჩენილი ალექსანდრიაში. პაპი და პატრიარქი თავის ქადაგებაში ხშირად მოუწოდებს მათ, გამოიჩინონ ნებისყოფა და სიმტკიცე, არ მიატოვონ ძველი ალექსანდრია, რომელიც თვით ალექსანდრე მაკედონელმა დააარსა.

დავათვალიერეთ რამდენიმე მოქმედი ტაძარი, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, ყველგან იგრძნობა მრევლის ნაკლებობა. ტაძრებთან არის სხვა შენობებიც, სასტუმრო, სასადილო და სხვა.

მიგვიწვია ქალაქის გუბერნატორმა. იგი ტომით არაბია. დიდი სიხარულითა და მოწიწებით შეხვდა მის უნეტარესობა ნიკოლოზ VI. თქვენ რომ გხედავთ, მე მგონია ღმერთი ჩემთან არისო, ასევე გულწრფელი მოკითხვით და პატივისცემით მიესალმა სასურველ სტუმარს, მის უწმიდესობასა და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II. საუბარი წარმართა დიდი გულწრფელობის ვითარებაში, შეეხნენ საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიულ წარსულს და აწმყოს. ბევრი ისაუბრეს მშვიდობის საკითხებზე.

კვირას, ფერისცვალების საპატრიარქო ტაძარში ბერძნულ-ქართულ ენაზე შედგა საერთო წირვა. წირვის შემდეგ ერთმანეთს სიტყვებით მიმართეს მისმა უნეტარესობამ ნიკოლოზ VI და უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II.

მგზნებარე სიტყვით მიმართა თავის მრევლს უნეტარესმა ნიკოლოზ VI, იგი მოუწოდებდა — გამოეჩინათ სიმშვიდე და გამძლეობა და არ დაეტოვებინათ ალექსანდრია. ყურადღებითა და აღტაცებით მოისმინეს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II სიტყვა. დიდად კმაყოფილი მრევლი, წირვის შემდეგ, საპატრიარქო რეზიდენციის დიდ დარბაზში შეიკრიბა. ყველას მიართვეს სასმელი და წყალი. კვლავ დალოცეს პატრიარქებმა მრევლი. დავათვალიერეთ საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, რომელიც შენობის II სართულზეა მოთავსებული, ბიბლიოთეკაში რამდენიმე ათასი ნაბეჭდი წიგნია. ბევრია ხელნაწერიც, მაგრამ ქართულ ხელნაწერებს ვერ მივაკვლიეთ. უწმიდესმა ილია II მრავალგზის გამოკითხა ბიბლიოთეკის გამგეს ქართული ხელნაწერების შესახებ, მაგრამ მან არაფერი უწყოდა. ეჭვი არ არის, იგი საერთოდ ცუდად იცნობდა მის ბიბლიოთეკაში არსებულ ხელნაწერებს.

მეორე დღეს, ორშაბათს, დილით გავემგზავრეთ ქაიროში, ახლა უკვე უდაბნოს გზებით. იყო სიცხე და უსიცოცხლო ბუნება. არსად სიმწვანე, არსად ბალახი. რუხი-მოყვითალო ზედაპირი მიწებისა. შიშველი, მორუხო, ან ყვითელი თიხნარი. აქა-იქ გვხვდებოდა უდაბნოსათვის დამახასიათებელი ეკლიანი მრგვალი ბუჩქები, რომელთაც აქლემები კორტნიან. სხვა სახის მცენარეები მხოლოდ ოაზისებშია. საწყლად გამოიყურებიან ეს მცირე ოაზისები, რადგან მათს სიმწვანეშიაც შეაქვს ქარს ქვიშა და სილა. ქაიროში შესვლისას, შორიდანვე დავინახეთ გრანდიოზული ქვის პირამიდები, რომელნიც უძველესი დროის მეფეთა სამარხებს წარმოადგენენ. დავათვალიერეთ რამდენიმე პირამიდა, ქვის უზარმაზარი სფინქსი და სხვა საკვირველებანი. ვიყავით სიძველეთა დაცვის სახელმწიფო მუზეუმში. აქ არსებული უძველესი ნივთები ქრისტეს შობამდე 4000 წლით თარიღდება. ამ ნივთებისა და სამკაულების უმეტესი ნაწილი ოქროსია და მეტწილად მეფეთა სამარხებიდან, ან უძველეს სასახლეთა გათხრებიდან არის მოპოვებული. მეორე დღეს ვიყავით ზოოპარკში, გავეცანით ამ მხარის ცხოველთა სამყაროს, დავათვალიერეთ მუსულმანური სალოცავი — უზარმაზარი ოთხკუთხედი შენობა, რომელიც შიგნიდან ძვირფასი ალებასტრის ქვით არის მოპირკეთებული. დიდი სიხარული მოგვგვარა ქრისტიანული ტაძრების ნახვამ. საპატრიარქო ტაძარში აღვავლინეთ ლოცვა და გალობა, ასევე, მუხლმოყრით ვილოცეთ წმ. გიორგის დიდებულ ტაძარში, ვნახეთ სიწმიდენი. აქ ჩვენ გვაჩვენეს რკინის ჩარხი, სანთებელი, რკინის ფეხსაცმელები ამოშვერილი წვეტიანი ლურსმნებით, ჯაჭვი, რომლითაც შეკრული იყო წმიდა გიორგი. ეს ის ჩარხია, რომელზედაც დამაგრებულია რკინის საშინელი დანები და რომლის სწრაფი მოძრაობით კაფავდნენ უძლეველი მოწამის სხეულს. სწორედ ამ დროს, უფლის ბრძანებით, ყველასათვის თვალსახილავად ჩამოფრინდა ციდან ანგელოზი, გარდამოხსნა იგი და იმავე წუთს განკურნა. ეს ის საშინელი რკინის ფეხსაცმელებია, რომელიც ჩააცვეს წმიდა გიორგის შიშველ ფეხზე და აიძულებდნენ სიარულს. წამების შემდეგ, მეორე დღეს მან მშვიდად განუცხადა დიოკლეტიანე იმპერატორს: შენი გამოგზავნილი რკინის ჩექმები ძალიან მომეწონა. აქვე ვნახეთ რკინის გრძელი ჩუგლუგები, რომლებითაც ხორცს აგლეჯდნენ დიდებულ მოწამეს.

მოწიწებითა და ცრემლებით მოვილოცეთ ეს სიწმიდენი. შევთხოვეთ მთავარმოწამეს საქართველოს მფარველობა და მისი წმიდა ეკლესიის გაძლიერება.

ამ დღეებში ჩვენი აზრი განსაკუთრებით სინის წმიდა მთის მოხილვისა და მოლოცვისაკენ იყო მიმართული. გვინდოდა გვენახა მოსე წინასწარმეტყველის ნაკვალევი და ის წმიდა კლდოვანი მთები, სადაც მოსემ ქვის ფიცრებზე დაწერილი ათი მცნება მიიღო. ეს ის ადგილია, სადაც თვით ღმერთის ხმა გაიგონა მოსემ. ხოლო ცით გარდმოსრული ცეცხლის ისარი სწრაფად წერდა ქვის ფიცარზე მცნებებს — „მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე“.

ხუთშაბათს, დილით გავემგზავრეთ სინის მთის მოსახილველად. გზა მთლიანად უდაბნოზე მიდიოდა. არავითარი ხმაური არც ფრინველის, არც მხეცის... მხოლოდ ქარის ზუზუნი. გავიარეთ სუეცის არხის ერთკილომეტრიანი გვირაბი და მალე ზღვის ნაპირებს დავყევით. ეს არის მეწამული ზღვა. საოცარია, რომ ზღვა და უდაბნო ერთადაა და ზღვა მაინც ვერაფერს შველის უდაბნოს. ერთიც თავისთვისაა და მეორეც. იქნება, უდაბნოც ესაჭიროება განგებას თავის საიდუმლოთა აღსასრულებლად, თავისი დაუტევნელი მადლის შესანახად, საიდუმლო გამოცხადებათა სალაროდ. უდაბნომ გაუღო თავისი იდუმალი კარი მოსეს და ილია წინასწარმეტყველს; ასევე, ახალი აღთქმის წინასწარმეტყველსა და წინამორბედს — იოანე ნათლისმცემელს, რომელიც ძალითა და შემართებითა ელიასითა „განვიდა უდაბნოდ“, კაცი — ანგელოზი, სადაც მკალითა და ველური თაფლითა საზრდოობდა... და ბოლოს, თვით მაცხოვარი სულმან წმიდამან განიყვანა უდაბნოდ, სადაც იმარხა 40 დღე და ღამე. სწორედ აქ მოუხდა ბოროტი სული, რომელიც გამოსცდიდა მას... და იძლია იქვე, უდაბნოში და განეშორა.

უდაბნოსაკენ არა მარტო მყუდროებისათვის მიისწრაფოდნენ რჩეულნი წმიდა მამანი; ისინი გრძნობდნენ იქ დავანებულ მადლსა და ძალას და იჭურვებოდნენ იგივე მადლით, რათა უძლეველნი ყოფილიყვნენ ამქვეყნიურ ამაოებასთან ბრძოლაში. ამჟამად სინის მთაზე ერთადერთი მოქმედი ხალოცავი წმიდა დიდმოწამე ეკატერინეს მონასტერია.

მონასტრის მისასვლელთან მცირე ოაზისია. ორსავე მხარეს კლდოვანი, შიშველი მთებია აღმართული. მათი სიმაღლე ძალიან დიდი არ არის, მაგრამ ძნელად სავალი და ძნელად ასასვლელია. მონასტრის გარე კედლებზე რამდენიმე ჯვარი შევნიშნეთ ამოკვეთილი, რომლებიც ბოლნისურ ჯვარს მოგვაგონებდნენ. მონასტერში დაბლა ჩასასვლელით შედიხართ, ამიტომ პაპანაქება

სიცხეში აქ შედარებით სიგრილეა. აქ „ცისკარი“ ადგილობრივი დროით, დილის 5 საათზე იწყება, ხოლო, საღამოს „მწუხრი“ დღის 5 საათზე.

ჩვენ მწუხრს მივუსწარით. მიუხედავად დაღლილობისა, მაინც დავესწარით და მეტი სიმხნევე ვიგრძენით. მონასტერს აქვს სასტუმრო, სასადილო, მისაღები რეზიდენცია დარბაზებით და სხვა სამეურნეო შენობები. გარედან მონასტერი შენობათა მაღალი კედლებით არის შემოზღუდული. შესასვლელ-გასასვლელი ერთი აქვს. დაგვაბინავეს სასტუმროში, საიდანაც კარგად მოჩანდა, როგორც თვით მონასტრის შემოგარენი, ისე ჩვენს მიერ გამოვლილი უსიცოცხლო გზა.

აკი ვთქვით, ბევრ იდუმალებას ინახავს უდაბნო. მონასტრის აღმოსავლეთით არის ის საოცარი მაყვლის ბუჩქი, რომელსაც შემდგომ მაყვალი შეუწველი უწოდეს.

ბუჩქი საკმაოდ მაღალია. სწორედ ამ ბუჩქთან, საღამო ხანს, როცა უკვე ბნელდებოდა, მიგვიყვანა უწმიდესმა ილია II. აქ უნდა წაგვეკითხა ზიარების ლოცვანი, ვინაიდან მეორე დღეს, კვირას წირვა იყო. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი მავნებელი მწერი დაღოღავდა ირგვლივ, უწმიდესი ფეხშიშველა დადგა და ისე ლოცულობდა. კარგა ხანს ვიყავით გულმოდგინე ლოცვასა და კურთხევაში.

უწმიდესი დიდად იყო შთაგონებული, რომ ასულიყო სულ მაღლა, იქ, სადაც მოსემ ღმერთის ხმა გაიგონა და ქვის ფიცრებზე დაწერილი რჯულის მცნებანი მიიღო. არად შერაცხა სიძნელე გზისა (უნდა აევლო 4 ათასამდე კლდეში გამოკვეთილი საფეხური), არც სიმკაცრე ბუნებისა. იდგა საშინელი ხვატი, თერმომეტრი 45—50°-მდე იწევდა. განთიადზე ჩვენი დელეგაციის ორ წევრთან და გამცილებელ ბერებთან ერთად, იგი ავიდა ქორების წმიდა მთაზე. იქ მრავალი სანთელი აანთო და მუხლმოდრეკით ილოცა დედასამშობლოსათვის, ქართველი ერისათვის, ეკლესიისათვის, მისი კეთილი მომავლისა და მსოფლიოს მშვიდობისათვის. მხურვალე ვედრებაში მან იმდენი ძალი და მადლი იგრძნო ღვთისაგან გარდამოვლენილი, რომ განაცხადა, „მე მეგონა, მთელი საქართველო ამოვიდა ჩემთან ერთად ამ წმიდა მთაზე და ლოცვად დადგაო“!..

მართლაც, ეს ასვლა იყო ერთად-ერთი. მანამდე ქართველ პატრიარქთაგან არავინ არ ასულა ამ წმიდა მთაზე. ასევე პირველად სწირა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სინის მონასტერში. წირვაში მონაწილეობა მიიღო, აგრეთვე, მისმა უნეტარესობამ ნიკოლოზ VI, სინის მთის მთავარეპისკოპოსმა დამიანემ, ამ სტრიქონების ავტორმა, პროტოდიაკონმა ხვთისო შალიკაშვილმა. მე შევიმოსე მღვდელმთავრის ბრწყინვალე შესამოსით, რომელსაც ისინი ისტორიულს უწოდებენ და მოწიწებით ინახავენ. ილია II მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობა დამიანეს გადასცა ზამახსოვრო საჩუქრები და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის პანაღია. ასევე, საჩუქრები დაურიგდათ იქ მყოფ ბერებს, რომელთა რიცხვი 20-მდე იყო.

მთავარეპისკოპოსმა დამიანემ საგანგებოდ აღნიშნა ორი მართლმადიდებელი პატრიარქის სინის მთაზე ამობრძანება, როგორც არგაგონილი შემთხვევა. მოიხსენია ისინი მხურვალე მადლობის გრძნობით და გადასცა წმ. ეკატერინეს ორდენები. მათ თანმხლებ პირებს დაურიგდათ საჩუქრები და წმიდა ეკატერინეს ბეჭდები.

დიდად გვაინტერესებდა ძველი ქართული ხელნაწერებისა და ხატების ბედი. ბიბლიოთეკაში გვაჩვენეს ტაძრის შესასვლელთან გამოფენილი რამდენიმე ხელნაწერი, მათ შორის, ერთი ქართული. რაც შეეხება ახლად აღმოჩენილ ხელნაწერებს, ამის შესახებ უწმიდეს ილია II ქადაგებაში კი არის ლაპარაკი, მაგრამ იგი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ რამდენიმე სიტყვით მეც მოგახსენებთ:

როგორც ცნობილია, მონასტრის აღმოსავლეთით მდებარე ძველი ბიბლიოთეკა მტრებმა დაწვეს. შემოსევების დროს კედლები ჩაინგრა და ხელნაწერების დიდი რაოდენობა ქვეშ მოიყოლა. ეს იყო XVI—XVII საუკ. მიჯნაზე. 1971 წელს კი მომხდარა ხანძარი. ოთხი წლის შემდეგ დაიწყეს დანგრეული შენობის გაწმენდა, რის შედეგადაც მრავალი უცნობი ხელნაწერი იპოვეს. აქ მყოფი ბერების თქმით, 1000-მდე. ამათგან ბერძნული, კოპტური, არაბული, სირიული, სლავური, სომხური... ხოლო ქართულს არ ასახელებდნენ. ქართული არ არისო. მაშინ უწმიდესმა ილია II, დაეჭვებულმა იმაში, რომ ამდენ ხელნაწერთა შორის, შეუძლებელია არ ყოფილიყო ქართული, მოითხოვა ეჩვენებინათ მისთვის თუნდაც სომხური ხელნაწერები. სომხურად მიჩნეულ ხელნაწერთა 8 ყუთიდან, რომლებშიც ხელნაწერები ფრაგმენტების სახით ჰქონდათ მოთავსებული, სამი ყუთი ბიბლიოთეკარმა ბერმა უხალისოდ გახსნა. ყველა ქართული აღმოჩნდა და ჩვენ სიხარული და სიმხნე შეგვმატა. ეჭვი არ იყო, რომ დანარჩენ 5 ყუთშიაც ქართული ხელნაწერები იქნებოდა.

ამ ხელნაწერების გამომზეურება მოითხოვს სინის მთაზე ქართველი მკვლევარის გაგზავნას და მათს ადგილზე შესწავლას. უწმიდესის წინადადებით, ბერები თანახმა გახდნენ, რომ მიიღებდნენ ქართველ სწავლულს და მას ხელს შეუწყობდნენ მუშაობაში.

ორშაბათს, დილით, 5 საათზე ადგილობრივი დროით, სინის მთიდან ქაიროსაკენ გამოვემგზავრეთ. წამოვედით ამავე გზებით, იმავე უტეხი უდაბნოთი. ამინდი მშვიდი იდგა და, მადლი უფალს, კარგად ვიმგზავრეთ. ქაიროში იგივე სასტუმრო „რამზეს“ — ხილტონ „ჰოტელში“ დაგვაბინავეს. ეს თანამედროვე სტილის სასტუმროა. იგი ისეთი გეგმით არის ნაგები, რომ ყოველი ოთახიდან მდ. ნილოსს გადაჰყურებ.

მთელი ჩვენი გონება ამ დღეებში დაპყრობილი ჰქონდა კოპტთა იმ ტაძრის მოხილვასა და მოლოცვას, სადაც ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი ჩვენი საუკუნის 68—69 წლებში ახდენდა საოცარ გამოცხადებებს ყოველთა წინაშე. მას უთევდნენ ღამეებს და ხედავდნენ საკუთარი თვალით. ათასები — ქრისტიანები და მაჰმადიანები, ქაიროს მკვიდრნი და საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმრები, მორწმუნენი და არა მორწმუნენი... ვინ არა!

ეს გამოცხადებანი, რომელსაც ღვთის განგება წარმართავდა, მომავლის დიდ მოვლენებზე მეტყველებს და ხსნის ბევრ ღვთიურ საიდუმლოებას. უნდა შევეცადოთ და ყოვლადწმიდის ამ ძლევამოსილ ხილვებში ამოვიკითხოთ დიდი შეწყნარება თანამედროვე ადამიანისა. რა დასამალია, ღვთიურ საიდუმლოებათა რწმენისა და სიყვარულისადმი თანამედროვე ადამიანი გულცივი გახდა. იგი გაიყოლია ტექნიკის ხმაურმა, ცხოვრების ფაცი-ფუცმა. და აჰა, ყოვლად წმიდა დედა ღვთისა, თავისი უზადო ლურჯი ნათლის ციაგით მოუწოდებდა ყველას შემობრუნებულიყვნენ კდემამოსილებისაკენ, ეხილათ და ერწმუნათ იგი.

დედა ღვთისა ხშირად გუმბათზე შუაღამის მყუდროებაში მდგარი, ბრწყინვალე ნათლის სამოსლიდან იწვდიდა მხსნელ ხელებს და ლოცავდა იქ მყოფთ, ლოცავდა საერთოდ ყველა ადამიანს და მთელ პლანეტას. იგი წმიდა ჯვრის წინაშე, რომელიც ასევე უალმატებულესის ძალით იყო გაბრწყინებული, ევედრებოდა ზენაარსს მშვიდობისათვის, ქვეყნის გადარჩენისათვის, ურიცხვ სულთა ბედისათვის. მისი შემხედვარე ბედნიერი ადამიანები იქვე იწმიდებოდნენ ცოდვათა და სნეულებათაგან. მათ თვალთა წინაშე იხსნებოდა იდუმალი, სანეტარო სამყაროს ფარდა.

„დიდება შენს სახელს მაცხოვარო, რომელმან მოგვფინე ნათელი“.

მეორე დღეს, სამშაბათს, ჩვენ დავათვალიერეთ ეს, არც თუ დიდი, სწორ ადგილზე მდგარი კოხტა ტაძარი, მიმზიდველი და მყუდრო, ამ ტაძრის კანკელი ჩვენებურ კანკელს მოგაგონებთ, ასევე ტრაპეზიც. ბევრი რამ ამ ტაძარში მართლმადიდებლურია. ჩვენთვის უცნობ ერთ მხატვარს, და ალბათ საკუთარი თვალით მხილველს, დაუხატია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი გამოცხადების მიმსგავსებით. ხატს კრძალვით თავი დაუწევია, თვალები დახრილი და ნახევრად დახუჭული აქვს. სახე სიბრძნეზე და ძლიერ ზრუნვაზე მეტყველებს. მთელი ტანი ძლიერი ნათლით არის მოცული და სინათლეს ავრცელებს ყოველ მხარეს (ხატი დიდი ზომისაა).

ადამიანები, ქალი და კაცი, რჯულის განურჩევლად, მიდიან ამ ხატთან, ლოცულობენ გულმხურვალედ, თავის სათხოვარს სთხოვენ, ან ქაღალდზე წერენ და ხატის ჩარჩოში ტოვებენ, რომ ყოვლადწმიდამ აღასრულოს მათი სავედრებელი.

საეკლესიო ცხოვრების

წირვა სიონის საკათედრო ტაძარში



23 აპრილი. წმ. გიორგისადმი მიძღვნილი დღესასწაული
ქვაშვეთის ტაძარში

ფოტომატიანე

წირვის შემდეგ



ქადაგებანი

სინის წმიდა მთაზე

ქადაგება

უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში

სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმიდისა სულისათა; ამინ.

ჩვენთან არს ღმერთი! (მრევლის ხმა: არს და იყოს)

ლოცვაში ჩვენ ვამბობთ უფლის შესახებ, „რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ, მადლითა შენითა". მართლაც უფალი ყველგანაა. უფალს განსაკუთრებით უყვარს ადამიანის გული. ხშირად ადამიანის გული, თუ ის არის სუფთა, თუ ის არის წმიდა, არის სამკვიდრებელი უფლისა.

არის ისეთი ადგილები, სადაც განსაკუთრებით მოქმედებს ღვთის ძალა, და ამ ადგილების საშუალებით ადამიანს განსაკუთრებით ევლინება ღვთაებრივი მადლი. ასეთია იერუსალიმი, სადაც განხორციელდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, საერთოდ ყოველი ტაძარი, რომელიც აშენებულია ღვთის სახელზე. ასეთია სინის მთა, სადაც მოსე წინასწარმეტყველს გამოეცხადა უფალი და მოსცა ათი მცნება. ეს არის ის წმიდა ადგილი, სადაც უფალი ესაუბრა მოსე წინასწარმეტყველს, სადაც უფალი, ასევე, გამოეცხადა ილია წინასწარმეტყველს.

მისი უნეტარესობის, ალექსანდრიის პაპისა და პატრიარქის, ნიკოლოზ VI მიწვევით, ჩვენ გახლდით ალექსანდრიაში, ეგვიპტეში. ჩემთან ერთად ბრძანდებოდნენ: მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, ურბნელი მიტროპოლიტი კონსტანტინე, სიონის ტაძრის პროტოდიაკონი ხვთისო შალიკაშვილი და თარჯიმანი ბორის გაგუა.

დიდი ლოცვითა და სიყვარულით დავდგით ფეხი იმ წმიდა ადგილზე, სადაც მოღვაწეობდნენ ათანასე და კირილე ალექსანდრიელნი, ეგვიპტის ღირსი მამები: ანტონი, თეოდოსი, მაკარი, ონოფრე, პავლე თიბაითელი და მრავალი სხვა.

ქაიროში ჩავედით თვითმფრინავით. ჩვენს შესახვედრად ალექსანდრიიდან ქაიროში ჩამობრძანდა მისი უნეტარესობა ნიკოლოზ VI თავისი მღვდელმთავრებით. იგი სიყვარულით აღსავსე შეგვხვდა აეროპორტში. ჩვენ, ასევე, დაგვხვდნენ საბჭოთა კავშირის დიპლომატიური წარმომადგენელი, გენერალური კონსული და სხვა ოფიციალური პირები. 2000 წლის მანძილზე ეს იყო პირველი ისტორიული ვიზიტი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა ალექსანდრიაში. ამიტომ საეკლესიო პირებმა, პრესამ დიდი ყურადღება მიაქციეს ჩვენს სტუმრობას და გაზეთებში ყოველ დღე იბეჭდებოდა ცნობა იმის შესახებ, თუ სად ვმოგზაურობდით ჩვენ.

ქაიროში ჩავედით 5(18) მაისს, ღამით. დილამდე დავისვენეთ და შემდეგ უკვე მანქანებით გავემგზავრეთ ალექსანდრიაში.

ალექსანდრია ბრწყინვალე ქალაქია. იგი მდებარეობს ზღვის სანაპიროზე. დაარსებულია ალექსანდრე მაკედონელის მიერ. ამჟამად ეძებენ ალექსანდრე მაკედონელის საფლავს, მაგრამ ვერ პოულობენ. ალექსანდრიაში 3 მილიონამდე მოსახლეობაა, საკმაოდ დიდი ქალაქია, აქვს უზარმაზარი პორტი; იქ არის მთავარი რეზიდენცია მისი უნეტარესობის, ნიკოლოზ VI. დავათვალიერეთ ტაძრები, მონასტრები; კვირა დღეს შევასრულეთ ერთობლივი წირვა საპატრიარქო ტაძარში. ეს იყო ბრწყინვალე წირვა. შევავედრეთ უფალს ჩვენი ღვთივკურთხეული ერი, სრულიად საქართველო. ვნახეთ ის ადგილი, სადაც აწამეს მოციქული მარკოზი. მოციქული მარკოზი ალექსანდრიის ეკლესიის დამაარსებელია. იგი არის მქადაგებელი აფრიკისა, მოციქული აფრიკისა. ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა, რომ მისმა უნეტარესობამ საჩუქრად გადმომცა XIV საუკუნის ხატი — წმ. მარკოზისა, რომელიც ჩამოვიტანეთ და გვექნება აქ, ტაძარში.

დავათვალიერეთ ის ადგილი, სადაც აწამეს წმ. დიდი მოწამე ეკატერინე. დღესაც არსებობს ის ქვა, რომელზედაც თავი მოჰკვეთეს წმ. ეკატერინეს. იქ არის ბერძნების სათვისტომო, რომელთაც დიდი წვეულება გავიმართეს. ჩვენ, აგრეთვე, ვეწვიეთ ალექსანდრიის გუბერნატორს. იგი მუსულმანია; დიდი სიყვარულით შეგვხვდა და თქვა: ორი პატრიარქის მობრძანებაში მე ვხედავ ღვთის დიდ ლოცვა-კურთხევას, რომელიც ჩემზე გადმოვიდაო.

ყველაზე საოცარი, რამაც მე განცვიფრებაში მომიყვანა და რისთვისაც არ შეიძლებოდა არ მიმექცია ყურადღება — იყო ხალხის რწმენა. დღეში 5-ჯერ მათ აქვთ ლოცვა. როდესაც მოდის ლოცვის დრო, მუსულმანი ჩერდება ნებისმიერ ადგილზე, იჩოქებს და ასრულებს, ასე ალბათ, ათწუთიან ლოცვას. საღამოს პირზე, საათის ხუთზე, არის საყოველთაო ლოცვა, ამ დროს მთელი მოძრაობა ჩერდება. დიდი, პატარა, მოხუცი, ახალგაზრდა — ყველა ლოცულობს; ხალხი ქუჩებშია დაჩოქილი. განსაკუთრებით ყურადღება მივაქციე ახალგაზრდობას; როგორი რწმენით, როგორი სიყვარულით ლოცულობენ ისინი, სამხედროები, მთელი ხალხი... ქუჩაშივე ფეხზე იხდიან და ლოცულობენ ფეხშიშველნი.

სამ-ოთხ დღეს დავყავით ალექსანდრიაში და შემდეგ წამოვედით ისევ ქაიროში. ქაიროში მის უნეტარესობას ნიკოლოზ VI ასევე აქვს საპატრიარქო ტაძარი და რეზიდენცია. ორი რეზიდენცია აქვს — ერთი ქაიროში, ერთი ალექსანდრიაში.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე წმ. გიორგის მონასტერმა. ეს ის ადგილია, სადაც აწამეს წმ. გიორგი. წინათ ამ ადგილზე ყოფილა ციხე-სიმაგრე. იქ ყოფილა ჯარი. წმ. გიორგი, როგორც თქვენ იცით მისი ცხოვრებიდან, გახლდათ მხედართმთავარი სწორედ იმ ჯარისა, რომელიც იქ იყო. როდესაც დიოკლიტიანემ გაიგო, რომ წმ. გიორგი იყო ქრისტიანი, გასცა ბრძანება, ეწამებინათ. მონასტერში შენახულია საშინელი იარაღი. ესაა ურმის თვალის მსგავსი ბორბალი, რომელზედაც გარშემო მტკავლის ოდენა დანებია; თვითონ ბორბალი რკინისაა. მასზე იყო გაკრული წმ. გიორგი. ამ ბორბალს ატრიალებდნენ და დანებით სჭრიდნენ წმიდანის სხეულს. იქვე არის შენახული ჯაჭვი, ბორკილები, რითაც დააბეს იგი. ასევე, იქ არის რკინის ფეხსაცმელები, რომელსაც შიგ აქვს 6—7 სმ-ის ტოლი რკინის ლურსმნები; თითო ფეხსაცმელში იქნება, 30-მდე ლურსმანი. ეს ფეხსაცმელები ჩააცვეს წმ. გიორგის. დიდი სიფაქიზით ინახავს ალექსანდრიის ეკლესია ამ სიწმიდეს. ჩვენ მოკრძალებით ვემთხვიეთ წმ. გიორგის ხატსა და იარაღს, რომლითაც იგი აწამეს. წამოვიღეთ პატარა ხატი, თქვენ შესაძლებლობა გექნებათ, ემთხვიოთ მას.

ქაიროში დიდი შეხვედრა გაგვიმართა, აგრეთვე, ბერძნების სათვისტომომ; ყველა საუბრობდა იმ ისტორიულ წარსულზე, იმ ტრადიციებზე, რომელიც არსებობდა საქართველოსა და ეგვიპტეს შორის, საქართველოსა და ბერძნებს შორის. ყველა გამოთქვამდა იმედს, რომ ეს ურთიერთობა დღეს ისევ აღსდგება და განმტკიცდება.

შემდეგ ჩვენ მიწვეულნი ვიყავით სინის მთაზე. სინის მთა ქაიროდან მოშორებულია 450 კილომეტრით. გავემგზავრეთ მანქანებით. გზა სინის მთამდე მთლიანად უდაბნოა. იშვიათად შეხვდება ადამიანი პატარა ეკლებს: არავითარი სიცოცხლე იქ არ იგრძნობა. არსად არ არის წყალი. უდაბნოს შუაში გადის სუეცის არხი, მაგრამ მისი შედეგი თითქმის არ ეტყობა უდაბნოს, იგი მაინც უსიცოცხლოა. სუეცის არხს იქით იწყება სინის უდაბნო. ეს ის ადგილებია, სადაც იყო ებრაელთა ერი, როდესაც ეგვიპტიდან გამოვიდა და როდესაც მიემართებოდა პალესტინისაკენ. სოფელი ფარანი პატარა ოაზისია. აქ პატარა წყაროცაა. უკვე იგრძნობა სიცოცხლე. არის პალმები, სიმწვანე. სოფელ ფარანში ბერძნებს აუშენებიათ დედათა მონასტერი, სადაც 10—12-მდე მონოზონი ცხოვრობს. დიდი ზეიმით შეგვხვდნენ ეს დედები. მათთან ერთად ჩვენ შეგვხვდა მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა სინის მთავარეპისკოპოსი დამიანე. აქ ჩვენ შევჩერდით, ვისადილეთ. მთავარეპისკოპოსი დამიანე წავიდა სინის მონასტერში, რათა ჩვენთვის მოეწყო ოფიციალური შეხვედრა. საოცარი ის არის, რომ პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI ერთი ნაბიჯითაც არ მოგვშორებია; ეს უდაბნო, ამდენი წვალება, საშინელი — 45—50 გრადუსი სიცხე მანაც ჩვენთან ერთად გადალახა.

მივუახლოვდით თუ არა სინის მონასტერს, მთელი ბერები მთავარეპისკოპოსის მეთაურობით გამოგვეგებნენ. აქ აღვასრულეთ მცირე პარაკლისი.

ეს ის წმიდა ადგილია, სადაც მოსე წინასწარმეტყველმა ნახა შეუწველი მაყვალი, მაყვლის ბუჩქი. ბიბლიაში წერია: მოსე წინასწარმეტყველმა ნახა მაყვლის ბუჩქი, რომელსაც ცეცხლი ეკიდა და არ იწვებოდა. ეს იყო უდიდესი სასწაული. და მოსეს მოესმა ხმა: გაიხადე ფეხზე, რადგან ადგილი, რომელზედაც დგახარ, წმიდაა. ჩვენ თაყვანი ვეცით იმ წმიდა ადგილს, სადაც დგას ეს ბუჩქი. მონასტრის მამებმა გვიამბეს, რომ სინის ნახევარკუნძულზე მარტო იმ ადგილას არის მაყვლის ბუჩქი, სხვაგან არსად არ ხარობსო. საოცარია. ესაა 10 მ სიმაღლის ბუჩქი, რომელიც შემორკალულია ქვის ღობით. იქ მიდის უამრავი მნახველი, უამრავი თაყვანისმცემელი და ეშინიათ, არ დააზიანონ. ყველას უნდა თითო ფოთოლი მაინც წაიღოს, მაგრამ ეს შეუძლებელია. იქვე დგას ღვთისმშობლის სახელობის პატარა ეკლესია, რომელიც IV საუკუნეში ააშენა დედოფალმა ელენემ, კონსტანტინე დიდის დედამ. დღეს სწორედ მათი ხსენების დღეა, კონსტანტინესი და ელენესი. თანახმად დებულებისა, ამ ეკლესიაში ყველა ფეხშიშველი უნდა შევიდეს. ჩვენც, ასევე, ფეხშიშველები დავესწარით წირვას.

წინათ ამ მონასტერს ერქვა სინის მონასტერი, ჯვაროსნების დროიდან კი მას უკვე ეკატერინეს სახელი ჰქვია. რადგან მონასტერში ინახება წმ. ეკატერინეს ნეშტი, მისი ხელი, მისი თავის ქალა და ითვლება ერთ-ერთ დიდ სიწმიდედ. წმ. ეკატერინე აწამეს ალექსანდრიაში. მისი სხეული კი გადატანილ იქნა სინის მთაზე. ეს არის ის წმიდა ადგილი, სადაც მრავალი ქართველი ბერი მოღვაწეობდა. როდესაც პალესტინის მონასტრებს შეესეოდა მტერი, ქართველი ბერები მიდიოდნენ სინის მონასტერში და იქ ცხოვრობდნენ. თანახმად კატალოგისა, ხელნაწერთა აღწერილობისა, რომელიც ამ მონასტერში არსებობს, 97 ხელნაწერი ქართულია, ასომთავრული და ნუსხა-ხუცური. ჩვენ ეს ვნახეთ. 1971 წელს აქ გაჩნდა ხანძარი; დაიწვა გალავნის ერთ-ერთი ნაწილი. მონასტერი შემოღობილია მაღალი გალავნით და ამ გალავნის გარშემო არის ოთახები (სენაკები). სწორედ მის ერთ-ერთ მხარეს გაჩნდა ეს ხანძარი. 1975 წელს დაიწყეს გალავნის რესტავრაცია-აღდგენა. და სწორედ ამ დროს, იქ აღმოჩნდა მრავალი ხელნაწერი, ათასამდე... ის რომ, იქ რაღაც ხელნაწერები აღმოჩნდა, ჩვენ ადრეც ვიცოდით, მაგრამ არ ვიცოდით, იყო თუ არა მათში ქართული. გვაჩვენეს ბერძნული ხელნაწერები, ჩვენ ვკითხეთ, ქართული თუ არის თქვა. ბიბლიოთეკის უფროსმა მიძღვარმა გვითხრა: ქართული, სამწუხაროდ, არ არის, მაგრამ არის სომხურიო. ძალიან გული დამწყდა. კიდევ რა არის მეთქი. კიდევ არისო კოპტური, ეთიოპური და სხვა. მაჩვენეთ, სომხური მაინც ვნახოთ მეთქი. რვა ყუთი იყო ეს „სომხური" ხელნაწერები. გადმოიღეს, ვნახეთ და, თურმე, ქართულია. შეცდომით მიუკუთვნებიათ სომხურისათვის. ტყავზე შესრულებული ასომთავრული, ნუსხა-ხუცური ხელნაწერები... ვკითხე: ვინ მუშაობდა აქ და ვინ მიაკუთვნა ეს ხელნაწერები სომხურს, ვინ გითხრათ, რომ ეს ხელნაწერები სომხურია. აქ მეცნიერები იყვნენ, მაგრამ ჩვენ იმათ გვარებს არ ვამბობთო. შემდეგ

ველაპარაკე სინის მთის მთავარეპისკოპოსს, განვუცხადე, რომ არ შეიძლება ასე მოპყრობა ხელნაწერებისადმი, რომ ამას აუცილებლად სჭირდება სპეციალისტი, მეცნიერი, რომელიც წაიკითხავს მათ და შეადგენს კატალოგს. ისიც დამეთანხმა. თუ მეცნიერს გამოგზავნით, შევეცდებით დაგეხმაროთო. მიკროფირების გადაღების უფლება კი ჯერ-ჯერობით არ მოგვცა, გამოუქვეყნებელი მასალაა და არ შეიძლებაო.

და მაინც, იქ ყოფნის დროს, ყველაზე დიდი სულიერი ძალა მე მივიღე იმით, რომ ავედით ქორების მთაზე. ეს ის მთაა, რომელზედაც უფალმა მოსე წინასწარმეტყველს გადასცა ათი მცნება. ეს სალი კლდეები იმდენად მაღალი და იმდენად რთული ასასვლელია, რომ ბერები გვიამბობდნენ, ყოველ კვირას ასვლის დროს 2—3—5 ადამიანი კვდებაო. ვერ ადიან, გული ვერ უძლებს, სიცხეც ძალიან მოქმედებსო. რომც მოვკვდე, მე მაინც ავალ მეთქი, ვუთხარი, და აი, დილის 5 საათზე წავედით. გამომყვნენ ჩვენი დელეგაციის წევრები და კიდევ ორი ბერი მონასტრიდან. ჯერ მიდის გზა, შემდეგ — კლდეში გამოკვეთილია კიბეები, ნახევარი მეტრი სიმაღლის საფეხურები; 44 000-მდე საფეხურია. სულ წვერზე დგას წმ. სამების სახელობის ტაძარი. ავედით, ღვთის შეწევნით. მივუახლოვდით თუ არა იმ წმიდა ადგილს, ყველამ ფეხზე გაიხადა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მთელი საქართველო ავიდა ამ წმ. მთაზე. მადლობა შევწირე უფალს ჩვენი ერის სახელით ყველაფრისათვის. იმისათვის, რომ მოგვცა ჩვენი ენა, ჩვენი რწმენა, რომ ჩვენ დღესაც ვარსებობთ; შევავედრე ჩვენი ეკლესია, მთელი ქართველი ერი. განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, ჩვენი ბავშვები, მშობიარე დედები, ყველანი. ისეთი მადლი და ძალა, რომელიც იქ ვიგრძენი, არ განმიცდია არსად, ჩემს ცხოვრებაში. ერთ საათს დავყავით მაღლა. ამავე კლდეებში, ცოტა დაბლა, არის ადგილი, სადაც მოღვაწეობდა ილია წინასწარმეტყველი; იქ აშენებულია ტაძარი. როგორც ისტორიაში წერია, ეს ტაძარი ქართველების მიერაა აშენებული. შევედით მასში. თაყვანი ვეცით, ავანთეთ სანთლები და შემდეგ ისევ მონასტერში დავბრუნდით. 7 საათი დასჭირდა ასვლას და ჩამოსვლას.

პირველ კვირას წირვა შევასრულეთ ალექსანდრიაში, მეორე კვირას ვწირეთ სინის მთაზე. ჩემთან ერთად თანამწირველობდნენ სინის მთავარეპისკოპოსი დამიანე, ჩვენი მიტროპოლიტი კონსტანტინე, ალექსანდრიის ეპისკოპოსი ტიტე და სამღვდელოება. აქაც შევთხოვეთ უფალს, მოსცეს ჩვენს ერს ის ძალა, ის მადლი, რომელიც მოსცა მოსე წინასწარმეტყველს, ძალა, რომელიც გადაგვარჩენს, მიგვიყვანს ღმერთთან.

მეორე დღეს დავბრუნდით ქაიროში. დავათვალიერეთ პირამიდები, ვნახეთ ცნობილი სფინქსი, რომელსაც სხეული ცხოველისა აქვს და სახე კი ადამიანისა. დავათვალიერეთ ქაიროს უმდიდრესი მუზეუმი.

თქვენ ალბათ გაინტერესებთ, ვიყავით თუ არა იმ ადგილას, სადაც ადამიანებს გამოეცხადა ღვთისმშობელი. ვიყავით. თაყვანი ვეცით იმ წმ. ტაძარს. ესაა კოპტური ეკლესია ზეითუნში, ქაიროს გარეუბანში. კოპტები საკმაოდ ძლიერნი არიან ეგვიპტეში და მათ დიდი პოლიტიკური ძალა აქვთ. კოპტებსა და არაბებს შორის უთანხმოებაა. კოპტების პაპი და პატრიარქი შენუდა ჩაკეტილია უდაბნოს ერთ-ერთ მონასტერში. მას არა აქვს უფლება გამოვიდეს ამ უდაბნოდან. იგი ფაქტიურად იზოლირებულია. ეკლესიას მართავს ეპისკოპოსი. პატრიარქმა ნიკოლოზ VI. ჩემს ჩასვლასთან დაკავშირებით, სთხოვა პრეზიდენტს, რომ ჩვენ, მე და ნიკოლოზ VI, მივსულიყავით კოპტების პატრიარქთან (იგი ფაქტიურად ციხეშია), მაგრამ არ მოგვცეს ამის უფლება. იმ ციხის გარშემო დგას ჯარი. საერთოდ, კოპტები მორწმუნე ხალხია, ქრისტიანებია და მიეკუთვნებიან მონოფიზიტებს.

ასე დამთავრდა ლოცვითა და სიყვარულით აღსავსე ჩვენი ვიზიტი ეგვიპტეში. მისმა უნეტარესობამ ნიკოლოზ VI გამოგვაცილა აეროპორტამდე. მას ძალიან უყვარს საქართველო. ბერძნები მეუბნებოდნენ: ჯერ თქვენ ჩამოსულები არც კი იყავით, რომ ჩვენ უკვე გვიყვარდა საქართველო და მისი პატრიარქი, იმდენს გველაპარაკა თქვენზე მისი უნეტარესობაო. გამომგზავრებისას ნიკოლოზ VI მითხრა: **გადაეცით ქართველ ერს, რომ მე თქვენთვის რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთეო.**

არ მოჰკლებოდეს საქართველოს, ჩვენს უძველეს ეკლესიას სინის წმიდა მთის ძალა და მადლი. როგორც ლოცვა-კურთხევა მამაზეციერისა, მე წამოვიღე იქედან პატარა ქვა. მასზე არის გამოსახული გაქვავებული მცენარეები. ჯვარზე მთხვევის დროს თქვენ ემთხვეეთ ამ ქვასაც. ეს იმ წმიდა ადგილიდანაა, სადაც მოსე წინასწარმეტყველმა ღვთისაგან მიიღო ათი მცნება.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ და თქვენთან ერთად დალოცოს მთელი საქართველო. ამინ.

ეპისკოპოსი ზოსიმე (ფიოფოლი)

დედაო ნინო!

დღევანდელ დღეს 14 (27) იანვარს, კურთხეული ქართული ეკლესია აღასრულებს მოციქულთა სწორის წმ. ნინო განმანათლებლის ხსენებას.

წმიდა ნინო — ძვირფასია ეს სიტყვები ყოველი ქართველისათვის.

დედა ნინო — ახლობელი და ნაცნობია იგი ყოველი ჩვენთაგანისათვის. რა პატარები ვიყავით, როგორი უმეცარნი. შენ მოგვიტანე დედაო, ჭეშმარიტი სითბო და სიხარული. მოგვბანე და შეგვიზვიე წარსულის წყლულები. დაგვაპურე და გვასვი წყარო იგი უკვდავებისა. მოგვეფერე, და გულქვანი და უხეშნი ღვთისმოშიშ ადამიანებად გარდაგვქმენი; როგორ შესძელი საქმე შეუძლებელი? როგორ მოინადირე გულნი ჩვენნი ჯერ მოუნადირებელნი? როგორ მოახერხე უმწეომა და სუსტმა ქალმა მოქცევა და განათლება ქართველი ერისა?

საკვირველია, დედაო ნინო, საქმენი შენნი ქართველთათვის გაწეულნი! საკვირველია თავის გაწირვა შენი, როგორც კეთილი მწყემსის. კურთხეულო დედაო, შენ შეგვკრიბე ჩვენ, განბნეულნი, ვითარცა ცხოვარნი უმეცარნი. შენ განგვაცდევინე სიხარული ჯერ განუცდელი! შენ შეგვაყვარე კაცთათვის ჯვარცმული უფალი ღმერთი და უწმიდესი დედა მისი — ღვთისმშობელი მარიამი. შენ დაგვანახე უძლეველობა პატიოსანი და ცხოველსმყოფელი ჯვარისა, შენით მოვიშორეთ სიბნელე იგი უმეცრებისა და შევიმოსეთ ქრისტეს ნათელით. შენით მოხდა ხელახალი დაბადება და აღდგომა ჩვენი ერისა.

გვახარებს დედაო ნინო, ხსენება შენი. სიყვარული შენი დღესაც გვწყურია, დახმარება შენი კვლავაც გვჭირდება. თავადვე უწყი ეს შენ, კურთხეულო დედაო, გვწამს, კვლავაც გინდა ხსნა ცოდვით დაბნელებული ჩვენი სულების. მაგრამ ვაი რომ, ისე რიგად ვეღარ გმორჩილებთ. ხშირად გვიძნელდება ვიაროთ შენგან გაკვალული ნათელი გზით. მაინც გსასოებთ. გვჯერა, ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა და შენი დიდი სულგრძელობისა. ამიტომაც მოგმართავთ დედაო: ნუ დასცხრები ღვთისადმი ვედრებად ჩვენთვის, ნუ მიგვატოვებ...

ჩვენც შევეცდებით სიყვარულზე გიპასუხოთ სიყვარულით, — არ დავივიწყოთ შრომა და გარჯა ჩვენზედ გაწეული. შენი ხსენების დღეს, წმიდაო დედაო ნინო, კვლავ გვინდა შენს დედობრივ კალთას ვემთხვიოთ, მოგესიყვარულოთ და გიღაღადოთ: გხნ მოციქულთა ღვაწლის ბრწყინვალე გამგრძელებელო; გხნ ივერიელთ ქვეყნის განმანათლებელო! გხნ სიყვარულის დიდო მასწავლებელო. გხნ ჩვენო საყვარელო დედაო ნინო!

დღე შენდობისა და პატიების

მადლობა ღმერთს! მადლობა შემოქმედს! მადლობა უზენაესს ჩვენი უსაზღვრო სიყვარულისათვის! მადლობა ყველას და ყოველივეს შემწყნარებელს დღევანდელი დღის დადგომისათვის, სინანულის კარიბჭესთან ჩვენი ხელახალი მიყვანებისათვის. კიდევ ერთი ცდა ჩვენი გადარჩენის, კიდევ ერთი შესაძლებლობა ურთიერთშენდობისა და პატიების.

კურთხეულია დღევანდელი დღე ძმანო ქრისტიანეთათვის. დღეს საშოთხიდან განდევნილი ადამი სამოთხის კართან მიიყვანება; დღეს პირველი დედის ევას წუხილი ხსნისა და გადარჩენის იმედით ივსება; დღეს ცოდვით შებღალული ხორცი კაცისა ითრგუნება და სინანულის სამოსით ირთვება; დღეს ამპარტავნება და ქედმაღლობა კაცისა თავმდაბლობით იმუსრება; დღეს ქვეყნიურ ამაოებას დამონებული კაცი მარადისობისაკენ მიიქცევა; დღეს მოკვდავთ დაკარგული სიხარულის დაბრუნების იმედი გვიჩნდება; დღეს ადამიანის შემოქმედთან გამართლება იწყება. ამისათვის გიხაროდეთ ძმანო, უფალი ჩვენთან მკვიდრდება.

„ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა უბრალო ხელითა და წმიდა გულითა“... — ბრძანებს მეფსალმუნე დავითი. ხედავთ ძმანო, რას გვასწავლის დიდი წინასწარმეტყველი: ცარიელი ხელით უფალს ვერ მივეახლებითო. იქნებ ქვეყნიურ საბოძვარს თხოვს ღმერთი მისკენ მიმავალს? იქნებ ძვირფასი თვალმარგალიტისა და ოქრო-ვერცხლის შეძენაა საჭირო უფალთან წარსადგომად? მაგრამ უფალი დავით წინასწარმეტყველის პირით ხომ ყოველგვარ ქვეყნიურისაგან ხელის აღებასა და განდგომას თხოულობს ჩვენგან? მაშ რა შეიძინოს კაცმა ზეცას გასამგზავრებლად? რით დაიმშვენოს ხელი ღვთისაკენ მიმავალმა ადამიანმა? რითა და უფრო ძვირფასი და სათუთი ძღვენით, ყოველგვარ ქვეყნიურ სიმდიდრეს გარდამეტებული საგანძურით — განწმედილი და გამართლებული სულით, შემუსვრილი და დამდაბლებული გულით. სული და გული — აი ის უმთავრესი ძღვენი, უფლის ზეციურ სამკვიდრებელში რომ შეიწირება; აი ის, გამოსასყიდი საფასე, ცოდვის მონებისაგან კაცი რომ გამოიხსნება; აი ის ქვეყ-

ნიური მონაპოვარი, რომლითაც ხელდამშვენებული ადამიანი ზეცას აღიყვანება და უფლის წინაშე მართალთა თანა დაემკვიდრება.

ამიტომ საყვარელნო ძმანო, გაუხსენით გულის კარნი მეუფეს დიდებისას და დაამკვიდრეთ თქვენს სულსა და გულში და მით განიწმიდენით. გაუხსენით სინანულის კარნი სულს თქვენსას და მწუხარების ცრემლებით განიბანენით; გახსენით გულისა და გონების კარნი თქვენნი და ღვთის მადლით აღორძინდით და გამართლდით.

მაგრამ საყვარელნო, ვიდრე გავმართლდებოდეთ უფალთან, საჭიროა გამართლება მის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანთან, გამართლება ჩვენს მოყვასთან. აკი ბრძანებს მაცხოვარი: „უკეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი, არცა მამამან თქვენმა მოგიტევნეს თქვენ შეცოდებანი თქვენნი“. ამიტომ საყვარელნო, ღვთის შეწევნით, ვგონებ დადგა ჟამი ურთიერთ შენდობისა და პატიებისა. დადგა ჟამი ერთმანეთთან მუხლის მოდრეკისა და შერიგებისა. დადგა ჟამი გულიდან ძვირის განდევნისა და ქრისტეს მიერი სიყვარულის დამკვიდრებისა. მაშ რაღას უდგეხარ ძმაო, მოუდრიკე მუხლი შენს მოყვასს, გადაეხვიე და ცრემლი აპკურე, პატიება გამოსთხოვე და გული მოულბე, დაუთმე და დაუყვავე; და სითბო და სიყვარული მიანიჭე. შენი სიყვარული იმის სულს მალამოსავით დაედება; ამ სიყვარულით ზეცა გაიხარებს. ზეცის სიხარული კი ქვეყნის მკვიდრთ მადლად მოგვეფინება, სიხარული მოიცავს ყოველივეს და ამ დიდ სიხარულში შენი წვლილი იქნება.

ამიტომ საყვარელნო, დავეშუროთ ურთიერთ შენდობასა და პატიებას. მოვუდრიკოთ ერთმანეთს მუხლნი, დავიმდაბლოთ და დავიდანაშაულოთ თავნი. მივანიჭოთ მოყვასს სითბო და სიყვარული და მით გავათბოთ და გავახაროთ თვით უფალი ღმერთი. გავახაროთ შემოქმედი და მოვიპოვოთ მის მიერი სიხარული და ცხოვრება დაუსრულებელი.

ანდრია პირველწოდებულის სახელობის მცხეთის სასულიერო სემინარიის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე

საეკლესიო ცხოვრების ფოტომატიანე

სულთმოფენობა

უკანასკნელი ლოცვა მეფეთ-მეფე თამარისა

ქრისტე, ღმერთო ჩემო მხოლოო, დაუსრულებელო ძეუფეო ცათა და ქვეყანისაო! შენ შეგავედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა, და ერსა ამას, პატიოსანთა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემსა...

„სიმდაბლე უზომო, სიმაღლე შეუსწორებელი, სიმშვიდე საქებელი, სიმქისე ჯეროვანი, ლმობიერება მოწლე, მოწყალება თანალმობილი, უმანკოება უზაკველი, სიწრფოება უსიცრუო, სახიერება ზოგადი, სიუხვე აღუზუავებელი და თავი ყოვლისა კეთილისა — შიში ღმრთისა და მსახურება მისი შეუორგულებელი, — რომელი — ესე ყოველი ამან ესრეთ მოიგო, ვითარ ვერცა ერთი სხუამან ვერვინ და წამებას ამას ყოველი მახლობელი სამეფო გარშემო ქართლისა, თუ რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თჳსი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თჳსად კუალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა და ამის მოწამე არს ახალი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნე-ქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა.

ხოლო სჯულთა მიმართ საღმრთოთა ვინ იყო ესრეთ მოშურნე, გინა სიმდაბლით თავისა მომდრეკელ, რამეთუ თეოდოსი დიდსაცა აღემატებოდა. ლოცვანი და ღამისთევანი, რომელნი პალატსა შინა ამისსა აღესრულებოდეს, საეჭველ მიჩნს მეუდაბნოეთაგანცა“.

ბასილი ეზოსმოძღვარი

პაპლე ინგოროყვა

თამარ მეფის იამბიკონი

ვითარცა მარგალიტი დაფარული
შემდგომად მრავალთა ჟამთა და
წელთა ვპოვეთ

თამარ მეფის სახსოვარი ქართველი ხალხის ისტორიაში

ხმა ერისა — ეს არის ისტორიის მიუდგომელი განაჩენი.

ქართველმა ხალხმა ხსოვნა თავისი მშვენიერი დედისა — თ ა მ ა რ მ ე ფ ი ს ა — „ქართველის დედისა“ — უწრფესი სიყვარულით აღბეჭდა თავის გულში.

ილია ჭავჭავაძე მოგვითხრობს ხალხური მეფანდურის შესახებ, რომელიც —

თურმე უმღერდა ახალ ქართველთა
ძველ გმირებისა საქმეთა ქველთა,
ოდეს ცხოვრობდა დიდი თამარი,
ის დედა ჩვენი დაუვიწყარი...

აკაკი წერეთელი — ასე იწყებს თავის მშვენიერს ლეგენდას თამარ მეფის შესახებ („ხალხური“):

ქვეყანამ ეთერს მშვენებით
თამარი ამჯობინაო!
მიუვალ ადგილს, მთის წვერზე
მას დაუნიშნა ბინაო.
სანთლად დაუნთო ვარსკვლავი,
ცა საბნად დააბურაო,
შვიდასი წელი შორიდან
იმედით უთვალყურაო...

ხოლო ვაჟა-ფშაველა ასე მიმართავს თამარის აჩრდილს:

ქალო, ქართველთა სულის-დგმავ,
ქალო, ქართველთა დედაო!
ტყუილად ვამბობთ შენს სიკვდილს,
თამარს ცოცხალსა ვხედაო.
რუსთველის ქებას ჩვეულო,
მეც ქებას გაგიბედაო.
რომ ვგრძნობ იმისებრ ვერ ვმღერი,
რად არ ვჩუმდები ნეტაო?!
არ მოგეწონოს იქნება,
სთქვა: რისთვის ითავხედაო,
მონად აღზრდილმა მელექსემ
სალამი გამიბედაო?!
შენ თვალთ სინათლემ ამაგზნო,
დამათრო. ამაყბედაო...
საუნჯეე სათნოებისა.
ჩემი მიიღე ქებაო,
ვინმე საწყლისა ფშავლისა, —
ცრემლი აღარა მშრებაო...
გულში გვინთიხარ ლამპრადა,
ნათობს და არა ჰქრებაო.
შენს და შოთაის მარჯვენას
ვემთხვიე ზედი-ზედაო!
მოწყალედ გვექმენ ქართველთა,
ჩვენო ლამაზო დედაო.

---

* იბეჭდება შემოკლებით.

ჩვენ მოვისმინეთ შთაგონებული სიტყვა ახალი საქართველოს უდიდესი პოეტებისა, რომელთაც გამოხატეს ქართველი ხალხის გულის-ნადები, — სიტყვა, რომელშიაც გამოისახა უწრფელესი გრძნობა ქართველი ხალხისა.

გადავიდეთ ამის შემდეგ თვით იმ შორეულ წარსულში, შვიდეული საუკუნის უწინარეს ხანაში, და მოვისმინოთ სიტყვა თვით თამარის თანამედროვე ისტორიკოსთა. ჩვენ ვხედავთ, თუ რა შარავანდედით იყო მოსილი თამარის სახელი თანამედროვეთა შორის, თუ რა სიყვარული, ნამდვილი დიდი სიყვარული ხალხისა დაუმსახურებია თამარს.

თამარის თანამედროვე ისტორიკოსი, თვითმხილველი და მომსწრე თამარის მეფობისა, შემდეგს გადმოგვცემს თამარის გარდაცვალების შესახებ (—1211 წელს):

„იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა, რამეთუ განბიცნეს ბაგენი მათნი, რომელთა პირსა შინა პირველ სხვა არა-რა მოაქვნდა, ვითარ თამარ;

„რამეთუ ხალხთა ზედა აკროსტიხურად თამარის შესხმითა დასწერდიან;

„ბეჭედთა ზედა და დანათა და არგანთა შეამკობდეს და ზედა თამარის ქებათა დასწერდეს;

„და ყოველთა პირნი ერთბამად მზა იყვნეს, რათა ღირსი რამე თამარის საქებელი სიტყვა აღმოთქვან;

„ყრმანი მემროწლენი (მწყემსნი), და განპებასა შინა ორნატთასა (გლეხნი მიწის-მოქმედნი) თამარის ქებათა მელექსეობდიან;

„ერაყს მყოფნი მეებნენი გინა მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკელობდიან;

„ფრანგნი (ე. ი. დასავლეთელნი) და ბერძენნი, ზღვასა შინა მენავენი, ნიავ-კეთილობისა შინა თამარის ქებათა იტყოდიან;

„ესრეთ ყოველი სოფელი სავსე იყო მის მიერითა ქებითა, და ყოველი ენა ადიდებდა, რომელსაცა ოდენ სახელი მისი ისმოდა.

„ხოლო საქმეთა მისთათვის რადღა სახმარ არს თქმად, რამეთუ კიდით-კიდემდე განისმნეს, ვითარცა თვით მოწამე არს ყოველი ჩვენ მიერ ხილული, სიტყვისაებრ ბრძნისა“.

საქმენი თამარისნი — კიდით-კიდემდე განისმნესო, — ამბობს ისტორიკოსი, და ეს ასეც არის.

გამოძახილი იმ დიდი სიყვარულისა, რომლითაც შე-

მოსა ხალხმა თამარის სახსოვარი, ცხოვლად იგრძნობა და არ ნელდება საუკუნეთა განმავლობაში.

არ არის საქართველოში კუთხე, და არა მარტო საქართველოში, არამედ ყველა იმ ქვეყნებში, რომლებიც ოდესმე საქართველოს სახელმწიფოში შედიოდნენ, ან საქართველოსთან დაკავშირებულნი იყვნენ, სადაც დღემდე მოკრძალებით და სიყვარულით არ იგონებდნენ თამარს. კავკასიის ყოველს მხარეში დღემდე ცხოვლად დაცულია ხსოვნა თამარის დიდი სახელისა. საკმაოა მოვიგონოთ, რომ ყველა საჩინო ძეგლი ძველი კულტურისა, ციხეები, კოშკები, სახლთა ნაშთები, ხიდები, ძველი საუღელტეხილო გზები, ქარვასლები, არხები და სხვა,— ყოველივე ეს, ხალხის წარმოდგენით, — თამარის ძეგლია, თამარის მიერ შექმნილი.

* * *

ვინ იყო თამარ?

ჩვენ მოვისმინეთ ისტორიის სამსჯავროს ყველაზე მიუდგომელი განაჩენი, მოვისმინეთ თვით ხმა ერისა.

თამარ ჯერ კიდევ სრულებით ახალგაზრდა „ყრმა“ იყო, 14—15 წლის ქალი, როდესაც იგი, 1184 წელს, ავიდა საქართველოს სამეფო ტახტზე.

ამის შემდეგ იწყება გამონათება და თანდათანი აღზევება თამარის გენიისა, თამარ ხდება ერის ნამდვილი რჩეული, ღირსეული ხელმძღვანელი ქართველი ხალხისა, და საქართველოს იმ დიდი სახელმწიფოსი, რომლის საზღვრებშიაც გაერთიანებული იყო ძმურის თანამშრომლობით კავკასიის ყველა ხალხები.

27 წლოვანი სახელოვანი შრომის შემდეგ, რამაც შარავანდედით შემოსა თამარის სახელი, და მასთან ერთად, შარავანდედით შემოსა სახელი თვით ქართველი ხალხისა, 1211 წელს, თამარ, ჯერ კიდევ ისევ ახალგაზრდა, 41 წლის ქალი, გარდაიცვალა, ანუ, როგორც მოკრძალებით ამბობს მემატიანე — „დაიძინა ძილი იგი მართალთა“.

ჩვენ აქ არა ვწერთ თამარის ისტორიას.

აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თამარ იყო უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც წარმოშვა საქართველოს ისტორიამ წარსულში. საქართველოს სახელოვანი, მრავალსაუკუნოვანი ძველი ისტორიის მანძილზე, რომელსაც ამშვენებს მთელი წყება დიდ მოღვაწეთა, თამარი შესაძლოა დავაყენოთ მხოლოდ ერთი პიროვნების — დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ებ ლ ი ს გვერდით.

თამარ იყო უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე; მაგრამ ამით ყველაფერი არ არის თქმული.

თამარ იყო ბრძენი ხელმძღვანელი ერისა; ხოლო ქართველმა ხალხმა კიდევ უფრო შეიყვარა თამარ იმის გამო, რომ თამარში სრულყოფილად განსახიერდა ნამდვილი სიბრძნე დიდი სახელმწიფო მოღვაწისა, ხოლო ამასთან, მორალური სინათლე და სიდიადე დიდ-ბუნებოვანი ადამიანისა.

და ისტორიის სიღრმიდან ჩვენ დღემდე გვინათებს ეს ნათელი სახე თამარისა, განსახიერება სიბრძნისა და მშვენიერებისა, შემოსილი მორალური სიდიადის შარავანდედით.

ქართველთა დედის — ჩვენი დიდი თამარის — ყოველი რელიქვია ძვირფასია ჩვენთვის.

თამარ იყო მრავალმხრივი გენია, და ამ დიდბუნებოვანი ადამიანისათვის არ ყოფილა უცხო, აგრეთვე, პოეზია.

ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა დიდი ნაწილი, როგორც ირკვევა, ჩვენ დრომდე არ მოღწეულა; ისინი დაიღუპნენ იმ არა-ერთგზის პოლიტიკური კატასტროფების შედეგად, რომელიც განიცადა ჩვენმა ქვეყანამ საუკუნეთა განმავლობაში.

კერძოდ თამარის ეპოქიდან, მე-12—13 საუკუნეებიდან, ჩვენ გვაქვს ცნობა ათეულ პოეტურ ძეგლთა შესახებ, რომელთა სახელები, ან ავტორები ვიცით, რომლებიც მოხსენიებულია, ან ციტირებული გადარჩენილ ტექსტებში, მაგრამ თვით ნაწარმოებნი ჩვენ დრომდე არ შემონახულან.

ძველი ქართული მწერლობის მემკვიდრეობა ჩვენ გვაგონებს ძვირფას გვირგვინს, შემკულს ძვირფასი თვლებით, მაგრამ დაწეწილს ჩვენი ქვეყნის ჟამთა-სიავისა და ძნელბედობის ხანაში; ძვირფას გვირგვინს, რომელსაც არა ერთი და ორი ძვირფასი ქვა დაჰკარგვია.

რა სახით არის მოღწეული ჩვენ დრომდე თამარის ლიტერატურული მემკვიდრეობა?

გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ არა სრულად.

რაღა შორს წავიდეთ, — ჩვენ დღემდე ისიც კი არ ვიცოდით დაბეჯითებით, რომ თამარს მონაწილეობა მიუღია ქართულს მწერლობაში.

თამარის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენ დრომდე გადარჩენილია მხოლოდ ერთი ციკლი: ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი ი ა მ ბ ი კ ო ნ ე ბ ი.

ამასთან ჩვენ გვაქვს საბუთი დავასკვნათ, რომ თვით ეს ციკლიც — ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი ი ა მ ბ ი კ ო ნ ე ბ ი — არაა მოღწეული სრულად (რომ თამარის ფილოსოფიური იამბიკონები არ არის სრულად შენახული, ეს ჩვენთვის ცხადი გახდება, როდესაც განვიხილავთ ჩვენ დრომდე დაცული ხელნაწერის ტიპს: ამ ხელნაწერის სათანადო ნაწილი შეიცავს არა მთლიანს კრებას ცალკე ავტორთა თხზულებებისა, არამედ ქრესტომათიის სახით გამოკრებილს ტექსტებს; თითოეული ავტორი აქ წარმოდგენილია არა სრულად, არამედ მხოლოდ ცალკეული გამოკრებილი ტექსტების სახით).

ეს ერთი გარემოება.

ამის შემდეგ მეორე კითხვა:

განისაზღვრებოდა თამარის პოეტური მემკვიდრეობა მარტო ამ ერთი ჟანრით, — ფილოსოფიური იამბიკონით? ჩანს არა. გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ თამარისათვის ამასთან ერთად არ იყო უცხო, აგრეთვე, ჟანრი წმიდა საერო პოეზიისა, იმ პოეზიისა, რომელსაც ამ ეპოქაში წარმოადგენდა რუსთაველი.

თამარის პოეტური მემკვიდრეობა, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრით, ცხადია განხილულ უნდა იქმნეს თვით იმ ჟანრის ასპექტში, რომელსაც იგი ეკუთვნის.

თამარის ი ა მ ბ ი კ ო ნ ებ ი — წარმოგვიდგენს ტიპიურ ძეგლს მე-11—13 საუკუნეების ქართული ფილოსოფიური პოეზიისა.

* * *

კლასიკური ქართული იამბიკონი — რიტმული სტრუქტურის და პოზიდიული წყობის მიხედვით — ტიპიური ქართული სილაბიური ლექსია. იგი შეიცავს თორმეტ მარცვალს, ცეზურით მეხუთე მარცვალზე (უფრო ხშირად), ან მეშვიდე მარცვალზე (უფრო იშვიათად).

იამბიკონი — თეთრი ლექსია; რითმის ხმარება აქ დაუშვებლად ითვლება. (ეს ტრადიცია ურითმო თეთრი ლექსისა ქართულ იამბიკონმა შეითვისა მისი ბერძნული პროტოტიპიდან — იამბიკური ტრიმეტრიდან).

გვხვდება რითმიანი იამბიკონებიც, მაგრამ ეს უკვე სტილის დარღვევაა; კლასიკური იამბიკონი — ურითმო უნდა იყოს.

ძველ-ქართული ფილოსოფიური პოეზიის დარგში თამარის იამბიკონებს ღირსებისამებრ უნდა მიეკუთვნოს უაღრესად საჩინო და საპატიო ადგილი. უფრო მეტიც: ვფიქრობ, ჩვენ არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ თამარის იამბიკონებს ძველ-ქართული ფილოსოფიური პოეზიის მემკვიდრეობაში უნდა მიეკუთვნოს პირველი ადგილი, იმდენად დიდის ლიტერატურულის ღირსებებით არიან ისინი აღბეჭდილნი.

თამარის ლექსებში იგრძნობა ნამდვილი ბრწყინვალება ძველი ქართული ენისა; ამასთან აქ მოცემულია ის მკვეთრი — ლაპიდარული მოხაზვა სახეებისა, ის ლაკონიზმი და აფორისტული ჭედი სიტყვისა, რაც შეადგენდა ფილოსოფიური პოეზიის სპეციფიური სტილის არსს.

ჩვენ უნდა გამოვთქვათ ამასთან ერთად ჩვენი ღრმა მწუხარება იმის გამო, რომ თანამედროვე მკითხველი, რომელიც არ იცნობს ძველი ქართული ფილოსოფიური მწერლობის ენას, მოკლებულია საშუალებას იგრძნოს მთელის სავსებით ეს არტისტული მხატვრული სრულყოფა თამარის იამბიკონებისა. ძველ-ქართული ფილოსოფიური ენა იმდენად დაცილებულია თანამედროვე ქართულს, რომ იგი, სპეციალური ცოდნის გარეშე, ძნელად მისაწვდომია თანამედროვე მკითხველისათვის.

ამის გამო ჩვენ იძულებული ვართ ამ ლექსებს დავურთოთ კომენტირებული თარგმანი ახალ-ქართულ ენაზე; მაგრამ ცხადია, ეს მაინც არ იძლევა წარმოდგენას ლექსების სიტყვიერი ქსოვილის მხატვრული ელფერის შესახებ.

გავეცნოთ ამის შემდეგ თამარის იამბიკონებს.

თამარის ჩვენ დრომდე მოღწეული იამბიკონები სამ წყებად იყოფა:

1. იამბიკონთა ჯგუფი „მზის შარავანდნი“.
2. მიძღვნა დედისა და ძისადმი.
3. იამბიკონი საეკლესიო — ქართველთა შამქორს გამარჯვებისათვის.

ეს უკანასკნელი წარმოადგენს ოდას, მაგრამ იგი დაწერილია ფილოსოფიური პოეზიის ფორმითა და სტილით, და შინაარსის მიხედვითაც — მისი პირველი ნაწილი ფილოსოფიურ ხედვას შეიცავს.

„მზის შარავანდნი“

ეს ციკლი შეიცავს ოთხს იამბიკონს, რომელთაგან თითოეული დაწერილია იამბიკონური სტროფით („იამბიკონური ხუთეულით“ ე. ი. ხუთ-ტაეპოვანი წყობით).

ცალკეული იამბიკონები ატარებენ ასეთს სათაურს:

1. „იამბიკო მარიამ მეგეპტელისა“.
2. „გიორგისი“ (კაბადუკიელისა).
3. „თეოდორესი“ (ტირონისა).
4. „თამარისი“.

უკანასკნელი იამბიკო წარმოადგენს ამ ციკლის ეპილოგს.

ამ იამბიკონებიდან ჩვენ ვეცნობით თამარის ფილოსოფიურ სოფლხედვას: — ეს არის ქრისტიანული ხედვა განათებული ელინური ფილოსოფიის შუქით.

თამარ ამ იამბიკონებში, რომლებიც მედლების სახით არის გამოკვეთილი, იძლევა ქრისტიანულ მოღვაწეთა სახეებს: მარიამ მეგვიპტელისას, გიორგისას და თეოდორე ტირონისას.

ხოლო, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია თამარის ფილოსოფიური სოფლხედვისათვის, თამარ ქრისტიან მოღვაწეთა საქმეში ხედავს — „ატტიკურ სიმხნე“-ს. „ატტიკური სიმხნე“ — ე. ი. სტოიციზმი, ატტიკური (ელინური) ფილოსოფიის მიერ განსაზღვრებული ადამიანის ზნეობისა და საქმის სახელმძღვანელოდ, — აი რა შთააგონებს თამარს.

აქ საჭიროა ხაზი გაუსვათ, აგრეთვე, მზის სიმბოლიკას, რომელიც ლეიტმოტივის სახით გასდევს მთელი ციკლის ოთხსავე იამბიკონს:

პირველ იამბიკონში: მიმართვა მზისადმი;

მეორე იამბიკონში: მზე შარავანდი დიდი — ცის ქვეშისა და მზისზედაჰსა მსოფლიოსი;

მესამე იამბიკონში: ცის შარავანდის მზეობა;

მეოთხე იამბიკონში: ნათელ-ცისკროვნება მზე ოქრო-შარავანდისა.

მოგვყავს ამ იამბიკონთა ტექსტი.

(ტექსტთან ერთად მოგვყავს მათი თარგმანი-კომენტარი ახალ-ქართულზე, პოეტური სახეების გახსნით).

იამბიკო მარიამ მეგვიპტელისა

1. გიხილავნ — მზეო! —
   უცხონი ნიშნი ფრიად,
2. გარნა მდედრისა
   ბუნებისა ესოდენ
3. დაკნინებულნი
   ნივთნი აროდეს სადა:

თარგმანი-კომენტარი:

2. „მზეო! გიხილავს უცხონი
   საკვირველებანი ფრიადნი,
2—3. მაგრამ ქალური ბუნებისაგან ესოდენ
   ამაღლება ნივთიერ ბუნებაზე, (გარდაქმნა მატერიის სტიქიონთა), „ბუნების ნივთთა ესოდენ დაკნინება“ — დამცრობა არასოდეს გიხილავს.

4. ვითარცა მიწა —
ზე ეტვირთა ჰაერსა,
5. და ნივთიერთა
ხორცთა სიზრქე-მწყურნებსა.

4. თუ ვითარ მიწა — ზე ეტვირთოს ჰაერსა,
5. და ნივთიერ სხეულთა „სიზრქე“ (ქვე-და-მზიდველი სიმკვრივე) — ზე ეტვირთოს წყალსა მწყურნებსა“.

წმ. გიორგისა

1. კაბადუკიით
მზე შარავანდი დიდი
2. ცის ქვეშისა და
მზის ზედაჲსა სოფლისაჲ, —
3. ატტიკელ მხნეობს
იგი ნიშებთა ელვებრ!
4. შვიდ-გზის მოწამე —
აშვიდ-გზისებს გვირგვინთა,
5. და ღმრთის ზიარ-ქმნით
გიორგი განვლის ცათა!

თარგმანი-კომენტარი:

1. კაბადუკიით მოვლენილი — მზე შარავანდი დიდი,
2. არა ნივთიერი მზე, არამედ მზე — მზეთა, მზე — ადამიანი, ორკერძ მანათობელი ორი-სავე სამყაროსი — ცის ქვეშისა და მზის ზედაჲსა მსოფლიოსი, —
3. ატტიკური სიმხნით (ე. ი. ფილოსოფიური სტოიციზმით) იგი მოავლენს საკვირველ-ებათა ელვისებრ:
4. შვდ-გზის წამებულს შვდ-გზის დაედგმის გვირგვინი
5. და ღმრთის ზიარ-ქმნით გიორგი განვლის ცათა!

წმ. თევდორესი

1. ცის შარავანდი
იმზებს ნიშთა თევდორე,
2. მაქსიმოსს ალმობს —
ღმრთისა დიდისა შურსა.
3. ძელთ აიმდემი
ქვათა აღსწბავს ცეცხლითა,
4. ღვაწლთა თმენითა
ამაღნიტებს მსაჯული,
5. და ცად ჰყოფს იგი
ქრისტეს შორის სუფევად.

თარგმანი-კომენტარი:

1. ცის შარავანდი თევდორე მზეებრ განფენს საკვირველებათა,
2. მაქსიმოსს (—რომაელთა იმპერატორს, ამ ქვეყნიერ უფალს), ღმრთისა დიდისა შურსა. იგი ტანჯვას ჰვერის (თავისი შეუდრეკელობით).
3. ძელზე გაკრული — ქვათა განლევს ცეცხ-ლითა,
4. ითმენს სატანჯველთ, რომელიც მას მსაჯულ-მა განუმზადა, იწრთობა, როგორც მაგნიტი ცეცხლში, —
5. და ციერად იქცევა ქრისტეს თანა სუფევად.

მეოთხე იამბიკო, ზედ-წერილით „თ ა მ ა რ ი ს ი“, წარმოადგენს, როგორც მოვიხსენეთ, ამ ციკლის ეპილოგს. აქ თვით თამარ ლაპარაკობს თავისი პირით.

ეს იამბიკო მესიანისტური სულისკვეთებით არის გამსჭვალული, იგი იძლევა საქართველოს სახელმწიფოებრივი უფლების მესიანისტურს გამართლებასა და თვითდადგინებას.

თამარ თავის თავს აქ აცხადებს „კ ე დ ა რ თ ა“ მფლობელად“ — ქვეყნის ოთხივე მხარის მბრძანებლად; იგი აცხადებს თავის-თავს ერთობლივ ქრისტიანეთა მფარველად და უმაღლეს მეფედ, რომელსაც ერთადერთს მოსავს სხივებით მზე ოქრო-შარავანდი.

ამავე მესიანისტურ ასპექტში, იმის გასამართლებლად, რომ საქართველოს მეფე არის მფარველი და ერთადერთი უმაღლესი მბრძანებელი ქრისტიანული მსოფლიოსი, იამბიკოში აღნიშნულია აგრეთვე ისიც, რომ თამარ, ბაგრატიონთა გვარისა, არის შთამომავალი დავით მეფსალმუნე-წინასწარმეტყველისა (რომლის შესახებაც წერილმა სთქვა: მისნი ტომნი იქნებიანო ქვეყნის უფალნი).

თ ა მ ა რ ი ს ი

1. მზეობს ცის ქვეშე
მზე ოქრო-შარავანდი,
2. ქრისტეს-სჯულებთა
ენათელ-ცისკროვნების!
3. სამყაროს შუქი
ერთსა ნათლისა-მსხივობს!
4. ყვავილ-სუნნელთა
ევარდ-კინამოების,
5. და კედართ მფლობი,
ასულობს თ ა მ ა რ — დავითს!

თარგმანი-კომენტარი:

1. მზეობს ცის ქვეშე მზე ოქრო-შარავანდი,
2. იგი ქრისტეს მოსავთა ნათელცისკროვნად ეფინება.
3. სამყაროს შუქი მარტოოდენ ე რ თ ს ა (ერ-თობილ ქრისტიანეთა უმაღლეს მეფეთა-მეფესა) მმოსავს ნათლის სხივებით.
4. იგი ყვავილ-სუნნელთა (—ედემის სახით და-ნერგილს ბაღს, ე. ი. ქრისტიანულ სამყა-როს) ვარდ-კინამოდ ეფრქვევა.
5. მსოფლიოს მფლობელი („კედართ მფლობი“) თ ა მ ა რ — ასულობს დავითს (ე. ი. შთა-მომავლობს დავით წინასწარმეტყველისა-გან, რომლის შესახებ წერილმა სთქვა: **მისნი ტომნი იქნებიანო ქვეყნის უფალნი).**

* * *

ჩვენ გავეცანით თამარის პოეტური მემკვიდრეობის ამ პირველ ციკლს: „მზის შარავანდნი“.

ჩვენ წინაშე ისახება უაღრესად თავისებური სახე მხატვრული სიტყვის დიდი ხელოვანისა.

ჯერ ერთი, მკითხველი მიაქცევდა ყურადღებას, თუ როგორის არტისტულობით, როგორის უცთომელის მხატვრულის ტაქტით არის დაკავშირებული ერთმანეთთან ეს ოთხი განსხვავებულ პოეტურ სახეთა შემცველი იამბიკონები, ამავე დროს შინაგანად შენივთებულნი — ერთი ლეიტმოტივით, ერთი ძირითადი პოეტური მაგისტრალით, — მზის სიმბოლიკით.

შემდეგ, მაღალ მხატვრულ შეფასებას იწვევს თვით ფაქტურა პოეტურის სიტყვისა. თამარის პოეტური ფრაზა თითქოს ნაჭედია ძვირფასი ლითონიდან. თამარის პოეტური სიტყვის ეს ფაქიზი სუფთა ფაქტურა უნებლიეთ გვაგონებს ბექა ოპიზარის ოქრო-ქანდაკებას.

თამარის იამბიკონთა პოეტური სიტყვა — აღბეჭდილია უმჭიდროესი მხატვრული ეკონომიით. აქ მართლაც მოცემულია ერთის მხრით — სიმჭიდროვე სიტყვათა, ხოლო ამავე დროს, სიხალვათე პოეტური აზრის განფენისა. ზოგჯერ მთელი პოეტური სახე ნანიშნებია და გამჭვირვალედ გამოსხივებული ერთი სიტყვა-ხატით.

მიძღვნა დედისა და ძისადმი

იამბიკო — მიძღვნა დედისა და ძისადმი დაწერილია, როგორც ირკვევა, 1193 წელს.

ამ წელს თამარ — დედა გახდა. იშვა თამარის პირმშო, საქართველოს მემკვიდრე ლაშა-გიორგი.

მემატიანე მოგვითხრობს ლაშა-გიორგის დაბადების შესახებ:

თამარ მეფე მსგავს იქმნაო თვით ღვთის-მშობლისა მარიამისა; თამარმაო, — ამბობს მემატიანე, — „განწმედილითა გონებითა, და ტაძრისა ღმრთისა აღმსჭუალულისა — სანთლითა სხეულისაჲთა, მხურვალითა გულითა და განათლებულითა სულითა, ტაბახმელისა ბეთლემ-მყოფელმან, მუნ შუა ძე, სწორი ძისა ღმრთისა, რომლისთვისცა ნათელი უკვდავთა ნაწილისა აღმოგვეყუავილა“.

ეს დაწერილია თვით თამარის სიცოცხლეში, როდესაც ლაშა-გიორგი ყრმა იყო.

მემატიანის სიტყვებიდან ჩვენ ვხედავთ, თუ რა შარავანდედით იყო შემოსილი თამარის სახელი.

თამარს, ლაშა-გიორგის დაბადება, როგორც ეს მიღებული წესი იყო, აღუნიშნავს შესაწირავით. შეუმკია გელათში დასვენებული ხახულის ღვთის-მშობელი, რომელიც საქართველოს ნაციონალურ სიწმიდედ ითვლებოდა. ნიშნად მვედრებლობისა, დაუწერია იამბიკო, რომელიც ამოუქანდაკებიათ ხახულის ხატზედვე.

ღვთისმშობელი ხახულის ხატზე წარმოდგენილია როგორც დედა, ჩვილი ყრმით ხელში.

თამარ მიმართავს დედა-დედას.

აი თვით ეს იამბიკონი თამარისა:

1. ქალწულებრივთა
   სისხლთა შენთაგან, სძალო,
2. თბედ საიდუმლოდ.
   ზენაჲსა განგებისაგ,
3. ძისა ღმრთისა — ძედ
   მეშვ იქმენ არსთა მცხოვნად!
4. მე, თ ა მ ა რ, ჩემნი
   ტომთაგან დავითებრთაჲთ
5. თვისად, — შემამკევ,
   მადიდე, აღმამაღლე!

თარგმანი-კომენტარი:

1—2. სძალო (ღმრთის-მშობელო)! შენთა ქალწულებრივთა სისხლთაგან საიდუმლო შეზავებით, ზენა განგებისამებრ,

3. ძედ დაჰბადე ძე ღმრთისა. არსთა სასიცოცხლოდ.

4. მე, თამარ, შთამომავალი დავით მეფსალმუნე წინასწარმეტყველისა (და შენი, ღმრთის-მშობელო), თვისი (ერთი-სისხლი და ნათესავი),

5. შემამკევ. მადიდე და აღმამაღლე.

6. აწ მეცა ხელ-ვყავ
   შემკობად ხატსა თქვენსა, —

7. დედისა ძითურთ, —
   და მეცა, ძითურთ, მფარევდ!

6. აწ მეცა ხელ-ვყავ შემკობად ხატისა თქვენისა, — დედისა ძითურთ, —

7. და მეცა (თამარ), ძითურთ (ლაშა-გიორგით), — დამიფარე!

იამბიკო სავედრებელი ქართველთა შამქორს გამარჯვებისათვის

დ ი დ გ ო რ ი ს გამარჯვება — დავით აღმაშენებლის დროს, და შ ა მ ქ ო რ ი ს გამარჯვება თამარ მეფის დროს, — ეს ორი ღირსსახსოვარი ამბავი ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან უნდა მოვიგონოთ აქ, — თამარის ამ იამბიკონთან დაკავშირებით.

1121 წელს, დავით აღმაშენებელმა დაამარცხა დ ი დ გ ო რ თ ა ნ, ტფილისის შემოგარენთან, საქართველოს საზღვრებში შემოსული მუსულმანთა უძლიერესი კოალიციის ლაშქარი, და ამ გამარჯვების შედეგად, როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, დავით აღმაშენებელმა განამტკიცა საქართველოს სახელმწიფო — ახალ საზღვრებში, შავი ზღვიდან — კასპიის ზღვამდე.

თბილისი. მეტეხის ტაძარი. XI ს

ასომთავრული წარწერა თამარ მეფის გულსაკიდ ჯვარზე

თუ ვიმყოფებით მზის ქვეშე,
ამაოდ არ დავშვერითა,
წინადგომითა შენითა,
წინაძღომითა შენითა...
შემწე ეყავი თამარსა
მტერთა უძღებთა აღგვითა,
ბრძენ სოლომონის ჭკუისა,
მარგალიტისა ბაგითა...
შემწე ეყავი საქვეყნო
მისთა ზრახვათ და სურვილთა...
გააპე გველი მტარვალთა...
სავსე ღვარძლით და შურითა.

ბევრი წყარო და ბევრი ხევია
ბეთანიამდე,
სადაც სანთელი მარადისობის
იწვის ნიადაგ,
სად დიდებული მეფეთ-მეფე დგას
ხელაპყრობილი,
რომ ქართველობას ისევ მაღალი
აზრი მოჰფინოს...
კვლავ სამშობლოსთვის მთხოვნელი არი
შუქმირიადი
ბევრი წყარო და ბევრი ხევია
ბეთანიამდე.

ვარძიის ფრესკა. მეფე გიორგი III და თამარი

74 წლის შემდეგ, დავითის დიდი მემკვიდრის — თამარის დროს, 1195 წელს, ქართველთა მხედრობამ დაამარცხა შამქორთან — განჯის შემოგარენთან, მუსულმანთა სხვა ახალი უძლიერესი კოალიციის შეერთებული საკავშირო ჯარი. ხოლო იმ ლაშქრობათა შედეგად, რომელიც მოჰყვა შამქორს, მე-12 საუკუნის დასასრულსა და მე-13 საუკუნის დასაწყისში, საქართველო იქცა უძლიერეს სახელმწიფოდ ახლო აღმოსავლეთში, და საქართველოს საზღვრები მიტანილ იქმნა ირანის მიმართულებით — ერაყის პროვინციამდე (შიდა სპარსეთი); ბაღდადის ხალიფატის მიმართულებით — მარაღამდე (ურმიის ტბასთან); ანატოლიის მიმართულებით — ვანის ტბამდე — (ხლათის სასულთნოთი) და ევფრატამდე (—ეზინკის ემირატით); ხოლო შავი ზღვის სანაპირო ხაზით პაფლაგონიამდე (ტრაპიზონის სამეფოს დასავლეთ მიჯნამდე).

საქართველოს სახელმწიფოს ორს სახელოვანს მეთაურს, — დავით აღმაშენებელსა და თამარს, — ეს ღირსსახსოვარი გამარჯვებანი ქართველი ხალხისა, — დიდგორისა და შამქორისა, — აღუნიშნავთ ჰიმნებით.

ქართული მატიანეები ამის შესახებ შემდეგს გადმოგვცემენ:

დიდგორის გამარჯვების შემდეგ დავით აღმაშენებელს წარუგზავნია გელათში დასაცველად ერთ-ერთი ტროფეი („იავარი") დიდგორის ბრძოლისა: არაბთა მეფის მანიაკი (ფარღული). ეს მანიაკი ეკუთვნოდა არაბთა მეფეს დორბეზე სადაყაის-ძეს, რომელიც მონაწილეობდა დიდგორის ბრძოლაში (სხვა მუსულმან მფლობელებთან ერთად); როგორც გადმოგვცემს მემატიანე, როდესაც დამარცხებული მუსულმანთა ლაშქარი ილტვოდა, — ქართველთა მხედრებმა „მოსძარცუეს ქედისაგან დორბეზე სადაყაის-ძისა, ჟამსა დიდგორთა გაქცევისათა", — მანიაკი ოქროჲსა, შემკული თუალებითა ძვირფასისაჲთა".

დავით აღმაშენებელმა ეს ტროფეი მანიაკი, როგორც სიმბოლო გამარჯვებისა, წარგზავნა რა დასაცველად გელათში, ხახულის ღვთისმშობლის წინაშე, რომელიც საქართველოს ნაციონალურ სიწმიდედ და ქვეყნის დედა-მფარველად ითვლებოდა, — ამავე დროს, აღწერა და ტროფეისთან ერთად წარგზავნა გელათში ჰიმნი გამარჯვებისა.

დავით აღმაშენებლის ჰიმნი დაწერილი ყოფილა „იამბიკოდ ხუთეულად, ოცდახუთ ლექსად".

შამქორის გამარჯვება თავისი მნიშვნელობით დიდგორის გამარჯვებას უდრიდა. შამქორმა უნებლიეთ გააცოცხლა იმ-დროინდელს ქართულს საზოგადოებაში დიდგორის ბრწყინვალე სახსოვარი.

და თამარ მოიქცა ისევე, როგორც მისი დიდი წინაპარი დავით აღმაშენებელი.

ამ მრავალ ტროფეებს შორის, რომელიც ძლევამოსილმა ქართულმა ჯარმა მოიტანა შამქორიდან, იყო თვით ხალიფის დროშა. ეს მწვანე დროშა მაჰმადისა, ხალიფს, მუსულმანთა უმაღლეს მბრძანებელს, წარმოეგზავნა „ღაზოდ" ე. ი. სამოშურნეოდ (უძლეველობის ნიშნად) — მუსულმანთა იმ დიდი საკავშირო ლაშქრობისათვის, რომელიც საქართველოსკენ დაიძრა, — და ქართველებმა ეს მწვანე დროშა მაჰმადისა ტყვედ წარმოიყვანეს შამქორის გამარჯვების დროს.

ქართველი გმირი, რომელმაც ხელთ იგდო ბრძოლის დროს მაჰმადის ეს მწვანე დროშა, იყო შალვა ახალციხელი (თორელი), რომელსაც ადრევე განთქმული რაინდის ხახელი ჰქონდა მოხვეჭილი საქართველოში.

შალვა ახალციხელმა მაჰმადის ეს დროშა პირადად მოართვა თამარს, თამარის ფეხთა წინაშე განფინა.

შამქორის გამარჯვების ტროფეებიდან — თამარმა აირჩია ეს დროშა, როგორც ღირსსახსოვარი სიმბოლო ქართველთა ძლევამოსილებისა, და დავით აღმაშენებლის მსგავსად, წარგზავნა მაჰმადის ეს დატყვევებული მწვანე დროშა დასაცავად გელათში, ხახულის ღვთის-მშობლის წინაშე. ამასთან თამარმა, აგრეთვე დავით აღმაშენებლის მსგავსად, აღწერა ჰიმნი — „იამბიკო საველრებელი" ქართველთა შამქორს გამარჯვებისათვის, და ეს ჰიმნი —ტროფეისთან ერთად წარგზავნა გელათს.

თამარის თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი „შარავანდედთა ისტორია-აზმანთა" ავტორი, რომლის საისტორიო შრომა დაწერილია მე-12 წელს თამარის მეფოობისა, 1195—1196 წლების მანძილზე (ე. ი. იმავე თვეებში, როდესაც გადახდილ იქმნა შამქორის ბრძოლა), შემდეგს წერს — ზემოთ აღნიშნულის შესახებ:

„დროშა იგი ხალიფისა, რომელი მოიღო შალვა ახალციხელმან, წარგზავნა ესე მეფემან თამარ მონასტერსა დიდსა გელათს, წინაშე ხახულისა ღმრთისმშობელისა, მსგავსად მამის-პაპისა მისისა დავით აღმაშენებელისა, ვითარცა მაშინ დიდსა დავითს წარეგზავნა მოძრცული ქედისაგან არაბთა მეფისა დორბეზე სადაყაის-ძისა, ჟამთა დიდგორთა გაქცევისათა, მანიაკი ოქროჲსა, შემკული თუალებითა ძვირფასისაჲთა. მიზეზად ძღუნისა შემწირველობისა და მვედრებლობისასა ამანცა (მეფემან თამარ, მსგავსად დიდისა დავითისა) ესევითარად ესე იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად აღწერა".

ამ წინასიტყვაობის შემდეგ ისტორიკოსს მოჰყავს თამარის თვით ეს „იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად აღწერილი".

იამბიკონი თამარისა აღბეჭდილია საზეიმო განწყობილებით; აქ გადმოცემულია ერის ზეიმი.

ეს ჰიმნი პირველ ყოვლისა არის პოლიტიკური დეკლარაცია, აპოლოგია საქართველოს სახელმწიფოებრივი იდეისა.

თამარ აქ ლაპარაკობს როგორც მეფეთ-მეფე საქართველოსი და ამავე დროს, როგორც უზენაესი მბრძანებელი ქრისტიანული მსოფლიოსი.

შამქორი — ეს იყო დამხობა მუსულმანთა ძლიერებისა და ქრისტიანული საქართველოს აღზევება. და თამარ იამბიკოში მიმართავს ღვთისმშობელს, როგორც ნათელს ქრისტიანობისას და საქართველოს დედა-მფარველს.

შინაარსი იამბიკონისა შემდეგია.

პირველ ორ სტროფში მოცემულია ფილოსოფიური გაშლა ქრისტიანიზმის იდეისა, საქართველოს ოფიციალური ნაციონალური იდეოლოგიისა.

მესამე სტროფში აღიარებულია საქართველოს სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობა; ხოლო ამასთან დაკავშირებით, აღიარებულია საქართველოს მეფეთ-მეფის პირველობა მსოფლიოში, როგორც ქრისტიან ხალხთა უზენაესი მფარველისა და მბრძანებელისა.

იამბიკონთა ციკლში „მზის შარავანდნი“ ჩვენ უკვე გავეცანით თამარის მესიანისტურ იდეას საქართველოს განსაკუთრებული ისტორიული მისიის შესახებ ქრისტიანულ სამყაროში. ხოლო ამ ჰიმნში — ქართველთა შამქორის გამარჯვებისათვის ეს მესიანიზმი გამოსახულია კიდევ უფრო მეტის სიმკვეთრით.

თამარ აღიარებს, რომ იგი, ვითარცა შთამომავალი დავით მეფსალმუნე წინასწარმეტყველისა, არის შტო იმავე ხისა, რომლისგანაც წარმოიშვა თვით ღვთის-მშობელი და ქრისტე, და ამრიგად, თამარ არის ერთსისხლი და ნათესავი თვით ღვთაებისა; ამის გამო საქართველოს მეფეთ-მეფე მოწოდებულია თვით ღვთაებისაგან, ცხებულია ღვთაების მიერ მბრძანებლად.

თამარ მიმართავს ღვთისმშობელს:

1. შენგან — ქალწულო! —
   რომელ შენი თუს დავით
2. როკვიდა, ძისა
   ღმრთისა ძედ შენდა შობად, —
3. მე, თამარ მიწა
   შენი და მ ი ე რ ი ვ ე
4. ცხებულებასა
   ღირს-მყავ, და თუსობასა, —
5. ედემს, ღადირთად,
   სამხრით და ჩრდილოეთით.

1. შენგან, ქალწულო, რომლისათუსაც შენი თუსი (შენი ერთ-სიხლი ნათესავი (დავით (მეფსალმუნე)
2. როკვიდა, (და ამით წინასწარმეტყველურად მოასწავებდა) ღვთაების ძის (ქრისტე-მესიის) ძედ შენდა შობას.
3. მე, თამარ მიწა შენი და მ ი ე რ ი ვ ე (მიერი დავით მეფსალმუნისა, დავითის შთამომალი, და შენი, დავით ასულო, ერთ-სისხლი მკვიდრი),
4. ღირს-მყავ შენსა თუსობასა (შენსა ნათესაობასა), და (მეფედ) ცხებულებასა —
5. (მსოფლიოს მფლობელად): აღმოსავლეთიდან (სადაც ე დ ე მ ი დანერგა ღმერთმა) — ვიდრე დასავლეთამდე („ღადირთამდე“, — ე. ი. მსოფლიოს დასავლეთ მიჯნამდე — ჰერაკლეს ბჭეებამდე), და სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე.

მოგვყავს ამ სტროფის თარგმანი ახალ ქართულზე. — პოეტური და თეოლოგიური სახეების გახსნით:

(აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ „ედემი“ წარმოდგენილი იყო, როგორც მდებარე მსოფლიოს აღმოსავლეთ მიჯნაზე, ხოლო „ღ ა დ ი რ ნ ი“, ანუ ჰერაკლეს ბჭეები,— მსოფლიოს უკიდურეს დასავლეთ მიჯნაზე).

იამბიკო სავედრებელი ქართველთა შამქორს გამარჯვებისათვის*

იამბიკოს ბოლო ორ სტროფში მოხსენებულია „მიზეზი მვედრებლობისა და ძღუნისა შემწირველობისა“; — ქართველთა ძლევამოსილი ლაშქრობა შამქორს, სადაც, თამარის მეუღლის დავითის წინამძღოლობით ქართველთა მხედრობამ „მოირთხნა, მოსრნა აგარის ნათესავნი“, დასთრგუნა მუსულმანთა ტომნი. თამარ მიართმევს ღვთისმშობელს, როგორც ერის დედა-მფარველს, ტყვედ წამოყვანილს მაჰმადის დროშას, როგორც სიმბოლოს მუსულმანთა ძლიერების დამხობისა.

ასეთია შინაარსი ამ მესიანისტური ჰიმნისა.

დაწერილია ჰიმნი კლასიკური იამბიკონით, ფილოსოფიური პოეზიის კანონზომიერებული სტილით. იამბიკონს ახასიათებს მკვეთრი ჭედი პოეტური სიტყვისა, მხატვრულის ლაკონიზმით ნაკვეთი სახეები.

მონუმენტური სტილი ფილოსოფური პოეზიისა, ხოლო ამასთან ერთგვარი ოფიციალური ტონი იამბიკონთა სავსებით შეეფერება მესიანისტური იდეოლოგიის იმ დეკლარაციას, რომელსაც წარმოგვიდგენს ეს ჰიმნი.

თამარის ფილოსოფიური სოფლხედვა, ეს არის ქრისტიანიზმი, გაშუქებული ელინური ფილოსოფიით.

თამარ გამოდის ქრისტიანული იდეოლოგიის დამცველად, როგორც უზენაესი მეფეთ-მეფე ქრისტიანული აღმოსავლეთისა.

მაგრამ, ქრისტეს მოძღვრება არის არა მარტოოდენ ოფიციალური თვალთახედვა, რომელსაც იცავს თამარ, როგორც ქრისტიანული მსოფლიოს უზენაესი მბრძანებელი, არამედ ქრისტიანული მოძღვრება — ეს არის თამარის ფილოსოფიური სოფლხედვის ნამდვილი არსი.

---

* როგორც სხვა იამბიკონი თამარისა, ეს იამბიკოც მთლიანად მოყვანილი, და ასევე, ახალ ქართულზე გადმოთარგმნილია პ. ინგოროყვას ნარკვევში, მაგრამ ვინაიდან ჟურნალის ამავე ნომერში გვ. 36, ამ იამბიკოს საგალობლის ნოტი და ასევე მისი ტექსტი იბეჭდება, რედაქციამ იგი წერილიდან ამოიღო.

ᲬᲛᲘᲜᲐ

მთავარეპისკოპოსი **თადეოზი** (იორამაშვილი)

* * *

იყვნენ დიდნი, დიდნი სულნი,
სიკეთით და სიბრძნით სრულნი,
აღვირსხმიდნენ ყველა სურვილს, —
სამამულო ზრუნვის გარდა;

ამ წარმავალ წუთისოფელს,
წამისა და წამის მსწრობელს,
სიმართლის და მადლის მგმობელს, —
არად სთვლიდნენ, არ უყვარდათ...

მკაცრი მცნებით იყვნენ მკაცრნი,
ჰქონდათ მადლი უფლის ტაძრის,
იმათ ყოფნას ჰქონდა აზრი, —
ისე, როგორც ცაზე მზისას, —

მთებად წამომართულები,
უმაღლესად ქართულები,
ფუტკარივით გართულები,
მსახურქმნილნი ნათელისა...

ლოცვა მამა-ღმერთისადმი

ისმინე ღაღადისი
ყოვლად ცოდვილისა
მონისა შენისა...
რამეთუ წერილ არს:
„მიეცეს წყალობა წინაშე ღვთისა
ჯვარცმულის სახელით მვედრებელსა“,
გვედრებ უფალო!
მოჰმადლე მონასა შენსა
საკურნებელად სულისად
ფრთეთა ქვეშე შენთა ყოფნა,
რათა არა მიხილონ ულმრთოდ
დარჩენილი მადევართა და
მაჭირვებელთა ჩემთა,
და არა ვიქმნე დაცემულ გეჰენიისად.
მიწყალე მე უფალო, მიწყალე
მონა ძისა შენისა;
ვითარ ღაღადვყო მარად:
წმიდა ხარ!
წმიდა ხარ!
წმიდა ხარ, საბაოთ! —
მამაო ღმრთისა ჩემისა,
ყოვლად მწყალობელო,
ამინ.

მურთაზ ჩახავა

სიმღერები

ცასა ცათასა*

შავლეგ შილაკაძე



* თამარ მეფის იამბიკო „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. კ. კეკელიძის გამოც., 1941, გვ. 109—110.


კა- ცი- სა.
ძენ მი- ერ ძის-თვის დრკეი- სა
მის ვან- შვე- ბე- ლი,
როს დრკეი მიდრ- კა
უე- ხე- ბელ- ძან
უე- ნე-ბელ-ძან ნე- ბი-სად- ძი
ვნე- ბაი
ივ- ხო და ვნე- ბაი
ჰირ- ვე- ლი უე- ნე- ბელ- ყო.
ძენ- გან შო- ბილ- მან
ივ- ხო და უე- ნე- ბელ- ყო შენ- გან
ჩვენ ღირს გუყ-ვნა ალ- მო- შო- ბად
ბხე- ლით ნა- თელ- სა, ნათ-ლი- თა
ნა- .. თელ- სა,
ნა- თელ-
ალ- მო- შო- ბად ნა- თელ- სა, ნა- თელ-
სა.
ბად.
sehza metrum
ძეხ- განქალ-წე- ლო რომ ელ-სამეხ-თვის და- ვით როკ- ვი- და,
ძი- სა ღმრთი-სა
ძედ შენ- და ყო- ფად.
ძე თა- ძარ, ძი- წაი შე- ნი და მი- ე- რი- ვეი,
ცხე- ბუ-ლო- ბა- სა
ღირს ყოვ და თვი- სო- ბა- სა.
ე- დემს, ღადირთად, დარდი-ლოით შე ა
საძ.ხრით
ფლო-ბე- ლი,
ი- ა- ვარს


შენ- და ვრთუ-მე-ლობ, ხა-ლი- ფას დრო- ‘შა მა- ნი- აკ- სა შევრ- თე. ცრუსჯულთ- მო-ძღუ-რი- სა ღა- ზოდ
ძო- ძღუ- ნი- ლი, ვინ და- ვით, ეფ- რე-ძის ძე-ებრ მო- ი- სარ-შან.ძო- ირ-თხხა, ძოსრ- ნა სულტ- ნი- თა
ა- თა- ბა- გი. ე- რანს ებრ-ძო- დეს ჩემ მი- ერ მის- თა სპა- თა,
ჩუე- ნი მხე- ნი ძო- საე- ნი, შენ- სძა- ლო, ძო- წულნეს მო- წყვიდ- ნეს.
ა- გა- რის ნა- თე- საე- ნი. ძუ- ნით მოხ- მულ- თა ნიჭ- თა- გან ერთ- სა ა- მა.
ძო- წყვიდ- ნეს ძუ- ხით შოხ- ძულ- თა
შენ- და .შევს- წი- რავ ძი- ო- ხე ძე- ებრ ღმერ- თი.
‘შევს- წი- რავ ღძერ- თი.

საკვლევრებელი ღვთისმშობლისა და მეფელსაცხებლე დედათადმი

ჰოი, ჭირისუფალნო დედანო, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!

დედაო მარიამ, მშობელო ღვთისავ, დედაო ყოველი დედისაო და ყოველი შვილის, ქალწულო, დედოფალო ცისა და მიწის!

ჰოი დედისდაო მარიამ, კლეოპაისო!

დედაო მარიამ მაგდალელო! მიტევებულო და წმიდანად ამაღლებულო, გამორჩეულო სიყვარულით უფლისა მიერ, მენელსაცხებლევ თავად უფლის!

ჰოი დედანო, მახლობელნო და მფარველნო თქვენივე დიდი მფარველისა და თქვენივ პატრონის. ჰოი დედანო! მოწამენო!

თქვენ იყავით საკუთარი თვალით მხილველნი ჯვარცმული ჩვენი უფლის. თქვენ, რომელნიც სიხარულით სიცოცხლეს შესწირავდით უფალს, წილად გერგოთ მისი წამების მხილველთ, ძმარი მიგეწურათ მისთვის.

თქვენი დედური ცეცხლოვანება მოთმინებით იტევდა ჯვარცმას თქვენი შვილისა და პატრონის, თქვენი მოძღვრისა და მშობლიურად გულისსწორის. ჰოი, დედანო, თქვენ არ იყავით ჯვარზე გაკრულნი, თქვენ მხოლოდ მოწმენი იყავით ჯვარზე გაკვრის და, უწყის უფალმა, სად იყო სიმწარე დედური ნაღველისა აღმატებული: ჯვარს ქვემოთ თუ ჯვარსა ზედ: რომელი სატანჯველი იყო უფრო საშინელი დედისთვის: თავად ყოფილიყო იმავ ჯვარზე, თუ თავისი საკუთარი თვალებით ემზირა შვილის ჯვარცმისთვის?!

ჰოი დედანო, გულდამწვარნო, გულძლიერნო! ტანჯვით ნაწრთობნო კელაპტარნო! ეს ლოცვა ჩვენი აღვლენილი თქვენი ციური მეობისკენ, ეს ხადილი, ვედრებაა მთელი ერის გულისჭრილით ამოხეთქილი. ეს ხადილია, როგორც ქუხილისა და გაზაფხულის წვიმის შემდეგ, საქართველოს უძირო ცაზე წმიდა ელიას ეტლის გრიალში გათენება თეთრი ნუშების და ჩვენი მრავალი სატკივარით დედა ღვთისმშობლისა და წმიდა ნინოს ნაავდრალი თვალებიდან ცვარდაკმეული ვენახების.

ჰოი დედანო მოწამენო! თქვენდამი აღავლენს დღეს ლოცვას სამფარველოს, თქვენ მოგიხმობთ ნუგეშად და შემწედ ღვთის დედის წილით წილხვედრილი ქვეყანა ძველი იბერიისა!

როგორც მამამ მიიღო და მიიახლა ზეცად მაცხოვარი, აღდგომილი უფალი იესო ქრისტე, მიიახლა მარჯვენით თვისად, ეგრეთ მიწამ საქართველოსამ მიიღო სამოსელი იესო ქრისტესი თავისი გულითა და კალთით, მიიღო და დაიმარხა კვართი უფლისა. დაიმარხა გულში დიდებად მაცხოვრის ამქვეყნიური სიცოცხლისა, და სამუდამოდ აღეპყრა იგი დედური სიყვარულისა და ზრუნვის სადიდებლად. ჰოი დედანო, მოწამენო, თქვენ უწყით მაღლით, მთელს საქართველოს მოეფინა სამარადისოდ სითბო დედური ხელებისა, რომელმაც ქსოვა ღამეთა თევით უფლად მოვლენილი შვილის პერანგი.

მიიღო და მიიბარა კვართი უფლისა მიწამ ქართლისამ და კვართთან ერთად მიიბარა მცხეთელი ქალი, სიდონია, ელიოზის და. მან ვერ გაუძლო უფლის ჯვარცმას

და, ისე, როგორც შვილის სანაცვლოს, ჩაეკრა რა კვართს მაცხოვრისას, ვერ გაჰყარეს იგი მისგან. უფლის კვართზე დალია სული. ჰოი დედაო, ტირილითა და ზარგოდებით კვართზე დამკვდარო! ჰოი დედანო, მენელსაცხებლედ მოღწეულნო! მიწამ ქართლისამ მიიღო და მიიბარა საყვარელ უფალს, შეხორცებული და განუყრელი, თქვენი დედობის გამგრძელებელი, თქვენი ტირილის გამგრძელებელი, სიყვარულის ცხელი ქარიშხლით სულშეძრული, ვერგადამტანი და გულგამსკდარი მაცხოვრის ჯვარცმით, საქართველოში მოსვენებულ კვართზე დამკვდარი მცხეთელი ქალი — გვირგვინი მოთქმის, ჭირისუფლობის, გოდებისა და დიდი გლოვის.

ჰოი დედანო, უფლისანო, წამებულნო და ნეტარნო დიდნო! დედანო და შვილნო ჩვენი უფლისა! როგორც ერთდებიან მდინარენი, როგორც მცხეთასთან შეერთებული მოდის არაგვი, არაგვი თეთრი და არაგვი შავი, ეგრეთ მიერთვის ერთმანეთს ცრემლის ღვარი ჯვარცმის მოწამე დედებისა და კვართზე დამკვდარი მცხეთელი ქალის! მთელი საქართველოს დედური მადლი გულზე მტლედ დადებული სიყვარულივით ჩააქვს მცხეთელ ქალს სამარეში უფლის სამოსთან. მთელი საქართველოს მოზარე დედათა სითბო და ალერსი ედება უფლის პერანგს მასზე დამკვდარი სხეულის ძალით და ამ სიკვდილით, ამ გულში ჩაკვრით სამუდამოდ ეპატრონება წმიდა მიწა იბერიისა უფლის სიყვარულს სვეტიცხოვლის წმიდა კედლებში.

სვეტიცხოველი ეკლესიაა საფლავისა, უფლის სამოსი კვართის სამარხისა; სვეტიცხოველი სამარხია უფლის სიყვარულით მკვდარისა, ამიტომაც მადედებელი დედაა კვართი მთელი საქართველოს მიწისა, ტახტი სამარადისო დედობისა და ამიტომაც, დედა ღვთისა — თვით ღვთისმშობელი თავისი ფრთებატალღებული შარავანდედით, იფარავს ჩვენს მიწასა და სულს... მიწას, რომელსაც მიაბარა კვართი შვილისა, სულს, რომელიც კელაპტარივით ადგა სამარეზე ამ საუფლო პერანგის სამარხს.

სულო მაღალო, მშობლიურო კელაპტარო სვეტიცხოვლისავ, ანთებულო კვართის სამარხზე, სულო ნათელო! შენ ამღერდი და ახმიანდი! შენ ამღერდი ყოველი გაზაფხულის ახალი თრთოლვით! ღრუბელ-ღრუბელ ანანავებით, შენ აიტანე, როგორც სურნელი ნელსაცხებლის ჩვენი ერის სუნთქვა და განცდა, ყოველი ტანჯვა და წამება ჩვენი მაცხოვრის ბგლოვიარე დღეთა გახსენების, ჩაუქრობელი ჩვენი ცახცახი და თრთოლვა ჩვენი, აიტანე მაღლა და მაღლა მაცხოვრის დატანჯული სხეულისათვის.

სულო მაღალო, დედაბოძო დედობის ძალის! შენ შეჰკარი ერთ ყვავილწნულად სიყვარული ყველა დედისა, როგორც გვირგვინი და ზეციურად სურნელოვანი ნელსაცხებელი შესაწირავი ჩვენი უფლის... სულო ქართულო, შენ შესძელი, შენ დასძარი მეოხად და შემწედ ჩვენი ერისად ყოველნი ძალნი ზეცისანი, შემწედ უფალთან მიახლებისა და ზეციური მიერთების.

ჰოი დედანო, თქვენ დასძარით ყველა აკვანი, თქვენ აღეპყართ ჩვენი ერის უმანკო სულის აღსაზიდად, ზეციურთა დედათა მადლით, შეუძლებლის შემძლებელთა, სიყვარულისა და სურნელების ზეციურ ტახტზე დასავანებლად.

ჰოი დედაო, ღვთისმშობელო, დედაო ღმრთისავ, ჰოი დედანო, ჰოი მარიამ მაგდალელო! შენ უწყოდი... თვით უფალია სურნელება ზენაარული, რომ ტანი მისი და სხეული ცოდვათაგან უკარებელი ჭურჭელია უბიწოების, შენ უწყოდი, რომ ყოველგვარი სურნელება ამქვეყნიური მხოლოდ ხატია უხილავი სურნელების, ზენაარულის, და შენ წარხოცნე შენი თმებით წმიდანებრივით, შენივ თმების ამო სურნელით ფერხნი უფლისა, შენ შეიშრე შენი თმებით სისოველე შენივ ცხებული ნელსაცხებლის უფლის ფერხთაგან. ჰოი სათნოებავ და მოწიწებავ! ჰოი მარიამ, როგორც შეერთდა საქართველოში ნინოს თმებით ჯვარი ვაზისა, ეგრე შეერთდა შენი თმებით გზანი უფლისა და გზანი დედათა სიყვარულის. ყოველივე დასრულდა ჯვარცმით, მაგრამ დასრულდა ამაღლებით და უკვდავებით, შენი პირველგამოცხადებით და მხილვარებით.

ჰოი მარიამ მაგდალელო, პირველ მტირალო მაცხოვრის ლოდზე, იავ მოსულო ერთ ღამეში ახლადგაჭრილი საფლავის კლდესთან, ჰოი დედაო მოქვითინევ ცხელი ცრემლებით, მაცხოვრის ფერხთა შემაშრობელო შენი თმებით და შეუშრობელი ცრემლის ღვარით დამწყლულებელო მაცხოვრისავე საფლავის ლოდის! ჰოი დედაო, რიჟრაჟბინდბუნდში, ვითარ მზეჩამქრალი ქვეყნიერების სიბნელეში მძებნელო დედავ, ჯერ კიდევ თბილი, ახლად გაციებული უბიწო გვამის... ჭირისუფალო, და რჩეულო! განუყრელ ეყავ დედა ღვთისას ჩვენი ერის მფარველობაში, განუყრელ ეყავ, როგორც განუყრელ იპოვა ბინა კვართმა საუფლომ ჩვენს მიწაში.

ჰოი დედანო, წამებულნო და განწმედილნო, თქვენმა დედობამ, უმძლავრესმა, ერთგულებამ და თავშეწირვამ, თავდაიწყებამ დედობისამ, დე ანთოს მუდამ ყოველი კერა და ყოველი ცეცხლი ჩვენი ერისა მაცხოვრისადმი სასოებით, დე ანთოს მუდამ უშრეტი გზნებით სიყვარულის. დე, ნაშიერნი სოლომონიან-დავითიანთა, ნაშიერნი მაცხოვრის სისხლის, ინახავდნენ წვეთებს მისას, როგორც ცის ნამის მარგალიტებს, მიმოკარგულს ერის სხეულში! ჰოი დედანო, უფლისანო, ცის დედოფალნო, მიიღეთ ვედრებად აღვლენილი ლოცვა ჩვენი, რომ თქვენი ზეციური ტახტი საქართველოს ცაზე იყოს მარადისი და უსაყვარლესი საბრძანისი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

თქვენი დედური და გულის რჩეული სიყვარულის ძალით მარად ერთვოდეს ერთმანეთის სულს, საქართველოჲ ზეციური და საქართველოჲ მიწიური. დე ჩვენი ერის მლოცავარე თვალებში თქვენი დედური მეოხებითა და ძალისხმევით, მარად ენთოს ჩვენი უკვდავი მზეჭაბუკი, ჩვენი ჯვარცმული და ტანჯული მხსნელი, ჩვენი აღდგომილი და გაბრწყინებული, მარად ჩვენთან მყოფი და განუყრელი უფალი თქვენი — იესო ქრისტე. დე, შენი ზეციური თმებით, საქართველოზე ჩამოშლილით, მარიამ, წარიხოცოს ნელსაცხებელი ჩვენი ერის აღმსარებელი სულისაგან.

დე, თქვენი დედური, ყოვლისმიმტევებელი სიყვარულის ძალამ არ მოაკლოს მადლი ციური და განაძლიეროს ჩვენი ერის გულსა და თვალებში შემძლეობა და ნიჭი უფლის მხილვარებისა, ყოველივე ღვთიურის აღქმისა და გაფრთხილების, უფლის სათუთი ტარებისა გულისგულში, თქვენმა დედობამ განაძლიეროს საქართველოში უფლის ერთგულებისა და უფლისათვის თავდადების ნიჭი, რამეთუ ერი ჩვენი და ქვეყანა ჩვენი ქართული, მიწა ჩვენი და სული ჩვენი, გადაწნულია უფალთან და არსად არის გზა სხვა არსებობის, თუ არ ერთიანი ყოფნის, საქართველოისა და უფლისა ჩვენის, იესო ქრისტესი, თუ არ ერთიანი ყოფნის საქართველოისა და დედა ღვთისმშობლის, საქართველოისა და დედობის ძალის.

გიხაროდენ, მიმადლებულნო, უფალი ჩვენთან არს.

ვ. სუმბაძე



გამოსათხოვარი

პროფესორი ივანე ლოლაშვილი

ამა წლის 29 აპრილს (12. V), დავით გარეჯის სავანეთა მოხილვისას, უცაბედად გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი ივანე ლოლაშვილი... და, ამ სახედ, თვით სიკვდილმაც კი სიმბოლურად გამოკვეთა მისი პიროვნების არსებითი მხარე,— ცხადყო, თუ რაოდენ ეტრფოდა და ერთგულებდა იგი წინაპართა ნამამგარ-ნაანდერძებს, მათი შემეცნებისა და წარმოჩენის საქმეს.

მოციქულთასწორისა და საქართველოს განმანათლებლის წმიდა საფლავი, გამშვენებული მონასტრით, რომლის სანახებს შორის 1918 წლის 26 დეკემბერს დაიბადა და ნათელიღო, ყმაწვილს იმთავითვე სასიკეთოდ აფიქრებდა. პაპა ვანო, მართალი და გამრჯე გლეხიკაცი, ხშირად უამბობდა თურმე წმიდა ნინოსა და მამა-პაპათა თავგადასავალზე, მათ გმირობა-ვაჟკაცობაზე, სამშობლოსა და ხალხისათვის თავდადებაზე...

და, „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაარნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“. ივანე ლოლაშვილმაც ჩვენი ეროვნული ლიტერატურის, ძველი ქართული, კერძოდ — სასულიერო მწერლობის კვლევა აირჩია. პრინციპად კი — აკად. კორნელი კეკელიძის შეგონება: „მთელი ცხოვრება უნდა შესწირო მეცნიერებას, მხოლოდ მაშინ გამოჩნდება შენი შრომა... ახლა ახალგაზრდა ხარ, ცხადია, ოჯახს მოეკიდები, გეყოლება შვილები, გაგიჩნდება ათასნაირი საოჯახო საზრუნავი, მაგრამ ყოველთვის პირველ რიგში დააყენე მეცნიერება. გიყვარდეს შრომა, იკითხე ბევრი, წერე ხშირად. იყავ ფრთხილი, არ შეგეშინდეს შეცდომისა! ზოგი შეგაქებს, ზოგი გაძაგებს, ორივე შემთხვევაში წონასწორობა შეინარჩუნე, არ უდალატო ჭეშმარიტებას, ყველაფერი განსაჯე ობიექტურად...“ და შეგირდმაც მოქალაქობის საფუძვლად გადაიხადა მოძღვრის ნამცნები: თუმცა მის ცხოვრებას ნარ-ეკალი არ მოკლებია — გადაიტანა მსოფლიო ომის ქარ-ცეცხლი, იწვნია უსამართლობისა და ბოროტების მარწუხი... მის მეცნიერულ შრომა-რუდუნებას მხოლოდ და მხოლოდ სინდისის ხმა განაგებდა.

ბ-ნი ივანე თითქმის ოთხ ათეულ წელს ემსახურებოდა ქართულ მეცნიერებას. იყო ლიტერატურის მუზეუმის და, შემდეგ, ლიტერატურის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი. შეისწავლა, გამოიკვლია, კრიტიკულად დაადგინა და გამოაქვეყნა ეროვნული მწერლობის საუნჯენი: ქართული აგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის, კანონიკისა და ჰომილეტიკის, ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის, ისტორიული, პოლემიკური და ფილოლოგიური მწერლობის შედევრები და, ამდენად, განმარტა იერუსალიმელთა, მთაწმიდელთა, პეტრიწონელთა, იყალთოელთა, გარეჯელთა თუ ქართული კულტურის სხვა სავანეთა ლიტერატურული მემკვიდრეობის ბევრი ბუნდოვანი, ჩვენთვის გამოუცნობი, ისტორიის ულმობელი მახვილის მიერ გაუჩინარებული მხარე. გადაგვშალა პეტრე იბერის, ეფრემ მცირის, შოთა რუსთველის, თამარ მეფის, სულხან-საბა ორბელიანის, ანტონ კათოლიკოსის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, გიორგი ლეონიძისა თუ სხვათა შემოქმედების საყურადღებო ფურცლები და ასე მიიტანა საკუთარი წვლილი საქართველოს ეკლესიის საკურთხეველზე. იმუშაკა მოყვასთათვის, წინაპართა სულიერი სიღრმისა და განცდის წარმოჩენისათვის. იგი იყო კაცი, რომლის საქმენი ღაღადებენ: „ღვაწლი კეთილი მომიღვაწებიეს, სრბაჲ აღმისრულებიეს, სარწმუნოებაჲ დამიმარხავს“ (2 ტიმ. 4,7).

თითქოს ბუნებრივიცაა, რომ სწორედ მას უჩვეულო ძალით დაეუფლა თურმე საფილოსოფოსო ფიქრი აღსასრულის მოახლოების ჟამს, გარეჯის უდაბნოსკენ გამგზავრებამდე, „გასულ ხუთშაბათს — გვიამბობენ მისივე კოლეგები (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1984, № 21) — ერთი აზრი გაგვიზიარა... „ქვაბთაგან სოფლისათა აღმომიყვანე, ღვთისმშობელო“, — ეს ფრაზა მაფიქრებსო — თქვა. ჩვენი ძველი მწერლობა მართლაც სოფლის ქვაბთაგან კაცის ამოყვანა და ხსნა არ არისო? — დასძინა... შაბათს დავით გარეჯის უდაბნომ უხმო. ბერების ნამოღვაწარის მკვლევარმა მათსავე სამყოფელს მიაშურა...“ და სწორედ იქ, ნათლისმცემლის მონასტრის კარიბჭის წინ, „სოფლის ქვაბთაგან ამოყვანაზე“ მისმიერი ფიქრი ერთგვარ წინასწარმეტყველებად იქცა: ბნელი და ღრმა ქვაბ-ორმოდან ამოასვენეს მისი ცხედარი.

ნ. პაპუაშვილი

პრესვიტერი გიორგი ბოლღაშვილი

„ისწრაფდით დამარხვად ერთობასა... საკრეველითა მით მშვდობისაჲთა“ — გვამცნობს მოციქული (ეფეს. 4,3) და, თანახმად ამ მცნებისა, თბილისის ევანგელისტ და ქრისტიან-ბაპტისტთა ქართული თემის პრესვიტერის — გიორგი ეროდიონის ძე ბოლღაშვილის (1913—1984) — ცხოვრების არსი „ურთიერთას სიყვარული“ იყო, იდეალი — „ერთობასა სარწმუნოებისასა“ მიწევნა: თანამემამულეთა — ქართველთა შორის ურთიერთნდობის დასადგურება, სარწმუნოების ნიადაგზე „ჩატეხილი ხიდის“ გამართელება.

თითქმის 17 წელიწადს წინამძღვრობდა იგი, პროფესიით ინჟინერ-მშენებელი, ხსენებულ თემს: ნიადაგ ქადაგებდა და ლოცულობდა ქვეყნისა და ერისათვის, საყოველთაო მშვიდობისა და სიყვარულისათვის.

ბ-ნი გიორგი იყო ერთ-ერთი თაოსანი ევანგელისტ-ბაპტისტთა დიალოგისა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან. 1982—83 წწ.-ში იგი, თავისი საძმოს რამდენიმე წევრთან ერთად, სისტემატურად ხვდებოდა ორთოდოქს მორწმუნეებს (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ საგანგებოდ შედგენილი კომისიის წარმომადგენლებს) საქართველოს საპატრიარქოში, სადაც დიდის ტაქტითა და ჭეშმარიტებასთან ზიარების წრფელი სურვილით განიხილავდა რჯულის ამა თუ იმ მხარეს.

ამგვარი დიალოგი საქართველოს ეკლესიის ისტორიაში, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, განწყალების იარის მოსაშუშებლად ერთ-ერთი ღირსეული ნაბიჯი იყო, რადგან იმხანად საამო შედეგი მოჰყვა. ევერიის სამოციქულო საყდრის საჭეთმპყრობელის ლოცვა-კურთხევით, ბაპტისტი ხუცესი სიონის კათედრალში ქადაგებდა ხოლმე (სამშაბათობით)...

მსუბუქი იყოს მისთვის საქართველოს ღვთივკურთხეული მიწა.

ნეტავ, რა ზნე სჭირს

— „მოვდივარ!
აჰა! ამოვდივარ!
მითხარი, —
საით?
— მაღლა! სულ მაღლა!
მწვერვალისაკენ...“

გოეთე

ზე სვლა... ზე სწრაფვა... თანდაყოლილი თვისებაა ყოველივე ქმნილის. ბალახი მაღლა მიისწრაფის. მიწაში ღრმად ჩამარხული პატარა მარცვალი გააღწევს მიწის საფარს და მაღლა მიიწევს.

ხეები? ბუნების ზეაწვდილი ხელები. ფრინველები... ყოველივე მიისწრაფის მაღლა... შემოქმედისკენ.

ხშირად ეს სწრაფვა დაუოკებელ ჟინად იქცევა და აშენებს კოშკს, ცას ადგამს კიბეს, ფრთებს იბამს, მიიწევს მაღლა, მიწასაც ენარცხება, მაგრამ ვერც სიკვდილი ვერ აჯერებს მას, რომ ის მიწაზეა მიჯაჭვული. საოცარია ალბათ, ამიტომ არსებობს ალპინიზმიც...

— რა უნდა ამ ხალხს მაღლა? რატომ იკლავს თავს???

— არაფერი! გარდა მწვერვალზე ასვლის...

პასუხობ და ფიქრობ, რომ ხსნა არსებობს.

რომ ადამიანი არა მარტო სუსტი და ცოდვილია, არამედ მშვენიერი...

„იხილა ხატი ღვთისა და ზნე ცხოვილისა, იხილა სიდიადე და სიმდაბლე თვისი, სიკვთე და ბოროტება, სიყვარული და სიძულვილი, იგრძნო მსხვერპლის გაღების დიდი უნარი და მის გვერდით ულმობლობა და უსაზღვრო ეგოიზმი... კაცი უპირველეს ყოვლისა, ხატია ღვთისა...“

ილია II
(საადგომო ეპისტოლე. 1984 წ.)



უშბა. ფოტო გ. ზუმბაძისა

მაგრამ ეს ექვსი მთამსვლელის სიცოცხლე... ეს მსხვერპლი...

უცბად ცხელი ტალღა გულს მოასკდება, შეგრძავს რაღაც იდუმალი აზრი, მერე მას იტყვის ხმამაღლა ვიღაც უფრო უშუალო, უფრო სუფთა, უფრო გულუბრყვილო.. მერე დაისადგურებს მდუმარება, მაგრამ აზრი დარჩება...

— რა უნდა ამ ხალხს? რატომ იკლავს თავს?

— არაფერი. გარდა მწვერვალზე ასვლის.

ადამიანი იმისთვის შეიქმნა, რომ ზე ისწრაფოს.

„კაცი, უპირველეს ყოვლისა, ხატია ღვთისა“...





სიკვდილსა

...ტაძარი სავსეა ხალხით. ტევა არ არის.

ძნელია სუნთქვა.

ყველა სასანთლეზე იწვის და იღვენთება ბევრად მეტი სანთელი, ვიდრე ეტევა.

ყველას ხელთ ანთებული სანთელი უპყრია, ზოგს ორი, ზოგსაც სამი...

ვიღაც ტირის უხმოდ, ვიღაც ქვითინებს, ვიღაც იკავებს თვალებზე მომსკდარ ცრემლს...

ტაძარი სავსეა გალობის ხმებით. ყველა იჩოქებს.

იჩოქებს ისიც, ვისაც ჯერ არასოდეს დაუჩოქია სანთლით ხელში ტაძრის ცივ ქვაზე, ვინც პირველად სუნთქავს ათასი სანთლის გახურებულ ჰაერს და ჩნდება შეგრძნება, რომ ყველა ერთია. აქ არის ის, ვინც დღეს ცოცხალი აღარ არის, აქ არის მთელი საქართველო, — „საქართველო მიწიერი და საქართველო ზეციერი“...

ექვსი ზარი წკრიალებს თეთრი ყვავილებისაგან შეკრულ ჯვარზე, თითქოს ექვსი სიცილი რეკს...

ყველა ერთია.

„განუსვენე შენ უფალო სულთა მიცვალებულთა მონათა შენისათა...“ გალობს გუნდი.

წკრიალებს ექვსი ზარი...

— მოიხსენე უფალო სული გარდაცვალებულთა მონათა შენთა — გიორგი ზუმბაძისა, ირაკლი გელდიაშვილისა, დავით თარხნიშვილისა, დავით კობახიძისა, გიორგი ტუშურისა, მურად ჭიჭინაძისა...

— ჟღერს პატრიარქის წყნარი, ღრმა შინაგანი ძალით დამუხტული ხმა და გებადება სრული შეგრძნება, რომ ეს ექვსი სული საიმედოდ ჩააბარეს დიდსა და თბილ ხელებს.

ალბათ ეს არის ნუგეში.

ისინი გმირულად დაიღუპნენ და უკვდავყვეს სახელი თვისი. ვილოცოთ მათთვის და შევთხოვოთ მათ სულებსაც ილოცონ საქართველოსათვის.

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ქადაგებიდან



ოკორთა. XII ს.

წარსულიდან

ზოგი რამ ეგვიპტე-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან

ეგვიპტისა და ქართველთა წინაპრების, და საერთოდ, ქართველურ ტომთა ურთიერთობის ისტორია კაცობრიობის უშორეს წარსულში იწყება. ამის შესახებ ცნობები და მინიშნებები თუმცა ძუნწად, მაგრამ მაინც არსებობს. ეგვიპტე, თავისი ღრმად კოლორიტული ბუნებით, სულით, ფილოსოფიით მუდამ იზიდავდა სახელმწიფოთა თუ ცალკეულ მოაზროვნეთა ინტერესებს. მისი მხურვალე მზე, გასაოცარი, დღემდე მიუწვდომელი ხელოვნება, რელიგია, საგალობლები, მითები... და ბოლოს თვით ხალხი, რომელმაც ეს, თანამედროვე ადამიანის გონებისათვის ხშირად ამოუცნობი კულტურა შექმნა, რომელმაც თავისი შორეული ნააზრევი გამოქვაბულთა კედლის მხატვრობებსა თუ ქანდაკებებში, პერგამენტებსა თუ ფარაონთა პირამიდებში, ასევე სხვა უზარმაზარ კულტურ ნაგებობებში ჩასტოვა და ჩააქარაგმა, არის ის ხალხი, რომელიც კაცობრიობის აკვანთან იდგა, რომელმაც განვითარების ყველა ეტაპზე სულის უმნიშვნელოვანესი ნააზრევი დაგვიტოვა. ამ სულის ნააზრევთან ჩვენი უშორესი წინაპრების გზაც ხშირად მისულა...

ეგვიპტე, ამავე დროს, არის ბიბლიური სასწაულების ქვეყანა... სწორედ აქ მიიყვანა ებრაელები მოსემ „უდაბნოსა მას სინაისასა", აქ ეუწყა მას უფლის სიტყვა და ის ათი მცნება, რომელიც საფუძვლად დაედო კაცობრიობის ისტორიის მთელ მომავალ ცხოვრებას.

1. ეს მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა უცხონი ჩემსა გარეშე.

2. არა ქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცასა შინა ზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე და რაოდენი არს წყალთა შინა ქვეშე ქვეყნისა. არა თაყვანი სცე მათ, და არცა მსახურებდე მათ.

3. არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა.

4. მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდაყავ იგი: ექვს დღე იქმოდე, და ჰქმენ ყოველი საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არს უფლისა — ღვთისა შენისა.

5. პატივეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა.

6. არა კაც კლა

7. არა იმრუშო

8. არა იპარო

9. არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა,

10. არა გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არა გული გითქმოდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვრისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყვასისა შენისა.

იცვლებოდნენ სახელმწიფოთა თვალსაზრისები, იცვლებოდნენ თვით რელიგიებიც, მაგრამ ყველა დროისა და შეხედულების ადამიანებისათვის უცვლელი დარჩა ეს ათი მცნება.

ეგვიპტე, ამავე დროს, არის ქვეყანა, სადაც აღზევდა ქრისტიანობის სული... საგულისხმოა, რომ აქაური ქრისტიანები იყვნენ პირველი დამაარსებელნი მონოზვნობისა, ბერობისა და ამას თვით ეგვიპტის ბუნებამ, მისმა ცხელმა მზემ და მკაცრმა კოლორიტმა

მთავარანგელოზი გაბრიელი. სინის მთა

შეუწყო ხელი. ამ ბუნების მელანქოლიური და ამავე დროს, საზეიმო იერი, მისი მარად ნათელი ცა, პირამიდული ხუროთმოძღვრების იდუმალება, უძველეს გიგანტურ ნაგებობათა ნანგრევების შემზარავი სურათები ადამიანს ძალაუნებურადაც განმარტოებისა და საკუთარ სულში ჩაღრმავებისაკენ იზიდავს. სწორედ ეგვიპტიდან შევიდა ევროპასა და აზიაში, თვით სირიასა და პალესტინაშიც სამონოზვნო ცხოვრების ტრადიცია. აქვე, თავის საწყის პერიოდში შეიქმნა, როგორც მამათა, ასევე დედათა სავანეები თავისი ორივე შინაარსით — განდეგილობაც და სამონასტრო ცხოვრებაც.

სამწუხაროდ, ქრისტიანობის პირველი პერიოდის ეგვიპტე-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი უძველესი წყაროები ჯერ-ჯერობით არც ისე ბევრია, თუმცა ამ საკითხზე გარკვეული ცოდნა მეცნიერებას უკვე დაგროვილი აქვს. ეს ყოველივე ფრიად საინტერესოა არა მარტო ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის ისტორიის გასარკვევად, არამედ საერთოდ, ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიისათვისაც. ირკვევა, რომ ქართველ ქრისტიანებს, ადრეული ხანიდანვე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ეგვიპტის ბერ-მონოზვნებთან. ისინი განუწყვეტლივ ჩადიოდნენ ამ ქვეყნის უდაბნოებში და იქ ლოცვისა და მწიგნობრული მოღვაწეობისათვის საიმედო თავშესაფარს პოულობდნენ. ჩვენმა წინაპრებმა უკვე IV—V საუკუნეებში მიაშურეს ეგვიპტის სავანეებს. მაგალითად, IV საუკუნეში აქ უკვე მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე, წმიდა მამა ევაგრე პონტოელი, ხოლო V საუკუნეში აქაურ უდაბნოში ქართული ბაზილიკაც ააშენეს. „ცოტათი მოგვიანებით კი უფრო მრავლად ჩანან ქართველები სინის მთაზე, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ქრისტიანული მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი და წმიდა მამათა — გამოჩენილ მწიგნობართა სამოღვაწეო ასპარეზი იყო. აქ ქართველებმა საკუთარი კოლონიაც დააარსეს, საკუთარი სავანე შექმნეს და მწიგნობრული მუშაობა გააჩაღეს. (კ. კეკელიძე. ძველი ქართ. ლიტ. ისტ. ტ. I. გვ. 92).

სინის მთა ქართველთა მოღვაწეობის უშორესი ადგილია. იგი პირდაპირი გაგრძელება ყოფილა პალესტინის, უფრო კი, საბას მონასტრის ქართველთა მოღვაწეობისა.

სინის მთა მდებარეობს სინის ნახევარკუნძულზე, რომელიც მოქცეულია არაბეთის ნახევარკუნძულსა და აფრიკას შორის. ამ-

ქამად იგი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაშია. სინის სამხრეთ ნაწილში აღმართულია მაღალი მთები: სინისა, ეპისტიმიასი, ზერბალიასი, ეკატერინესი და სხვ. მათ შორის უმაღლესი სინის მთაა, რომლის კალთაზე 1528 მეტრის სიმაღლეზე აშენებულია ეკატერინეს მონასტერი.

სინის მთის ძველ მოღვაწეთა შესახებ საინტერესო ცნობები აქვთ შემონახული იქაურ მწიგნობრებს. მათ ჩანაწერებში ვხვდებით მასალებს ქართველთა შესახებაც. მაგალითად ერთი ავტორის ცნობით, სინის მთის ახლოს ყოფილა ადგილი, რომელსაც ა რ ს ე ლ ა ეწოდებოდა. იქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქართველი ბერი მიქაელი, რომელსაც ახლდა მოწაფე ევსტათი. თუ ეს ცნობა სწორია, მაშინ სინის მთაზე ქართველთა მოღვაწეობა VI საუკუნეში დადგენილ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ" (ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. 1980 წ.).

პ. უსპენსკი, რომელმაც ორჯერ იმოგზაურა სინის მთაზე, წერს, რომ ქართველებს სინის მონასტერში ჰქონდათ ოთხი ეკლესია: ილიასი ქორების მთაზე, ღვთისმშობლისა — დავითისეული იმავე მთის კალთაზე, პეტრე-პავლესი — ქორებისა და ეკატერინეს მთებს შუა და სებასტიელ მოწამეთა — ლეჯის ველზე (ამ თვალსაზრისს საკმარისი საბუთების უქონლობის გამო ყველა მკვლევარი არ იზიარებს... ზოგიერთს მიაჩნია, რომ მათი რიცხვი მეტი იყო — 6, ზოგსაც ნაკლები).

ქართულ მასალებში იხსენიება ერთი მონასტერი „მაყულოვანსა შინა". ერთი ხელნაწერის ჩვენებით, იგი 973 წელს „შეიმოსა მონასტერსა შინა მაყულოვანსა". სინის მთის სულთა მატიანეში გვხვდება „მაყაოვანისა ღვთისმშობელი". ი. გედევანიშვილი ერთგან წერდა: „ეკლესიასა, ადგილსა მას მაყულოანსა", სადა ცეცხლი ეკიდებოდა და არა შეიწუებოდა, ვითარცა იხილა მოსე წინასწარმეტყველმან, არს ტრაპეზი წმიდა და ეკლესია დაფენილი". პ. კონჭოშვილის აზრით, ელენე დედოფალმა ააგო ტაძარი ადგილსა „დაეწუელისა მაყუალისა", ხოლო შემდეგ იქვე ააგო მოზრდილი ტაძარი იუსტინიანემ, მაგრამ არა მის ადგილს, არამედ მის ახლოს. „როგორც ჩანს, ქართველები ამ სავანეშიც მოღვაწეობდნენ". (ლ. მენაბდე, იგივე ნაშრომი).

რას ნიშნავს „მაყულოვანი", ანუ „მაყაოვანის ღვთისმშობელი"? წიგნი „გამოსვლათა" (III. 1—5) გვაცნობს, რომ მოსე „მწყსიდა ცხოვართა იოთორ სიმამრისა თვისისათა და მოვიდა მთასა მას ღმრთისასა ქორებს, ეჩუენა მას ანგელოზი ცეცხლითა ალისადა მაყულოანით გამო, და იხილა, ვითარმედ მაყულოანსა აღატყდების ცეცხლი და მაყუალი იგი არა შეიწუების. თქუა მოსე: „წარვიდე და ვიხილო ხილვაი ესე დიდი, რამეთუ მაყუალი იგი არა დაიწუების. ვითარცა იხილა ღმერთმან, რამეთუ მოვალს ხილვად, უწოდა მას უფალმან მაყულოანით გამო და ჰრქუა: „ნუ მოეახლები აქა, წარიკადენ ჯამლნი ფერჯთაგან შენთა, რამეთუ ადგილი ესე, რომელსა შენ სდგა, ქუეყანაი წმიდა არს".

სწორედ ამ დიდი სიწმიდის გამო იზიდავდა მორწმუნეებს და მათ შორის, ცხადია, ქართველ ბერებსაც ეს ადგილი. სინელი ქართველები აქ „ქართლისა მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მუფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემოქცევისა, ტაუეთა მოქცევისა, ქამთა დაწყნარებისა და ქრისტეანობისა განმტკიცებისათვის" ლოცულობდნენ.

სინის მთაზე მორწმუნეთა და კერძოდ, ქართველი მლოცველების მომრავლებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ პალესტინის მონასტრები, განსაკუთრებით საბასა და ხარიტონის ლავრები ძალზე შეავიწროვეს არაბებმა. ისინი არავრთხელ აუოხრებიათ მათ და ბერებიც ამოუჟლეტიათ. სინის მთა კი, როგორც მივარდნილი კუთხე, შედარებით მოსვენებული იყო.

სინის მთის ბუნება ძალზე მკაცრია. ზამთარი აქ თითქმის აუტანელია... მაგრამ მაინც ეტანებიან მორწმუნენი. ცხადია იმიტომ, რომ იგი თვით უფლისგან ხელდასხმული ადგილია. ეს მთა წმიდა მთაა. პირველი ქრისტიანები აქ III საუკუნიდან ჩნდებიან. მალე აქ მათ ალექსანდრიიდან წმიდა ეკატერინეს ნაწილები მოიტანეს და მის ერთ-ერთ მთაზე დაასვენეს. ამიტომაც მას წმიდა ეკატერინეს მთა ეწოდა. შემდეგ აქ ბერები თანდათან მომრავლდნენ. კონსტანტინე დიდის დედამ ელენემ ეგვიპტის პრეფექტს მასზე ააგებინა პირველი პატარა ტაძარი. არაბებმა აქაც არ მოასვენეს მორწმუნენი და ზევრჯერ დაარბიეს, და გადაწვეს მათი საბლოცველოები, ამოწყვიტეს ბერ-მონაზონნი; მაგრამ ქრისტეს სარწმუნოებისაკენ სწრაფვის შერერება შეუძლებელი შეიქნა. წმიდა მლოცველთა რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა... რაც შეეხება ქართველებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერ არსებული მასალების მიხედვით, თითო-ოროლანი უკვე IV—VI საუკუნეებიდან ჩანან. VIII საუკუნიდან ისინი ბევრად მეტნი არიან. IX საუკუნეში კი უკვე მკვიდრად იკიდებენ ფეხს და საკუთარ კოლონიას აარსებენ. ყოველივე ეს, როგორც ივანე ჯავახიშვილი ბრძანებს, „მთელს მახლობელ აღმოსავლეთსა და დასავლეთის ქრისტიან ხალხთა ზორის საქართველოს პოლიტიკურ სახელგანთქმულობასაც უწყობდა ხელს". ქართველთა ინტენსიური მოღვაწეობა აქ X საუკუნის მეორე ნახევრიდან ღვაღდება, სწორედ სინის მთის შეღარებით მიუვალობის გამო, აქ შენახულა არა ერთი ძვირფასი ძეგლი, უძველესი — თარიღიანი თუ უთარიღო ხელნაწერები. სინის მთაზე შემუშავებულა საგანგებო ხელიც, რომელსაც „ს ი ნ ი ს მ თ ი ს ხ ე ლ ი" ეწოდება. ეს მეტად მოხდენილი და ლამაზი, მრგვალი ხელია. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, აქ ძირითადად ხელნაწერთა გადაწერას მისდევდნენ. წერდნენ არა მარტო ქართულ ხელნაწერებს, არამედ ბერძნულსაც და არაბულსაც, აქაური ხელნაწერების უმეტესი ნაწილი საბას ლავრიდანაა გადმოტანილი. საერთოდ ირკვევა, რომ სინისა და პალესტინის საბას ლავრის ქართველ მოღვაწეთა შორის ხშირი მიმოსვლა და ურთიერთობა ყოფილა. პალესტინაში სინის მთისთვის ამზადებდნენ სხვადასხვა საჭირო წიგნებსა და ხელნაწერებს. მეათე საუკუნის მოღვაწეთა შორის აქ ცნობილია იოანე ზოსიმე, კვირიკე მიძნაძორელი, ბერის დათუას შეგირდი, ეზრა მღვდელმონაზონი და მესვეტე, ბერი კვირიკე სანასტურელი, გაბრიელი, მიქელი, გიორგი, თეოდორე ჭკუდიდელი, იოანე კუმურდოელი, გიორგი იწელი, ბასილი, იოსები, მაკარი და სხვ. ყველა ესენი მონაწილეობას იღებდნენ ხელნაწერთა გამრავლებაში. ერთს ეკუთვნოდა თოსნობა, მეორე შოულობდა საწერ მასალას, მესამე წერდა, მეოთხე თარგმნიდა, მეხუთე წიგნებს უკეთებდა ყდას, მეექვსე ასურათებდა და ა. შ. (კ. კეკელიძე. იგივე ნაშრომი. გვ. 92).

სინის მთის ქართველთა სავანეს განუწყვეტლივ მფარველობდნენ და მატერიალურად ეხმარებოდნენ ქართველი მეფეები და დიდებულნი.

დავით აღმაშენებელმა აქ, ქორების მთაზე ააგო ახალი ეკლესია და სენაკები. დავითმა „მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ილია, აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალთასეული, და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიო სრულებით და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა რჩეულისა". — გვაცნობს „ქართლის ცხოვრება" (ტ. I. გვ. 353).

ასევე დიდ შეწირულობას უგზავნიდა აქაურ ქართველებსა და მათ სავანეებს მეფე თამარი.

სინის მთაზე წაუღიათ და დაღუპვისაგან გადაურჩენიათ მრავალი ფრიად მნიშვნელოვანი ძეგლი... ხოლო მას შემდეგ, რაც აქ ქართველთა სამონასტრო ცხოვრება შეწყდა, ეს კი XV—XVII საუკუნეებში ხდება, ბევრი ძვირფასი ძეგლი უკვე ან სამუდამოდ დაიღუპა, ან გაიფანტა... სწორედ ამის გამო სინის მთის ხელნაწერები ევროპის სხვადასხვა წიგნსაცავებსა და არქივებშიც მოიპოვება. და დიდი ბედნიერებაა, თუ რაღაც შემთხვევა მათ დროდადრო გამოაჩენს. აი, ერთი მაგალითი:

XIX ს. ბოლოს ერთმა ავსტრიელმა მხატვარმა ვენის სასახლის ბიბლიოთეკაში გასაყიდად მიიტანა რამდენიმე ძველი ქართული ხელნაწერი. ბიბლიოთეკის დირექტორი დაეუბნა მხატვრის პატიოსნებაში და ხელნაწერი არ შეიძინა. მაშინ იგი შეიძინა ქართული ენის ცნობილმა მკვლევარმა ჰუგო შუხართმა. ბოლოს კი მთელ თავის ბიბლიოთეკასთან ერთად გრაცის უნივერსიტეტს უანდერძა. ამ ხელნაწერებს საგანგებო გამოკვლევა უძღვნა აკაკი შანიძემ. (ქართული ხელნაწერები გრაცში. თბ., უნ. მოამბე. ტ. IX. 1929 წ.) აქაა ხანმეტი ლექციონარი, რომელიც VII ს. უნიკალური ძეგლია.

გასული საუკუნის ბოლოს ქართველ მეცნიერთაგან სინის მთაზე იმოგზაურა ა. ცაგარელმა (1883 წ.). იგი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც საფუძვლიანად გამოიკვლია სინის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია. ზამთრის საშინელ, სუსხიან ღამეებ-

ში ათვალიერებდა და სწავლობდა იგი სინის ქართულ ხელნაწერებს, სენაკებსა და სარდაფებში, ძველი ეკლესიების ნანგრევებში ეძებდა მათ. ა. ცაგარელმა 92 ხელნაწერი ნახა და გამოაქვეყნა.

1902 წელს კი სინის მთას ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი ეწვივნენ. „გამთენიიდან შუაღამემდე ისხდნენ ქართველი მეცნიერები მონასტრის ბნელ საკანში და ჭრაქის მბჟუტავ სხივზე მთრთოლვარე თითებით ეხებოდნენ სრულიად უცნობი, ვეებერთელა ქართული ხელნაწერების ჩანაცრულ ფურცლებს; გამალებით იწერდნენ და ამზადებდნენ დღის სინათლეზე გამოსატანად“ (შ. ძიძიგური — ნ. მარი ქართული კულტურის მკვლევარი, თბ., 1965. გვ. 24). მათ სულ 88 ხელნაწერი აღწერეს და ბევრი თითონვე გამოაქვეყნეს.

1927 წელს სინის მთაზე იყო რ. ბლეიკი. მას ბევრი ხელნაწერი უკვე აღარ დახვედრია ადგილზე. მაგალითად, ვერ უნახავს ცაგარელის მიერ აღწერილი 12 ხელნაწერი.

სულ ბოლოს, 1950 წელს, სინის მთას ეწვია ჟ. გარიტი. მისი ცნობით, ამ პერიოდში იქ 85 ქართული ხელნაწერი ინახებოდა. მრავალი მათგანი მან მეცნიერულად შეისწავლა და გამოსცა.

როგორც მასალებმა დაადასტურეს, აქ ქართველ ბერებს საკუთარი ბიბლიოთეკა და წიგნთსაცავი ჰქონიათ. ერთ-ერთ ხელნაწერში ასეთი რამ იკითხება:

„ვინცა ესე წიგნი ქართველთა ეკლესიით გამოიღოს, ანუ სხუასა ეკლესიასა წაიღოს, ანუ გაღმა გაიღოს. ანუ სენაკსა შინა დაიდვას, ანუ ეკლესიისა სენაკსა შინა დამალოს, კრულმცა არს ცათა შინა... ისხნენ საწიგნეთა ზედა, ვის ონდენ (!) იკმარნს, ვის არი — მშკდობაი მის თანა“.

* * *

ცხადია, ეგვიპტე — საქართველოს კულტურული ურთიერთობის ტრადიცია ცალმხრივი არ შეიძლება ყოფილიყო. სწორედ ქრისტიანობის ადრე პერიოდიდანვე ამ ორ, ერთმანეთისაგან ტერიტორიულად საკმაოდ მოშორებულ სახელმწიფოს შორის მჭიდრო კონტაქტის ერთ-ერთი მაუწყებელია „ეგვიპტელ წმიდანთა ქართული ვერსიები, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია „ნისიმეს ცხოვრება“.

როგორც ცნობილია, უკვე III საუკუნეში ეგვიპტეში დედათა მთელი რიგი მონასტრები არსებობდა, რომელნიც თავიანთი ცხოვრების მკაცრი არსითა თუ მლოცველთა რაოდენობით ტოლს არ უდებდნენ მამათა სავანეებს.

ერთ-ერთი პირველი ცნობა, რომელიც ამ წმიდა დედათა შესახებ ქართულ ძეგლებში მოიპოვება, ეხება ისიდორა ტოვენიელს. (ქართული ვერსიით ნისიმეს), რომლის ცხოვრების სამი უძველესი აღწერილობა არსებობს. არაბული, სირიული და ქართული. რაც შეეხება დანარჩენ თარგმანებს (და იგი მსოფლიოს მრავალ ენაზეა გადატანილი), გვიანდელია. ისიდორას ცხოვრება აღწერეს ეფრემ სირიელმა და პალატი ელენოპოლელმა. ქართული ვერსიის ავტორი ცნობილი არ არის. იგი, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ოდნავ გვიანდელია, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ წინა ორ, თითქმის ერთნაირ ტექსტთან შედარებით, ეს უფრო განსხვავებულია. მასში მოცემულია წმიდანის ცხოვრების ბოლო პერიოდიც. ნისიმეს (იგივე ისიდორას) ცხოვრების შესახებ სხვა ენებში არავითარი ცნობა არ მოიპოვება. იგი ან არ არის აღმოჩენილი, ან არ არსებობდაო, წერს აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, რომელმაც საგანგებო ნაშრომი უძღვნა ამ საინტერესო ძეგლს (იხ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან ტ. VII. გვ. 77).

„ნისიმეს ცხოვრების“ შინაარსი ასეთია.

...ცხოვრობდა ეგვიპტეში ქალი, რომელსაც ერქვა ნისიმე. მისი მშობლები ძალზე მდიდრები იყვნენ, ჰქონდათ 15 ქალაქი თავისი შემოგარენითა და სოფლებით. მისი მამა იყო მეფე, მას ნისიმეს მეტი შვილი არ ჰყავდა. მამამ ნისიმეს ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს გვირგვინი აჩუქა და უთხრა: „...აი, ეს გვირგვინი, როცა ჩემი მეფობის ჟამი გაიელის და მე მოვკვდები, იმ ვაჟს, ვინც შენზე იქორწინებს, ამ გვირგვინით შეუმკე თავიო. ქალწული იგი იყო წყნარი და მშვენიერი, იყო თავდაბალი, მთელი დღეების განმავლობაში სამიდან ცხრა საათამდე კითხულობდა წმიდა წიგნებს და ოცნებობდა სულის მხსნელი გზის პოვნაზე. დაიხოცნენ ნისიმეს მშობლები. გამოიგლოვა ისინი ნისიმემ. მამის დანატოვარი ქონება კი გლახაკებს დაურიგა, გაათავისუფლა მონები და სავსებით განძარცვული, სახარებით ხელში ქრისტეს გზას დაადგა... გზაში შეიმოსა ნაპოვნი ძონძებით და წავიდა შორს, უცნობი გზებით. მიაღწია უდაბნომდე. უდაბნოს მხურვალე მზემ და ქვიშამ მალე დაჭკნო მისი მშვენება. მაგრამ იგი წმიდა იყო და როცა სახარებას კითხულობდა, მასთან შორიახლოს მოდიოდნენ მხეცნი და ფრინველნი. მათვე მოჰქონდათ მისთვის საკვები და წყალი. ასე დაჰყო ნისიმემ უდაბნოში 40 წელი. შემდეგ კი შეშფოთდა: „ვაი ჩემს ცოდვას. მე აქ ვცხოვრობ მშვიდად და კეთილად, ვჭამ და ვსვამ, არ ვხედავ ადამიანებს; ჯობს, წავალ მონასტერში, ვიქნები ჩუმად, მოვიციალ ყოველივეს, რაც ამქვეყნიური სიამაყეა, ვემსახურები განურჩევლად ყველას, დავბან ფეხებს, მოვუვლი დაღლილს, ვიმარხულებ და არ დავიძინებ. ყველას ვუჩვენებ თავს სულელად. დაე მაფურთხონ და მცემონ. მე კი ვილოცებ მათთვის და ყოველივეს მოვითმენ ქრისტეს სახელით, რათა ღირსი შევიქნა მასთან მიახლებისაო. ასე მიაღწია მან ტავენის ქალთა მონასტერში. სადაც 500 მონოზონი ცხოვრობდა. 40 წელი გაატარა ამ მონასტერში. როგორც სულელსა და უვიცს, ხშირად სცემდნენ აქ მას, დასცინოდნენ და თავაუღებლივ ამუშავებდნენ. მაგრამ იგი იყო მორჩილი და კმაყოფილი თავისი ხვედრის. ერთადერთი, რაც ვერავითარი ძალით მას ხელიდან ვერ წარსტაცეს, იყო ს ა ხ ა რ ე ბ ა.

და აი, ერთხელ ნეტარმა პიტირიმმა თავის კლდის განმარტოებულ სამყოფელში იხილა ანგელოსი, რომელმაც ამცნო მას, რომ ტავენის მონასტერში არსებობს მასზე უფრო დიდი წმიდანი ქალი. „შენ აქ ზიხარ მარტო, არაფერი არ გაშფოთებს. იგი კი მონასტერშია, მას სცემენ, დასცინიან, სძაგთ, მაგრამ ითმენს, არასოდეს ღვთისაგან არ გამდგარა. პირიქით, ნეტარებსო“. მაშინ პიტირიმი გამოვიდა თავისი სამყოფიდან და მივიდა მონასტერში. დედანი გაოგნდნენ, რა ემცნოთ ნისიმეს სიწმიდე; პირქვე დაემხნენ და თაყვანი სცეს მას... პატიება და ზიარება გამოსთხოვეს... ნისიმემ ლოცვა წარმოსთქვა, ყველანი დაამშვიდა და გავიდა. შეშფოთდა. ვერ აიტანა ამდენი ყურადღება. და აი ერთ ღამით მონასტერი დატოვა.

მხოლოდ ქართული ვერსია გვამცნობს, რომ ნისიმე უდაბნოში წასულა. აქ მის ირგვლივ ყოველ განსაზღვრულ დღეს თავს იყრიდნენ წმიდა მამანი და მისი ლოცვებით მშვიდდებოდნენ. ეს ხდებოდა წელიწადში ერთხელ, დიდ ხუთშაბათს. ამიტომაც ამ დღეს დიდი ნათელი ადგასო, გვამცნობს ნისიმეს ცხოვრების ქართული ვერსიის ავტორი. ნისიმე უდაბნოში 400 ბერს მოძღვრობდაო, წერს იგი. ეს ძეგლი ამ მხრივაც ფრიად საინტერესოა. მსოფლიოში ძნელად მოიპოვება სხვა მსგავსი ნაწარმოები, მამათა სავანეში წინამძღვარი რომ ქალი იყოს.

„ნისიმეს ცხოვრება“ ერთ-ერთი უძველესი ქართული თარგმანია. ამაზე მიუთითებს მისი ღრმად ბიბლიური, ამასთან, არქაული ენა. არსებობს მისი რამდენიმე ხელნაწერი. უძველესი IX—X საუკ. თარიღდება.

* * *

ჩვენს ხელთაა ერთი უაღრესად საინტერესო დოკუმენტი. ესაა თამარ მეფის წერილი ეგვიპტის სულთან სალაჰ ედ-დინისადმი (იგივე სალადინისადმი), ქართველთა ფიცი, რომელიც სალაჰ ედ-დინს გაეგზავნა ქათებ ისპაჰანელის ინშადან...

„...მე, რომელიც თამარი ვარ, გიორგის ასული, მეტყველი უფლის სიტყვითა და პიროვნებით, იმ უფლისა, რომელიც სამსაზოვანია — მამა, ძე და სულიწმიდა...

.... ვფიცავ მესიას და მის სიტყვას აკვანში,

.... ვფიცავ უბიწოებასა და კლემას მარიამისას,

ვფიცავ „სახარებას“, „დაბადებასა“ და „ფსალმუნს“, რომელნიც უფლის სიტყვანია მესიაზე, მოსესა და დავითზე (მშვიდობა მათთანა) გარდამოსული...

ვფიცავ ქრისტეს მოციქულებს და რჩეულთ დასთა,

ვფიცავ ჯვარცმას...

ვფიცავ ღვთაებრივი და ნივთიერი სამყაროს კავშირს, რომ ამ დღიდან და ამ საათიდან... მავან მავანის ძესთან კეთილი განნ-

ზრახვით და კარგი სურვილით ვიქნები. მისი მოყვრის მოყვარე ვიქნები და მტრის მტერი ვიქნები, სანამდის ცოცხალი ვარ...“

სამართლიანად წერს ერთი ავტორი: „მართლაც შესაშურია იმ მკვლევარის ბედი, რომელიც მიაკვლევს ესოდენ ძვირფას სტრიქონებს, სპარსულ ენაზე შედგენილ საბუთში რომ შემონახულა და თავისი შრომის ნაყოფს მკითხველთა ფართო წრეს გაუზიარებსო. (იხ. ლიტ. საქართველო 1982. 22 იანვარი). რაც შეეხება „თამარის ფიცის“ მთლიან ტექსტს, იგი ვრცელი კომენტარებით გამოქვეყნებულია მ. თოდუას წიგნში „ქართულ-სპარსული ეტიუდები“, III, 1979. ამ „ფიცის“ პირველადმოჩენის სიხარულიც მას ეკუთვნის.

იმ პოლიტიკური სიტუაციის ანალიზი, რის გამოც ეს წერილი დაიწერა, ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს. ამის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს, მაგრამ ერთი მთავარი, რაც ყველასათვის ცხადია, ის არის, რომ გარკვეულ პერიოდში „თამარის სამეფო კარი ეგვიპტესთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა. (იხ. ლიტ. საქართველო, 1982, 22 იანვარი). თამარის სამეფო კარის კონტაქტი სალადინთან, საერთოდ, ცნობილია. ისტორიკოსი ბაჰა ა-დდინ იბნ შადადი გვაუწყებს, რომ 1192/3 წ. საქართველოს მეფეთ-მეფეს, უძლეველ თამარს თავისი ელჩები წარუვლენია ეგვიპტის მპყრობელ სალაჰ ად-დინ ალ-აიუბთან და ორასიათასი დინარი შეუძლია იმ ჯვარში, რომელზედაც იესო ქრისტე გაკრეს და რომელიც იმჟამად (1187 წლიდან) მუსულმანების ტყვეობაში იმყოფებოდა. როგორც ცნობილია, სალაჰ ად-დინი (სალადინი) ეგვიპტეს განაგებდა 1171—1193 წლებში. მან 1187 წელს დაამარცხა ჯვაროსნები და დაიპყრო იერუსალიმი. იბნ ალ-ასირის ცნობით, მას იერუსალიმიდან წაუყვანია დაახლოებით 16 ათასი ტყვე. შეასრულა თუ არა სალაჰ ად-დინმა საქართველოს მეფის თხოვნა, ეს არსებული წყაროებიდან პირდაპირ არ ჩანს. მაგრამ როგორც ირკვევა, ეს ელჩობა სასურველი შედეგით ვერ დამთავრებულა. ეს ჯვარი მუსულმანებს მხოლოდ 1121 წელს დაუბრუნებიათ.*

ცხადია, ეს ფაქტი სალადინთან სასურველ ურთიერთობას ვერარ შეუნარჩუნებდა საქართველოს სამეფოს და ეს ისტორიულადაც დასტურდება. მალე კი (1220 წ.) საქართველოს მიწაზე თათარ-მონღოლთა გამოჩენამ ეგვიპტესთან ყოველგვარი კავშირი დიდი ხნით ჩაწყვიტა. ამ დროიდან საქართველოს მძიმე ხანა დაუდგა. იგი მონღოლთა ბატონობის ქვეშ მოექცა.

მხოლოდ დავით ნარინის მეფობის ჟამს აღდგა კავშირი ეგვიპტესთან, რომელმაც მონღოლთაგან ქვეყნის დახსნის მიზნით, 1265 წელს სულთანს თავისი ელჩები აახლა და დახმარება სთხოვა. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, „სულთანს ეს გარემოება, უეჭველია, გაახარებდა, რადგან მისთვისაც სასურველი იყო, რომ ჰულაგუ ყაენის მოწინააღმდეგე მისი მოკავშირე ყოფილიყო. ირანის ილხანი ხომ მისი სამეფოს დაპყრობა-დაპატრონებასაც ლამობდა“. სამი წლის შემდეგ ქართველი ელჩები კვლავ სწვევიან ჭაიროს და ბაიბარსისათვის მეფის წერილი მიურთმევიათ. მაგრამ ამ პერიოდში საქართველო უკვე ორ ნაწილად იყო გაყოფილი, აღმოსავლეთ ნაწილს დავით ულუ მართავდა, დასავლეთს დავით ნარინი. დავით ულუ ყაენს ემორჩილებოდა და იგი თავისდაუნებურად ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქრობებიც იღებდა მონაწილეობას, რამაც ძალზე გააბრაზა სულთანი. დავით ნარინის გულწრფელობა ეგვიპტის გამგებელმა ბაიბარს ბუნდუკარმა თვალთმაქცობად ჩასთვალა და საქართველოს ორივე ნაწილისადმი მტრულად განეწყო. ამის ერთ-ერთი გამოხატულება იყო ის, რომ ქართველებს იერუსალიმის ჯვარის მონასტერი ჩამოერთვათ და როგორც ალ-აინი ამბობს, მეჩეთად გადაკეთდა. ქართველებს აეკრძალათ ქრისტიანთა წმიდა ადგილებში ჩვეულებრივი წესით სიარული. ისინი ცხენ-სახედარზე ისე უნდა მსხდარიყვნენ, „ვითარცა დიაცნი“, ე. ი. ცალ მხარეს ფეხებჩამოშვებულნი. ეს ერთობ დამამცირებელი სასჯელი იყო, რასაც, ცხადია, საქართველოში მშვიდად ვერ შეხვდებოდნენ. ამის შემდეგ ქართველები უფრო ფართო მასშტაბით მონაწილეობენ ილხანთა ლაშქრობებში ეგვიპტის მიმართ. საქართველო ეგვიპტისაგან მოითხოვდა წმიდა ადგილების დაბრუნებას და ჯვარის მონასტრის მიტაცების შემდეგ დაწესებული უფლებრივი სასჯელის გაუქმებას; რასაც ბოლოს კიდეც მიაღწიეს, მაგრამ არა ბრძოლით, არამედ მშვიდობიანი მოლაპარაკებით. ეს მოხდა 1301—1303 წლებში. სულთნის ჯარმა სამჯერ ზედიზედ დაამარცხა ყაზან ყაენისა და ვახტანგ III შეერთებული ლაშქარი. საქართველო საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ილხანებს არ შესწევდათ ძალა ეგვიპტის ტერიტორიის, კერძოდ კი სირია-პალესტინის დაპყრობისა. ამ დროიდან საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიაში იწყება ახალი, მშვიდობიანი დამოკიდებულების ხანა.

ჯვარის მონასტრის მატიანეებში შეტანილ № 295/288 აღაპში ვკითხულობთ: „ამასვე დღესა (15 აგვ.) წირვაჲ და აღაპი საუკუნოჲ დავით მეფეთ-მეფისაჲ და მეორედ აღმაშენებლისაჲ წმიდისა მონასტრისაჲ, რომელმან სარკინოზთაგან წარტყუენული მონასტერი და ეკლესიაჲ მიზგითად შეცვალებული ეკლესიადვე სალოცველად შეცვალა და კუალად აგო ნათესავსა ქართველთასა, რომლისა საუკუნომცა არს საკსენებელი“... მიუხედავად აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობისა, ამ აღაპისა და არაბული წყაროს, კერძოდ თაკი ად-დინ აბდ არ-რაჰმან ალ-კადავი ალ-მუჰიბბის ცნობით ქართველთა მეფეს, რომელიც მაშინ (ე. ი. 1305 წელს სულთანთან ქართველი ელჩების გამოცხადების დროს) თბილისს განაგებდა, დავითი ერქვა. ცხადია, ეს დავითი ამ დროს სხვა არავინაა, თუ არა დავით VIII. ბ. სილაგაძეც (იმავე დასახელებულ ნაშრომში) დაასკვნის, რომ ქართველი მეფე, რომელმაც ეგვიპტის მბრძანებელს მეჩეთად გადაკეთებული ჯვარის მონასტრის დაბრუნება და იერუსალიმში ქრისტიანთა მდგომარეობის გაუმჯობესება სთხოვა, დავით VIII იყო.

. იმ პერიოდში, როდესაც ეგვიპტესა და საქართველოს შორის თითქმის მთლიანად ჩაწყვეტილი იყო ურთიერთობა, ადვილი არ უნდა ყოფილიყო მასთან მოლაპარაკებაზე ფიქრიც კი. ეს ძალიან ძნელი იყო. ამიტომ საქართველოს მეფემ საქმეში ბიზანტიის იმპერატორი ჩარია, რომელიც სულთანს ამცნობდა: თუ ჯვარის მონასტრის დაბრუნებაზე უარს არ იტყვი, ქართველები თქვენი ერთგულნი იქნებიან და როცა საჭირო იქნება, ყოველთვის დაგეხმარებიანო. ამ პირობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა და თუმცა უკვე მეჩეთად ქცეული სალოცავის კვლავ ქართველთათვის გადაცემა არც სულთანისათვის იყო ადვილი, (ეს მაჰმადიანთა უკმაყოფილებას გამოიწვევდა), მან ჯვარის მონასტერი კვლავ ქართველებს გადასცა და ცხენ-სახედარზე ჩვეულებრივი ჯდომის უფლებაც მისცა. ეს დიდად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო საქართველოს ცხოვრებაში. ამით კვლავ იზრდებოდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი აღმოსავლეთში... მაგრამ არანაკლებ სასარგებლო იყო ყოველივე ეს ეგვიპტისთვისაც. ამიერიდან ილხანთა ეგვიპტის წინააღმდეგ მუდამმოქმედ ლაშქრობებში ქართველები აღარ მიიღებდნენ მონაწილეობას, პირიქით, ქართველთა ლაშქარი ილხანთა წინააღმდეგაც კი უნდა გამოსულიყო, თუ ეს ეგვიპტისათვის საჭირო იქნებოდა. ამასთან, საქართველოს გამოსვლა ეგვიპტის მოკავშირედ ძალთა თანაფარდობას აღმოსავლეთში ირანის საზიანოდ და ეგვიპტის სასარგებლოდ სცვლიდა.

ეს ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი მომხდარა 1305 წელს, დავით VIII მეფობის ჟამს (ბ. სილაგაძე. დასახ. ნაშრომი). ამის შემდეგ ქართველი დიპლომატები ეგვიპტის გამგებლის ხშირი სტუმრები გახდნენ: ქართულ წყაროებში, კერძოდ „ძეგლი ერისთავთაჲ“ დაცულია ერთი ფრიად საინტერესო ცნობა შალვა ქსნის ერისთავის ძის პიპა ქვენიფნეველისა და მისი თანმხლები იოვანე ბანდასძის ეგვიპტეში ელჩობის შესახებ. აქ ნათქვამია, რომ მეფე გიორგიმ „წარმოგზავნა ძე შალვა ერისთავისა, რომელსა ერქუა პიპა, გზასა ჭმელთასა მრავლითა ძღუენითა წინაშე ნისრელისა და წარჰყვა თანა ბანდას ძე დეკანოზი იოვანე და მივიდა პიპაჲ წინაშე ნისრელისა; ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძღუენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალემისანი. მივიდა პიპაჲ ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემოკა, ჟამი აწირვა, ეზიარა და დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღუარად. და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელსა და ყოველსა ერსა ცხრა-

* ეს საკითხი ვრცლადაა მიმოხილული ბ. სილაგაძის ნაშრომში „მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის“, რომელიც ეხება ქართველების ბრძოლას პალესტინის წმიდა ადგილების გათავისუფლებისათვის XIII—XIV საუკუნეებში, ჩვენს წერილში მოხმობილი ფაქტებიც ძირითადად ამ ნაშრომს ემყარება.

ზმის ჯვისასა, რომელ მოძღუართ-მოძღუარებაჲ ნუვის ჯელ-ეწიფების თვინიერ ამისსა, და შემდგომად ვინცა იყოს მონასტრის (მოძღუართ-მოძღუარი)... ხოლო პიპამან მოიღოცნა წმიდანი ადგილნი და შეკრიბნა ნაწილნი წმიდათანი და ხატნი შუენიერნი და წარმოვიდა მასვე გზასა კმელით და მოვიდა წინაშე მეფისა და მოიღო იერლაყი შეწყალებისაჲ და აღსრულებაჲ ყოვლისა სათხოვლისა მისისაჲ. ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მიეცნეს კლიტენი ქართველთა" (ქართვლის ცხოვრება. II. გვ. 444—5). ეს ელჩობა უნდა შემდგარიყო 1316 წელს. (იხ. ბ. სილაგაძის იგივე ნაშრომი. გვ. 103). რადგან მაჰმადიან მწერალთა ცნობებით, ქართველი მეფის ელჩები ამ დროს ჩანან ეგვიპტის გამგებლის კარზე. სულთანმა შეიწყნარა ქართველთა მეფის თხოვნა და მისცა მას „კლიტენი იერუსალიმისანი", „აღსრულა ყოველი სათხოვნელი მისისაჲ" და პატივისცემით გამოისტუმრა შინისაკენ: „ეს დიდად მნიშვნელოვანი ფაქტი, ბუნებრივია სიხარულს მოჰგვრიდა გიორგი მეფეს. თუ ჯვრის მონასტრის დაბრუნებით 1305 წელს საქართველომ თავისი საერთაშორისო გავლენა აღადგინა, ახლა ეს გავლენა კიდევ უფრო გაიზრდებოდა, ვინაიდან სულთნის წინაშე იესოს სავანის გათავისუფლების საკითხის დაყენებას და კეთილად გადაწყვეტას მისთვის ყველა ქრისტიანი ქვეყნის სწორუფლებიანობისათვის მზრუნველი სახელმწიფოს სახელი უნდა დაემკვიდრებინა"... და მართლაც, XIV ს. ბოლოს საქართველოს ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ მას ანგარიშს უწევდნენ არა მარტო ქრისტიანული დასავლეთის, არამედ, მაჰმადიანური აღმოსავლეთის ისეთი დიდი სახელმწიფოს განმგებლებიც კი, როგორებიც იყვნენ მაგალითად, ეგვიპტის სულთნები. მათ ჯერ კიდევ XIV საუკუნის I ნახევარში, სწორედ გიორგი ბრწყინვალის დროს შემუშავებული ჰქონდათ საქართველოს მეფეებისადმი დიპლომატიური მიმართვის სპეციალური ფორმა, რომელიც ალ-უმარის მიხედვით ასეთი შინაარსისაა:

„ალაჰიმც მაღალი ხანგრძლივ ჰყოფს ბრწყინვალებას (მის) მეფურ უდიდებულესობისა, სახელოვნისა, რაინდისა. მამაცისა ლომისა, გულადისა, შემტევისა, ლომ-გულისა, ტახტგვირგვინოსანისა, თავის სარწმუნოებაში განსწავლულისა, სამართლიანისა თავის ქვეშევრდომთა მიმართ, რჩეულისა, იღრიკის მეფეთა შორის, რჩეულისა ქართველთა სულთნისა, ზღვათა და სრუტეთა განძის მფლობელისა, რაინდთა ქვეყნის დამცველისა, წინაპართა ტახტგვირგვინის მემკვიდრისა, რუმისა და ირანის ქვეყნების მფარველისა, იოანელთა (ბერძენთა) ამოღებული მახვილისა, ასურელ მეფეთა დედაარსისა, ტახტ-გვირგვინოსანთა (შორის) რჩეულისა, ქრისტიანობის განმდიდებლისა, ისას (იესოს) მიმდევართა შემწისა, მესიის გმირთა მცხებლისა, თავის განზრახვით წმიდა სახლის (იერუსალიმის) განმადიდებლისა, ნათელღებულთა საყრდენისა, პაპის შემწისა — რომის პაპისა, მუსლიმანთა მოყვარულისა, დაახლოებულ მეგობართაგან უწმიდესისა მეფეთა და სულთანთა ერთგული მეგობრისა (გ. წერეთელი არაბული ქრესტომათია გვ. 78). ეს ზეაწეული ტონი თავად მოწმობს საქართველოს იმდროინდელ ავტორიტეტზე ეგვიპტეში. მოწმობს იმ მჭიდრო ურთიერთობაზე, რომელიც ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებობდა... მაგრამ ეს გრძელდებოდა XIV საუკუნის 50-იან წლებამდე. შემდეგ კი, როცა ილხანთა ერთიანი სახელმწიფო დასუსტდა და ბოლოს კი სულ დაიშალა, ეგვიპტეს აღმოსავლეთიდან საფრთხე აღარ ემუქრებოდა და ამიტომ საქართველოს მისთვის აღარ ჰქონდა ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორიც ადრე და ეს გარემოება თავისებურად აისახა ქართველი მეფეებისადმი მათი მიმართვის ახალ, თავშეკავებულ სტილშიც... თუმცა, მათ შორის ურთიერთობა მაინც არასდროს შეწყვეტილა.

მოგვიანო საუკუნეებში, როცა საქართველო ირანის შაჰებისა და თურქ-სელჯუკთა სათარეშოდ იქცა, ქართველ ვაჟკაცებს ეგვიპტის მამელუკთა ლაშქარში ვხედავთ... ესენი იყვნენ საქართველოდან გატაცებული და შორეულ ქვეყანაში გაყიდული ყმაწვილები, რომელთაც მოლაშქრეებად ზრდიდნენ. მაგრამ, საგულისხმოა, რომ ქართველი მამელუკები, ეგვიპტესა თუ სიარიაში თავიანთი ვაჟკაცობითა და შემართებით, ასევე გარეგნული იერითა და სილამაზით, მკვეთრად გამოირჩეოდნენ სხვებისგან... ბევრ მათგანს მამელუკთა ბელადობაც კი ხვდა წილად...

არსებობს ეგვიპტელი იბრეიმ ბეგისა (აბრამ შინჯიკაშვილი) და სულეიმან-აღა ამფიას წერილებიც ერეკლე მეორისადმი. ეს წერილები მოწმობენ ერეკლე მეფისა და ეგვიპტელი ბეგების ახლო ურთიერთობასა და მათ შორის დიდი ხნის წერილობით კონტაქტს; ცხადყოფენ, რომ ეგვიპტელი ბეგები გამოსყიდვის საშუალებით მონობიდან ათავისუფლებდნენ ქართველებს, აძლევდნენ მათ გასაშვებ სიგელებს, ფულს და გზავნიდნენ სამშობლოში. საქართველოს უგზავნიდნენ სახსრებს ეკლესიების ასაშენებლად და სხვ. (ვ. მაჭარაძე გაზ. „თბილისი" 1967 2 ნოემბერი).

* * *

მასალები, რომელსაც შეძლებისდაგვარად თავი მოვუყარეთ ამ წერილში, გაფანტულია ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და გამოკვლევებში. ბევრი მათგანი კომენტირებულიცაა... ბევრი საკითხი ჯერ დაუზუსტებელი და სადაოა. მათ ალბათ, მომავალი გამოაჩენს. მთლიანად კი, ყოველივე ეს ღრმად საინტერესოა და მკითხველს, ვფიქრობთ, გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ორი ქვეყნის — ეგვიპტისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიაზე; თუ არ მიაახლოებს, დააფიქრებს მაინც კაცობრიობის უშორესი წარსულის ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის უძველეს ფესვებზე.

მარგველი ეპისკოპოსი ქრისტეფორე (ფამალაიძე)

საჩხერის ეკლესიის მრევლი ვაჟას ჩარგალში. მათ შორის: ვაჟას ქალიშვილი გულქანი და ეპისკოპოსი ქრისტეფორე



გერგეტის სამება. XIV ს.



განკურნეგისათვის კაცთა

ქართული საეკლესიო მედიცინის ისტორიიდან

მედიცინა უძველესი დარგია. ყოველი ეპოქის ადამიანები დიდი ინტერესით სწავლობდნენ წინაპართა სამედიცინო მემკვიდრეობას. რაც სასარგებლო იყო, ითვისებდნენ, ავითარებდნენ, იყენებდნენ სნეულებათა დასაძლევად. თანამედროვე სამედიცინო მეცნიერებაში არა ერთი დებულებაა შესული უძველესი მედიცინიდან და დღესაც არაერთი უძველესი სამკურნალო საშუალებაა გამოყენებული.

ბერძენ და რომაელ ავტორთა ნაწერებში შემონახულია ფრაგმენტები, რომლებიც მიუთითებენ, რომ საქართველოში გავრცელებული ყოფილა სავსებით უნიკალური სამკურნალო მცენარეები. ისინი საუკეთესო ხარისხისა და თვისებების მქონედ ითვლებოდნენ. ძველი მემატიანეები მაშინდელ საქართველოს იხსენიებენ, როგორც სამკურნალო მცენარეების, სხვადასხვა წამლების ქვეყანას.

ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეებიდანვე (აღარ ვლაპარაკობთ უფრო ადრინდელზე, კოლხეთისა და კერძოდ მედეას შესახებ, ეს ცალკე საუბრის თემაა, დიდი თემა. ამის შესახებ ჩვენ შემდეგ ვისაუბრებთ) შეინიშნება, რომ ქართული მედიცინა განვითარების მაღალ საფეხურზე იყო, უფრო მოგვიანებით, როცა ქრისტიანობა მძლავრად იკიდებს ფეხს საქართველოში, როცა ქართლად უკვე „ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების და ჟამი ქართულისა ენითა შეიწირვის“, თავისი განვითარების ზენიტს აღწევს მედიცინაც. ამ დროს ეკლესია-მონასტრებთან უხვად აგებენ მოხუცთა და უძლურთა თავშესაფრებს, აგებენ ქსენონებს. არსებობს, როგორც სამოქალაქო-პროფესიული მედიცინა, ისე საეკლესიო-სამონასტრო, რომლის არეალიც მხოლოდ საქართველოთი არ შემოიფარგლება. ამ პერიოდის სამონასტრო მედიცინა, ასევე სამედიცინო ცენტრებისა და საავადმყოფოების არსებობა როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარედ, უკანასკნელი 30—40 წლის განმავლობაში დადგინდა. მაგალითად: — ათონის ივერთა მონასტერი, საბაწმიდის ქართველთა სავანე, გელათის, ტაოკლარჯეთის სამონასტრო ცენტრები და სხვა.

მეცნიერული მედიცინის დანერგვა-გავრცელებაში გარკვეულ როლს საეკლესიო ცენტრებთან არსებული სამედიცინო კერები და მათთან არსებული საავადმყოფოები ასრულებდა. ცნობილია, რომ ღვთისმეტყველება და მედიცინა ადრეულ საუკუნეებში ერთმანეთისგან გაყოფილი არ იყო. ღვთისმეტყველნი საექიმო საქმეებსაც ეწეოდნენ და სამედიცინო ლიტერატურასაც ქმნიდნენ.

ქართული სამონასტრო სამედიცინო კერები და საავადმყოფოები ტერიტორიული განლაგების მიხედვით პირობითად შეიძლება 2 ჯგუფად დავყოთ: კერები — განლაგებული საქართველოში და კერები — განლაგებული საქართველოს ტერიტორიის გარედ. უცხოეთში განლაგებულ სამონასტრო სამკურნალო ცენტრებს ყოველთვის ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ თავიანთ დედა-სამშობლოსთან. თავის მხრივ, ქართველი მეფეები, მთავრები, მღვდელმთავრები, ხალხი ამ ცენტრების ნაყოფიერ მუშაობას უზრუნველყოფდნენ შეწირულობებით.

ქართველი მეფეები საზღვარგარეთ არსებულ მონასტრებზე ისევე ზრუნავდნენ, როგორც თავიანთ განმგებლობაში მყოფი ქვეყნის რომელიმე ნაწილზე: დავით აღმაშენებელმა სინაზე, ქორების მთაზე, ააგო ახალი ეკლესია და სენაკები ქართველ მოღვაწეთათვის, გელათთან კი აღაშენა ქსენონი. თამარ დედოფალი უხვ შეწირულობას უგზავნიდა საზღვარგარეთის ცენტრებში მოღვაწე ქართველებს და მათ სავანეებს.

ყველაზე ადრეული ცნობები ქართული სამედიცინო კერისა და საავადმყოფოს არსებობის შესახებ „პეტრე იბერის ცხოვრებაშია“ შემონახული. მემატიანე მის მიერ სასწაულებრივი განკურნების მრავალ შემთხვევას აღწერს.

ქართული კულტურის ერთ-ერთი კერა იყო საბა განწმედილის ცნობილი ლავრა პალესტინაში. აქ რომ სამკურნალო საქმესაც ეწეოდნენ, ეს ჩანს ამ ლავრის წინამძღვრის, მარტვილი საბაწმიდელის თხზულებიდან. მოძღვარი მონოზნებს არიგებს: „ეზიარე ტკივილთა მისთა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა შეეწიე მას და განაძლიერე ნუგეშინის ცემითა“, ე. ი. მონოზონი ვალდებულია „აღიხუნას“ „სალმობანი“ მისი ავადმყოფისა ისე, „ვითარცა იტყვიან მეცნიერნი მკურნალნი“, რომელნიც „გამოცდილ არიან და იციან“. საბაწმიდის ლავრაში იყო საავადმყოფო, რომლის შესახებ ცნობა შემონახულია კირილე სკვითოპოლელის „საბას ცხოვრებაში“. ეს ნაწარმოები დაწერილია 555 წელს და ქართულად თარგმნილია VII—VIII საუკუნეებში. ტექსტში ვკითხულობთ: ორმა ისაურელმა ძმამ საბას ლავრას აუშენა „არტოკოპი, რომელ არს პური საქმარი და სასნეულო“. ლავრის წინამძღვრის მარტვი-

ლი საბაწმიდელის ჰომილია „სინანულისათვის სიმდაბლისა“ მიუთითებს ლავრის ფართო საექიმო მოღვაწეობაზე, მარტვილისა და მისი მოწაფეების მედიცინაში განსწავლულობაზე, რომელნიც თავიანთ საექიმო პრაქტიკაში იყენებდნენ მეცნიერ თუ ხელოვან მკურნალთა გამოცდილებასა და ცოდნას.

ჩვენთვის საინტერესო პიროვნებას წარმოადგენს ილარიონ ქართველი (822—875 წწ.), რომლის სახელთან არის დაკავშირებული ორი ქართული მონასტრის აშენება ბიზანტიაში. ბიოგრაფის სიტყვებით „მრავალნი კურნებანი აღასრულა წმიდამან“. მას სახავენ, როგორც სულიერთა წყლულების მკურნალად, ასევე „ხორცთასასალმობიერთა“ მკურნალადაც. ილარიონმა ლოცვით განკურნა 13 წლის სნეული ვენახის მცველი, რომელსაც „სალმობა სასტიკი“ ჰქონდა, „რომელმან განახმნა ფერხნი მისნი“, აგრეთვე, ერთ-ერთი თესალონიკელი დიდებულის შვილი, რომელსაც „მარჯუენა კერძო ნახევარი იგი ხორცთა მისთა სრულად განხმარ იყო და ყოვლად უხმარ ქმნილ“.

ისეთი დიდი სახელი მოუხვეჭია ილარიონ ქართველს თავისი სასწაულმოქმედი მკურნალობით, რომ მეფე ბასილის განუზრახავს უფლისწულებისათვის ილარიონის ქართული „ენა და წიგნი“ ესწავლებინა.

საექიმო საქმიანობით დიდად იყო ცნობილი ათონის ივერთა მონასტერი. იქ რამდენიმე საავადმყოფო არსებობდა, მათ შორის, საავადმყოფო კეთროვანთათვისაც— ლეპროზორიუმი. საექიმო საქმისა და საავადმყოფოთა მშენებლობის მოთავედ ითვლებოდა მონასტრის წინამძღვარი ექვთიმე მთაწმიდელი. მას რჩევისა და ხელმძღვანელობისათვის განუწყვეტლივ იწვევდნენ ათონის მთაზე განლაგებული ქრისტიანული სამყაროს სხვადასხვა ეროვნებათა მონასტრები. გიორგი მთაწმიდელს აქ უთარგმნია სამედიცინო ბიოლოგიური ხასიათის ტრაქტატი „დაბადებისათვის კაცისა“. ეს წიგნი იმავე საუკუნეებში გადაუწერიათ ხანძთის სავანეებში მოღვაწე ბერებს.

XI საუკუნის პირველ ნახევარში ათონზე ვინმე მიქაელის შემოწირულობით აუშენებიათ საავადმყოფო. 1412—1443 წლებში მეფე ალექსანდრე პირველს ეს საავადმყოფო კვლავ განუახლებია. 1502—1503 წწ. ათონზე შენდება საავადმყოფოს ახალი შენობა სამცხის ათაბაგის, ყვარყვარე ჯაყელ-ციხისჯვარელის ძის ზეჭაბუკის შემოწირულობით. გვიან, საავადმყოფოს არსებობას ათონში კვლავ ადასტურებენ კიმოთე მთავარეპისკოპოსი — გაბაშვილი (1755 წ.) და იონა რუისის მიტროპოლიტი — გედევანიშვილი (1788 წ.). საავადმყოფოს განკარგულებაში ყოფილა ზეთისხილის ბაღი, როგორც დამხმარე მეურნეობა სნეულთა საჭიროებისათვის. მკვლევართა ნაშრომებიდან ვიგებთ, რომ ათონზე საავადმყოფოს კომპლექსში რამდენიმე დამხმარე ნაგებობაც შედიოდა. XV—XVI საუკუნეებში ათონის ივერთა მონასტერში ყოფილა 2 საავადმყოფო (წმ. გიორგისა, წმ. მოდესტისა) და ერთი ლეპროზორიუმი.

ამჟამად დადასტურებულია, რომ საექიმო მოღვაწეობას ეწეოდნენ პეტრიწონის ქართველთა მონასტერში (ბულგარეთი) და რომ მსოფლიო მედიცინის ისტორიაში ცნობილი „სალერნოელი“, „პეტრიციელი, პეტრონცელი, პეტრონია, — პრაქტიკული საექიმო წიგნის — „პრაქტიკის“ ავტორი იოანე პეტრიწია. წიგნი და მისი ავტორი უაღრესად პოპულარული იყო მთელ დასავლეთ ევროპაში. (იხ. მ. შენგელია „მედიცინის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში. გვ. 97).

პეტრე იბერი

13 ასურელ მამათა და მათ მოწაფეთა მიერ საქართველოში აშენებული მონასტრების მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენდა კურნებანი. ჩვენამდე მოღწეულია ცნობები იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, დავით გარეჯელის, აბიბოს ნეკრესელისა და სხვათა სასწაულებრივი სამკურნალო მოღვაწეობის შესახებ.

დიდად იყო გაშლილი სამკურნალო მოღვაწეობა ხანძთასა და მისდამი დაქვემდებარებულ სხვა მონასტრებში. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერაში მოიპოვება ამის დამადასტურებელი ცნობები. მკურნალობას გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფე ეპიფანე ეწეოდნენ. ერთხელ შატბერდში ყოფნისას გრიგოლს მიჰგვარეს 2 წლის ბავშვი, „რომელსა ხელნი და ფერხნი (ბოროტი სულისგან) მისუმელ იყვნეს და არსი გარემოქცეულ იყო“. შემდეგ „და კვალად სხუად ვინმე იყო დედაკაცი, სისხლის დინებითა გუემული, მრავალთა ექიმთა“, რომელიც იმდენად მისუსტებული იყო სნეულებით, რომ „ვერ შემძლებელ იყო თვისსა მას სენსა საჯმნო ყოფად, არამედ მდუმრიად სულთქმით დაალტომდა ფერხთა მისთა ცრემლითა და ითხოვდა კურნებას“. გრიგოლ ხანძთელმა, როგორც მოგვითხრობს მისი ცხოვრების აღმწერი, ლოცვით ორივე განკურნა.

უმნიშვნელოვანესი ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტრაქტატია არსენ იყალთოელის მიერ გადმოღებული „გარდამოცემა“. ეს წარმოადგენს იოანე დამასკელის, დიდი საეკლესიო მოღვაწის, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოების „წყარო ცოდნისას“ ბოლო ნაწილს. „გარდამოცემა“ ერთი სახელმძღვანელო იქნებოდა, რომელსაც არსენი გამოიყენებდა გელათსა თუ იყალთოში

ანატომია-ფიზიოლოგიის სწავლების დროს. იგი ხომ ანატომიის მოძღვართმოძღვარია. ეს კი საქართველოში სამეცნიერო წოდება იყო და არა ჩვეულებრივი ეპითეტი.

ყოველივე ამის შემდეგ საეჭვოდ არ უნდა ჩაითვალოს გელათში საავადმყოფოსა და სამედიცინო განათლების კერის არსებობა.

საქართველოს სამონასტრო სტრუქტურაში საერთოდ ყოფილა სნეულთა, მოხუცთა და უძლურთა თავშესაფრები და ავადმყოფთა მოვლა-მკურნალობის გარკვეული რეჟიმი. მაგალითად: ვანის ქვაბთა მონასტერი თავის წესდებაში ითვალისწინებდა სასნეულოს: უძლურად მყოფ ძმათათვის „მესნეულის“ თანამდებობას, დღეში სამჯერ სნეულთა შემოვლას, სნეულთა „უშურველ“ უზრუნველყოფას კვებითა და ყოველგვარი საჭიროებით.

ამჟამად უკვე დადგენილად ითვლება, რომ საქართველოში არსებობდა სამონასტრო მედიცინა. იგი სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა, სამონასტრო-სამედიცინო საქმეს განაგებდნენ საეკლესიო-კულტურულ ცენტრებში მოღვაწე ქართველი მღვდელ-მონოზონნი და რაც მთავარია, მეცნიერების ეს დარგი განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა.

ე. ბარამიძე

ატენის ხიონი. VII ს.

ახალციხის ეკლესიის საშრეკლო

ახალციხე. წმ. მარინეს სახ. ეკლესია.
ეპისკოპოსი ა ნ ა ნ ი ა (ჯაფარიძე) წირვის დროს

ლექსიკონი და განმარტებანი

საეკლესიო ღვთისმსახურების სახეები

ღვთისმსახურება, საზოგადოდ, ფართო ცნებაა. იგი გულისხმობს ლოცვას, მარხვას, ქველ-მოქმედებას, ძველი აღთქმის „ათი მცნებისა“ და ახალი აღთქმის „ცხრა ნეტარების“ დაცვას, შვიდი საიდუმლოს აღსრულებასა და სხვა ღვთივ-სათნო საქმიანობას. მამაშასადამე, ღვთისმსახურება, ფართო გაგებით, — მორწმუნე ადამიანის მთელი ცხოვრებაა.

რაც შეეხება საკუთრივ საეკლესიო ღვთისმსახურებას, იგი სრულდება ეკლესიაში, მოციქულთაგან გადმოცემული მადლით შემოსილი სამღვდელოების მიერ, ღმერთსა და მრევლს (მორწმუნე საზოგადოებას) შორის კავშირის დასამყარებლად და მთელი ერის საცხოვნებლად.

ქრისტიანულ მართლმადიდებელ ეკლესიაში ძირითადად სრულდება სამი სახის ღვთისმსახურება:

— წირვა, ანუ საღმრთო ლიტურღია.

— ლოცვა.

— საეკლესიო წესები.

წირვა ანუ საღმრთო ლიტურღია საეკლესიო ღვთისმსახურების უმაღლესი ფორმაა. თვით ბერძნული სიტყვა ***λειτουργία*** (ლიტურღია) ნიშნავს „მსახურებას“ („საღმრთო მსახურებას“). ქართული ტერმინი „წირვა“ (ძველად ხმარობდნენ, აგრეთვე, ტერმინს — „ჟამის-წირვა“) ზუსტად გამოხატავს საღმრთო მსახურების ძირითად შინაარსს: წირვაზე ხდება მსხვერპლის შეწირვა (ძღვნის მირთმევა) ღვთისადმი.

სამსხვერპლოდ, მაცხოვრის მცნებით, დაწესებულია პური და ღვინო. სამსხვერპლო წმიდა პურს ეწოდება სამეუფეო (სამეფო) პური, ანუ სეფისკვერი (მეფედ, ანუ მეუფედ იგულისხმება მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე). სამსხვერპლო წმიდა ღვინოს, რომელიც აუცილებლად სისხლისფერი (წითელი, ან შავი) უნდა იყოს, ეწოდება ზედაშე. აქვე შევნიშნოთ, რომ საუფლო მსხვერპლის (ძღვნის) სიწმიდეს ძველთაგანვე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. სეფისკვერის გამოცხობის უფლება ჰქონდათ და დღესაც აქვთ მხოლოდ განწმედილ და კეთილმსახურ მამებსა და დედებს, ხოლო წმიდა ღვინის (ზედაშის) მარანს, რომელსაც, აგრეთვე, ზედაშე ეწოდებოდა, სალოცავის მნიშვნელობა ჰქონდა. დღესაც მთელ საქართველოში, განსაკუთრებით — ქართლ-კახეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, საგვარეულო ზედაშეებზე ისევე ლოცულობენ, როგორც ეკლესიაში. დღემდეა შემორჩენილი მშვენიერი ჩვეულება ქვევრებთან სანთლების დანთებისა, საკმეველის კმევისა და საღმრთო მსხვერპლის შეწირვისა.

მსხვერპლის შეწირვა, ანუ წირვა (ჟამის წირვა, — როგორც ეწოდება ძველ ქართულ ძეგლებში) დაწესებულია თვით მაცხოვრის, იესო ქრისტეს მიერ საიდუმლო სერობაზე. მანამდეც სრულდებოდა ღვთისადმი ძღვნის მირთმევა, მაგრამ ძველად შეიწირებოდა სისხლიანი მსხვერპლი, — ზვარაკი, ტარიგი (ბატკანი, კრავი), ხოლო იესო ქრისტემ დააწესა უსისხლო მსხვერპლი — სეფისკვერი და შავი ღვინო. სეფისკვერი სიმბოლურად გამოხატავს საღმრთო ტარიგს, — იესო ქრისტეს, რომელიც კაცობრიობის ცხოვნებისათვის, „ვითარცა ცხოვარი, კლვად მიიგვარა“ („კვეთის წესი“. კონდაკი).

წირვის დაწესება მოხდა, როგორც ვთქვით, საიდუმლო სერობაზე („სერობა“ ახალ ქართულად „ვახშამს“ ნიშნავს), როცა მაცხოვარმა გატეხა პური, დაურიგა მოწაფეებს და უთხრა: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი“ (მათე 26, 26). დაურიგა აგრეთვე ღვინო და უთხრა: „სუთ ამისგანი ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისაჲ, მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა“ (მათე 26, 27—28).

მაცხოვრის განხორციელებამდე სჯულის სახელმძღვანელოდ დაწესებული იყო ძველი აღთქმის საღმრთო წერილი (ბიბლია), რომელიც დაწერეს ღვთივ-განბრძნობილმა წმიდა წინასწარმეტყველებმა. იესო ქრისტემ თავისი განხორციელებით „აღასრულა“ ძველი სჯული — ძველი აღთქმა და მის ნაცვლად კაცობრიობას ახალი სჯული, — ახალი აღთქმა მისცა.

შევნიშნოთ, რომ ძველი ქართული სიტყვა „აღსრულება“ ნიშნავდა როგორც რისამე შესრულებას (საქმის, წინასწარმეტყველების და სხვ.), ასევე „შევსებას“, „სრულად, უნაკლულოდ გადაქცევას“. როდესაც ვამბობთ, რომ იესო ქრისტემ **აღასრულა** ძველი სჯული, ვგულისხმობთ ამ სიტყვის როგორც პირველ, ისე მეორე მნიშვნელობას. მართლაც, მაცხოვრის განხორციელებით, ვნებით, ჯვარცმით, აღდგომითა და ამაღლებით შესრულდა ის, რაც იწინასწარმეტყველეს წინასწარმეტყველებმა „პირველ განკაცებისა“, ე. ი. მაცხოვრის განხორციელებამდე. ასევე, როცა ვამბობთ, რომ იესო ქრისტემ ძველი სჯული აღასრულა, აქ იმასაც გამოვხატავთ, რომ მაცხოვარმა შეავსო, სრულქმნა, „აღასრულა“ ძველი აღთქმის სჯული.

ამრიგად, უფლის ნებით შეიქმნა ახალი აღთქმის საღმრთო წერილი, რომელიც დაწერეს მაცხოვრის წმიდა მოციქულებმა: პეტრემ, პავლემ, იოანე ღვთისმეტყველმა, მათემ, მარკოზმა, ლუკამ, იაკობმა და იუდამ.

მართლმადიდებელ ეკლესიაში, მისი დაარსებიდან რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სრულდებოდა წირვის პირველი წესები, რომლებიც დაწერეს მოციქულებმა — პეტრემ, მარკოზმა და იაკობმა.

მოციქულთა წირვები შუა საუკუნეებიდან თანდათანობით შეცვალეს კონსტანტინეპოლურმა ლიტურღიებმა, რომლებიც შეთხზეს ბასილი დიდმა და იოანე ოქროპირმა. კერძოდ, საქართველოში იერუსალიმური ტიბიკონი მოქმედებდა X საუკუნემდე. კონსტანტინეპოლური ლიტურღიების შესრულება ჩვენში მხოლოდ XI საუკუნიდან დაიწყო ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის მოღვაწეობის შედეგად. საერთოდ კი, აღმოსავლეთში თითქმის XII საუკუნემდე იყო მიღებული მოციქულთა ლიტურღიები, განსაკუთრებით — იაკობისა. ბიზანტიაში კი ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის წირვები სრულდებოდა (კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 580—583. 1980 წ.).

კესარია-კაბადუკიის მთავარეპისკოპოსმა ბასილი დიდმა (დაახლ. 330—379 წწ.) რედაქციულად დაამუშავა და გაამდიდრა წმ. იაკობ მოციქულის წირვა.

კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსმა იოანე ოქროპირმა (324—407 წწ.) თავის მხრივ დაამუშავა ბასილი დიდის წირვა, შეამცირა მასში საიდუმლო ლოცვები და შეცვალა ზოგიერთი მათგანი.

დიდი მარხვის ოთხშაბათ-პარასკევს შესასრულებლად რომის პაპმა გრიგოლ დიალოღონმა (დაახლ. 540—604 წწ.) დაწერა სპეციალური წირვა. მას ეწოდება „პირველ განწმედილის“ ანუ „პირველ შეწირულის“ წირვა. ძველი ქართული სიტყვა „პირველ“ ნიშნავს: „ადრე“, ე. ი. ეს წირვა წარმოადგენს ადრე (წინასწარ) შეწირული ძღვნის შეწირვას.

წირვის წესების კრებულს ეწოდება **კონდაკი.** წირვის დროს გამოიყენება, აგრეთვე, **სახარება, სამოციქულო** და **საგალობელთა კრებულები.**

კონსტანტინეპოლური წირვების (ბასილი დიდისა **და** იოანე ოქროპირის) შინაარსი მოთხრობილია ჩვენი **ჟურნალის, 1979**



წლის პირველ ნომერში. იხ. დიაკონ რაფაელ (გია) მაჩაბლის წერილი „წირვა — მართლმადიდებელ ეკლესიაში“ გვ. 42—43.

ლოცვა, ბასილი დიდის განმარტებით, არის „უბნობა კაცისა ღმერთთან“ (საქართველოს მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის A 81 ხელნაწერი, — ღირსი მამის ბასილის სწავლანი ლოცვისათვის). ლოცვა სხვადასხვა შინაარსისაა: სადიდებელი, სავედრებელი, სამადლობელი. ამასთან, იგი ორგვარია: პირადი და საზოგადო (საერთო).

ყოველი მორწმუნე ვალდებულია შეასრულოს ყოველდღიური პირადი ლოცვები, როგორიცაა დილის, საღამოს ლოცვები, ლოცვა სადილის, ან ყოველი საქმის უწინარეს სათქმელი და სხვა.

საზოგადო ლოცვები სრულდება ეკლესიაში. მისი სახეებია:

— **ჟამნობა** (არსებობს I, III, VI, IX, სადილის, შუაღამის, სამეუფეო ჟამნები).

— მ წ უ ხ რ ი.

— ც ი ს კ ა რ ი.

— დ ი დ ი დ ა მ ც ი რ ე ს ე რ ო ბ ა.

ჟ ა მ ი დროის გარკვეულ მონაკვეთს აღნიშნავდა, მას შეესაბამება თანამედროვე „საათი“. I, III, VI, IX „ჟამები“ დღე-ღამის გარკვეული დრო იყო, და თითოეულ მათგანს თავისი ლოცვა („ჟამნი“) შეესაბამებოდა. ლოცვისათვის საგანგებოდ ამ აღნიშნული დროების შერჩევა და არა სხვა რომელიმესი, დაფუძნებული იყო ახალი აღთქმის საღმრთო წერილზე. კერძოდ, მესამე ჟამს მოხდა სულიწმიდის გარდამოსლვა მოციქულებზე („საქმენი წმიდათა მოციქულთანი“ 2,1—15), მეექვსე ჟამს — მაცხოვრის ჯვარცმა (მარკოზი 15, 33), მეცხრე ჟამს — მაცხოვრის სულის განტევება ჯვარზე (მათე 27, 46—50).

თანამედროვე ღვთისმსახურებაში ჟამნების კითხვა შემდეგნაირადაა განაწილებული:

— პირველი ჟამნი იკითხება საღამოთი, ცისკრის ლოცვის შემდეგ.

— მესამე და მეექვსე ჟამნი იკითხება დილით, ერთმანეთის მიყოლებით, წირვის დაწყებამდე.

— მეცხრე ჟამნი კი წინ უძღვის მწუხრის ლოცვას (საღამოთი).

— შუაღამის ჟამნი („შუაღამიანი“) სამრეველო ტაძრებში არ სრულდება (გამონაკლისია აღდგომის სპეციალური „შუაღამიანი“, რომელიც სააღდგომო ლიტონიობის დაწყებამდე იკითხება), მონასტრებში კი კითხულობენ ღამის თორმეტ ან პირველ საათზე, მონასტრის ტიბიკონის მიხედვით.

— სამეუფეო ჟამნები ეწოდება I, III, VI და IX ჟამნების თანმიმდევრულ კითხვას, რომელიც დაწესებულია დიდ პარასკევს (ვნების შვიდეულში), აგრეთვე, შობისა და ნათლისღების დღესასწაულთა წინა დღეებში. სამეუფეო ჟამნების თავისებურებაა ის, რომ თითოეულ ჟამნში (I, III, VI, IX) ჩართულია სათანადო საკითხავები (საწინასწარმეტყველო, სამოციქულო და სახარება).

— სადილის ჟამნი სრულდება დიდი მარხვის ზოგიერთ დღეს. I, III, VI, IX ჟამნების კითხვის წესი ორგვარია, — სამარხვო და სახსნილო.

მარხვის წესით (მარხვის ტიბიკონით) ჟამნები იკითხება დიდი მარხვის სადაგ დღეებში, დანარჩენ დღეებში კი, — ბრწყინვალე შვიდეულის გამოკლებით, — ჟამნი „სახსნილო“ ტიბიკონით იკითხება. ტერმინ „სახსნილოს“ ჩვენ ვხმარობთ პირობითად, რადგან ამავე ტიბიკონით ვკითხულობთ ჟამნს დიდმარხვის შაბათ-კვირეებში და სხვა მრავალდღიან და ერთდღიან მარხვებში (მარიამობის, პეტრე-პავლობისა და ქრისტეს შობის მარხვები, ოთხშაბათ-პარასკევი, — გარდა მსგეფსებისა და სხვა). არსებობს, აგრეთვე, სპეციალური „აღდგომის ჟამნი“, რომელიც იგალობება ბრწყინვალე შვიდეულის დღეებში, თითოეული ჟამნის ნაცვლად.

I, III, VI, IX ჟამნების, აგრეთვე, სადილის ჟამნის, შუაღამიანისა და აღდგომის ჟამნის ტექსტები შეტანილია საღვთისმსახურო კრებულში, რომელსაც, აგრეთვე, „ჟამნი“ ჰქვია; სამეუფეო ჟამნები კი შეიძლება მოვძებნოთ „მარხვანსა“ (დიდი პარასკევისა) და „სადღესასწაულოში“ (შობისა და ნათლისღების წინადღეებისა). ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომრებში მიმოვიხილავთ ყველა საღვთისმსახურო წიგნს, მათ შორის — ჟამნს, მარხვანსა და სადღესასწაულოს.

„მწუხრი“ ანუ მწუხრის ლოცვა სრულდება საღამოობით (მწუხრზე, შებინდებისას). არსებობს „დიდი“ და „მცირე მწუხრის ლოცვები. „დიდი მწუხრი“ სრულდება დიდი დღესასწაულებისა და კვირა-დღეების წინა-საღამოს. „მცირე მწუხრი“ კი — სადაგ (საღა, უბრალო) დღეებში.

დღესასწაულებზე მწუხრის ლოცვაში ხშირად ჩაერთვის საწინასწარმეტყველოები და პურის კურთხევის წესი.

„ცისკარი“ ანუ ცისკრის ლოცვა, ძველი სამონასტრო პრაქტიკის მიხედვით, სრულდებოდა განთიადისას, მზის ამოსვლამდე, მაგრამ რადგან სამრეველო ტაძრებში ამ დროს ლოცვა მოუხერხებელი იყო, ცისკრის ლოცვა გადაიტანეს წინა-საღამოს, როგორც მწუხრის ლოცვის გაგრძელება.

ცისკარი, მწუხრის მსგავსად, ორგვარია, — „დიდი“ და „მცირე“, — იმისდა მიხედვით, დღესასწაულის თუ უბრალო დღეების ცისკრად იღოცება.

დიდი და მცირე ცისკრის ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავებაა ის, რომ დიდ ცისკარზე სახარება იკითხება და მცირეზე — არა. როცა დიდ მწუხრს მოებმის დიდი ცისკარი, ასეთ ლოცვას ეწოდება „ღამისთევის ლოცვა“.

„მწუხრის“ და „ცისკრის“ ძირითადი ტექსტი წერია „ჟამნსა“ და „კონდაკში“. ჟამნი მედავითნის სახმარი წიგნია, კონდაკი — მღვდელმთავრის, მღვდლისა და დიაკვნისა. გარდა ამ წიგნებისა, მწუხრისა და ცისკრის ლოცვისას იხმარება საგალობელთა წიგნები: პ ა რ ა კ ლ ი ტ ო ნ ი (რ ვ ა ხ მ ა თ ა წ ი გ ნ ი), თ ვ ე ნ ი, ს ა ღ დ ე ს ა ს წ ა უ ლ ო, მ ა რ ხ ვ ა ნ ი დ ა ზ ა დ ი კ ი.

— პ ა რ ა კ ლ ი ტ ო ნ ი იხმარება მთელი წლის განმავლობაში; მასში საკითხავები გამოირჩევა ხმისა და შვიდეულის დღეების მიხედვით.

— თ ვ ე ნ ი ყოველდღიური საკითხავი წიგნია; შეიცავს წლის ყველა თვისა და რიცხვის შესაბამის „განგებებს“. განგება ანუ აკოლუთია (ბერძ. **ακολουθία**) ეწოდება ერთი რომელიმე დღის ღვთისმსახურებისათვის (მწუხრის, ცისკრისა და წირვისათვის) საჭირო წესებისა და სპეციალური საკითხავების კრებულს.

— ს ა დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ო ში წერია მხოლოდ დიდი დღესასწაულების **„განგებები“.**

— მ ა რ ხ ვ ა ნ ი მოიცავს დიდ მარხვის თითოეული დღის „განგებას“.

— ზ ა დ ი კ ი — ერგასის (აღდგომის მომდევნო ორმოცდაათ-დღიანი პერიოდის) თითოეული დღის „განგებებს“.

მწუხრისა და ცისკრის ლოცვებს აქვთ მნიშვნელოვანი თავისებურებები დიდ მარხვაში, ერგასში, ანუ ორმოცდაათში (აღდგომიდან სულთმოფენობამდე), აგრეთვე, ზოგიერთ სხვა დღესაც. ტიბიკონის ეს თავისებურებანი მითითებულია შესაბამის საღვთისმსახურო წიგნებში: დიდ მარხვისა — მარხვანში, ერგასისა — ზადიკში და სხვა.

საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ეგვიპტეში.

მთავარანგელოზი მიქაელი. მხატვარი რ. ადამია

მწუხრისა და ცისკრის ლოცვის შესრულება სავალდებულოა ყოველთვის, როდესაც მეორე დღეს საღმრთო ლიტურგია — წირვაა შესასრულებელი.

დიდი სერობა სრულდება დიდი მარხვის სადაგ დღეებში, აგრეთვე, სხვა დღეებშიც (შობისა და ნათლისღების წინა საღამოს, სულთმოფენობის დღეს, და სხვ.), როცა მწუხრის ლოცვა შესრულებული იყო დილით, უშუალოდ წირვის ან ქამნობის შემდეგ. ამრიგად, დიდი სერობა ილოცება მწუხრის დროს, — საღამოობით.

დიდი და მცირე სერობის ლოცვები წერია „ქამნში", ხოლო მათში ჩასართავი კანონები (საგალობლები) — **მარხვაში** (დიდ მარხვისა), ზადიკსა (ერგასისა) და სადღესასწაულოში (შობა-ნათლისღების წინა დღეებისა).

საეკლესიო წესები სრულდება მორწმუნეთა შეკვეთით მათი ცხოვრების მნიშვნელოვან ამბებთან დაკავშირებით. საეკლესიო წესები მრავალგვარია. აქ ჩამოვთვლით ზოგიერთ მათგანს:

— **ნათლისღება ანუ მონათლვა** — ესაა ერთ-ერთი საღმრთო საიდუმლოთაგანი, როდესაც ადამიანი სულიერად იბადება და შეწყნარებული იქნება წმიდა ეკლესიის წიაღში. ნათლისღების დროს ხდება მეორე საღმრთო საიდუმლოც — **მირონცხება.** ამით ადამიანს მიენიჭება საღმრთო მადლი და განმტკიცდება შემდგომი სულიერი ცხოვრებისათვის.

— **ზიარება** — ესაა მიღება უფლის ხორცისა და სისხლისა, რითაც მორწმუნე განიწმიდება სულითა და ხორცით და მიიღებს საღმრთო მადლს. ამდენად, ზიარებაც — ერთი საღმრთო საიდუმლოთაგანია. იგი, როგორც წესი, სრულდება წირვის დროს, მაგრამ მძიმე ავადმყოფების ზიარება შეიძლება სახლშიც.

ქორწინებაც საღმრთო საიდუმლოა. იგი შეუღღებულ ქალვაჟს ჰკრავს საღმრთო კავშირით. არსებობს, აგრეთვე, მეორე ქორწინების წესი, რომელიც სრულდება მღვდელმთავრის, ან პირადი მოძღვრის საგანგებო ლოცვა-კურთხევით.

— **პარაკლისი** — ესაა ლოცვა ცოცხალთათვის, მათი ჯანმრთელობისა და ცხოვნებისათვის. არსებობს პარაკლისი თითოეული წმიდანის მიმართ. ამ შემთხვევაში მივმართავთ ამა თუ იმ წმიდანს, რათა გვიშუამდგომლოს უფალთან და გარდამოგვევლინოს საღმრთო მადლი. არის, აგრეთვე, პარაკლისი მაცხოვრისა (იესო ტკბილისა). ამ პარაკლისით მივმართავთ უშუალოდ უფალს. სპეციალური პარაკლისები არსებობს მრავალგვარი: საახალწლო, სწავლის დაწყებისა, მთავრობისა და ერისა, თითოეული საუფლო დღესასწაულისა, ბრძოლის დაწყების წინ მტერთა წინააღმდეგ, ავადმყოფისა, სამადლობელი, უწვიმრობისა, ავდრისა, რღვნისა, მგზავრობისა, საბრძოლო გემის კურთხევისა, სამხედრო დროშის კურთხევისა, სამხედრო საჭურვლის კურთხევისა, ხომალდის კურთხევისა, ახალი ჭის კურთხევისა, საშინელი სრვისა (ანუ გადამდები ავადმყოფობის ფართოდ გავრცელების დროს) და სხვა.

— **მიცვალებულის წესის აგება, ანუ ანდერძი** — სრულდება ქრისტიანი (მონათლული) ადამიანის დაკრძალვის დღეს. არსებობს ანდერძის სპეციალური წესები მღვდელთათვის და ბერ-მონოზონთათვის, — ისინი ერისკაცის ანდერძის წესისაგან საკმაოდ განსხვავდებიან და უფრო ვრცელიცაა. გარდაცვალებული ჩვილის წესსაც აქვს თავისებურებანი; და ბოლოს, თუ მიცვალებულის დაკრძალვა ბრწყინვალე შვიდეულში ხდება. ანდერძი სრულიად სხვაგვარი, — სააღდგომო წესით სრულდება.

— **პანაშვიდი** — ესაა ლოცვა მიცვალებულთათვის. იგი სრულდება თითოეული მიცვალებულის ორმოცზე, წლისთავზე და მიცვალებულთა საზოგადო მოხსენების დღეებში (ხორციელის შაბათი, სულის შაბათი ანუ სულთაობა, დიმიტრის შაბათი და სხვა).

— **ზეთის კურთხევა და ცხება** — სრულდება მძიმედ სნეული ადამიანის საკურნებლად. შეიკრიბება შვიდი მღვდელი, ერთობლივად ილოცებენ სნეულისათვის და სცხებენ ზეთს. ზეთის კურთხევა ერთ-ერთი საღმრთო საიდუმლოთაგანია.

— **აღსარება** — ესაა ცოდვების აღიარება მოძღვრის წინაშე. აღსარებას უნდა აუცილებლად ახლდეს სინანული. მღვდელი წაიკითხავს შენდობის ლოცვას და ამით მორწმუნეზე გადმოდის ღვთის კურთხევა და ლოცვათა შენდობა. სინანულიც ერთ-ერთი საღმრთო საიდუმლოთაგანია*.

— **ეკლესიის კურთხევა.** ეკლესია არის სახლი ღვთისა, სადაც მორწმუნენი იკრიბებიან ქრისტეს სახელით და სადაც მლოცველებზე უხილავად გადმოდის საღმრთო მადლი. ეკლესიის კურთხევის უფლება აქვს მხოლოდ ეპარქიის მღვდელმთავარს (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა" 1979 წ. № 1, გვ. 51).

— **სახლის კურთხევა** — ძველთაგან დადგენილია საეკლესიო წესი არამარტო ეკლესიის, არამედ ყველა საზოგადოებრივი და კერძო ნაგებობის კურთხევისა. სახლის კურთხევა აუცილებელია, როგორც აშენებისთანავე, ისევე ყოველი შეკეთების შემდეგ და იმ შემთხვევაშიც, თუ სახლი რაიმე არაწმიდებით (მაგალითად, მოჯადოებით) შეიბილწება („ლოცვა სახლსა შეგრძნებულსა").

— **დ ა ლ ო ც ვ ა ქ რ ი ს ტ ი ა ნ თ ა ყ ო ვ ე ლ ი ს ა მ ე უ რ ნ ე ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ი ს ა:** „ლოცვა თესლთა ზედა სათესავად", „ლოცვა კალოსა ზედა", „ლოცვა დანერგვასა ვენახისასა", „ლოცვა სთლობასა ვენახისასა", „ლოცვა ყანასა, ვენახსა და ბოსტანსა ზედა", „ლოცვა საკირის დაწვისა", „ლოცვა, უკეთუ არაწმიდა რაიმე შთავარდეს ჭურჭელსა ღვინისა, ზეთისა და თაფლისასა, ანუ სხვასა რასამე შინა", „ლოცვა ჭურჭელსა ზედა შეგინებულსა", „ლოცვა შეგინებულსა ხვარბალსა, და ფქვილსა და სხვასა რასამე ზედა", „ლოცვა სამწყსოსა ზედა", „ლოცვა აღმოთხრასა ჭისასა", „ლოცვა ნავის გაკეთებისა", „ლოცვა ბადისა", „ლოცვა სახლის საფუძვლის დადებისა", „ლოცვა შესლვასა ახალსა სახლსა შინა".

— მშობიარე ქალის დალოცვა („ლოცვა დედაკაცსა ზედა მშობიარესა, პირველსა დღესა შობისასა", „ლოცვა აღბეჭდვასა ყრმისასა დღესა მერვესა, ოდეს უწოდდენ სახელსა", „ლოცვა დედაკაცსა ზედა მშობიარესა, მეორმოცესა დღესა შობითგან", „ლოცვა დედაკაცსა ზედა, რაჟამს მუცელი წაუხდეს").

— ლოცვები ავადმყოფთათვის („ლოცვა ყოვლისა სნეულებისათვის", „ლოცვა სნეულთა ზედა, და სულთა არაწმიდათა კვეთებულთა", „ლოცვა სნებისათვის, სიყმილისა და ქამისა", „ლოცვა შვიდთა ყრმათა, სნეულსა ზედა უძილობისათვის", „ლოცვა სნეულსა ზედა წმიდითა ლახვრითა", „ლოცვა შეგინებულის მჭამელსა ზედა").

— ლოცვები ერისა და მამულისათვის („ლოცვა ვნებისათვის ერისა და სნებისათვის", „კანონი და ლოცვა მტერთა მბრძოლად ჩვენდა მომავალთათვის", „ლოცვა ქრისტესმოყვარეთა ერთათვის", „ლოცვა მთავრობისა და მხედრობისათვის").

— ლოცვები სტიქიურ მოვლენათაგან დასაცავად („კანონი და ლოცვანი უწვიმრობისანი", „კანონი და ლოცვა წვიმისაგან შემშვთავართათვის", „კანონი და ლოცვანი საშინელისა ძრვისათვის", „კანონი და ლოცვანი საშინელისა სრვისათვის", „ლოცვა საშინელისა ქუხილისა და ელვისათვის", „ლოცვა ავის-ქარისა და ღელვისათვის ზღვისა").

— კურთხევა წყლისა (დიდი და მცირე აიაზმა), მარილისა, წანდილისა, ყველისა, კვერცხისა, პირველი ხილისა, ყურძნისა, ახალი ღვინისა, და სხვა საზრდელისა.

— **კ ი რ თ ხ ე ვ ა ყ ო ვ ე ლ ი ს ა ე კ ლ ე ს ი ო დ ა პ ი რ ა დ ი ნ ი ვ თ ი ს ა.**

გარდა ზემოაღნიშნულისა, საეკლესიო წესები სრულდება წარმართობისა და მწვალებლობისაგან მოქცეული ადამიანებისათვის, სასწავლებლად გამზადებული ყრმებისათვის, შვილობილობის, ან ბერად აღკვეცის მსურველთათვის და ა. შ. უფლის სახელით იკურთხევა და დაილოცება ყოველი კეთილი საქმე, ყოველი კეთილი განზრახვა.

საეკლესიო წესების კრებულს ეწოდება „**კ ი რ თ ხ ე ვ ა ნ ი**". ზოგიერთი საეკლესიო წესი შეტანილია სხვა წიგნებშიც: ლოცვანში, სამღვდელმთავრო კონდაკსა და საეფრებელ გალობათა წიგნში.

---

* ზემოთ ჩამოთვალეთ შვიდ საღმრთო საიდუმლოთაგან ექვსი: ნათლისღება, მირონცხება, ზიარება, სინანული, ქორწინება, ზეთის კურთხევა. ამათ გარდა არის კიდევ ერთი საღმრთო საიდუმლო — **მ ღ ვ დ ე ლ ო ბ ა** (მღვდლის კურთხევა), როდესაც კეთილმსახურ ქრისტიან მამაკაცზე მღვდელმთავრის ხელდასხმით (თავზე ხელის დადებით) და სათანადო ლოცვების წარმოთქმით, გადმოდის საღმრთო მადლი მღვდელობისა. დიაკვნის, მღვდლისა და მღვდელმთავრის კურთხევა ხდება წირვის დროს.

მწირმონოზონი ეკვთიმე (კოპლამაზაშვილი)

საეკლესიო ფოტო

წმიდა ზიარება

კათოლიკოს-პატრიარქნა ი ლ ი ა II სინის წმ. მთაზე მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ
თავის რეზიდენციაში მიიღო ქართველი მეცნიერები და ესაუბრა მათ

ცხოვრების მატიანე

კათოლიკოს-პატრიარქ ი ლ ი ა II ქადაგება:
სინის წმიდა მთაზე

წირვა სიონის საკათედრო ტაძარში.
მირქმა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა, იესო ქრისტესი

ნაშრომი განძად დაშთების

თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში

შენს წმინდა სახეს,
შვენებათ სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვანცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერთხა!
მიხარის — გიმზერ,
ვჰსწუხვარ — და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვჰგრძნობდე,
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..
ყვავილოვანი
წალკოტი შენი,
შენის დიდების სხივ-მოკლებული,
აღარა ჰშვენის,
აღარ გვიბრწყინვის
შავ დროთა[1] ძალით, ფარ წახდენილი!..
და, ვით განვლილსა
სიზმარსა ტკბილსა,
მზეს დიდებულად ჩასვენებულსა,
ვიგონებთ შენს დროს,
გული გვიმაგროს,
სრულად არ წავჰსწყდეთ ცის შემრისხავნი!
ხნით დამაშვრალი,
დაღონებული,



ბეთანიის მონასტერი

შენადვე, მეფევ, მოველ ვედრებით:
მოხედო ბედრკულს
შენს სატრფოს-მამულს,
და ჯვარით[2] შენით აკურთხო კვალად.
შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,
წმიდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!
ზნე-ამაღლებით,
ძლევის დიდებით,
სამშობლო მიწის სიყვარულითა! —
და გაგვიცოცხლდეს,
რომ კვლავც მოგვესმეს
სიტყვა ქართული რუსთაველისა.
რომ განვიღვიძნეთ,
სულით განვახლდეთ,
და განქრეს ბნელი უმეცრებისა!..
... მარამ ცად თვალნი
გაქვს მიქცეულნი,
და მე ვეღარ მცნობ გულ-შემუსვრილსა,
დამცირებულსა,
ხმა-მიღებულსა,
ბედ-დაკარგულის ივერიის ძეს!
ეჭვით აღვსილსა,
უსასოდ ქმნილსა,
გულ-უიმედოს, გაუხარებელს!.
ვაჰ თუ რაც წახდეს,
ვეღარა აღჰსდგეს,
ვეღარ აღყვავდეს ახლის შვენებით?
და რაც დაეცა,
ის წარიტაცა
შავმან ყორანმა ვით უმწე მსხვერპლი!
ჰე, ცრუ სოფელო,
დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?
დიდება ჩვენი,
ცად სხივ-მიმფენი,
ნუთუ ესღა გვაქვს, ვჰხედავთ რასაცა?
დაყრუებულსა,
გზა შეუვალსა,
უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს,
სად სახე მეფის,
სჩანს ძველს კედელზე გამოხატულად!..
ღიდის თამარის.

გრიგოლ ორგელიანი

---

1. შემოსვლა ლანგ-თემურისა დ შაჰ-აბაზისა, რომელთა საშინლად გააოხრეს ჩვენი ქვეყანა. ქართველთა დაარქვეს შავი დრო ამათ შემოსვლასა.

2 როდესაც საქართველოს ჯარი შეიყრებოდა სალაშ-ქროდ, თამარ მეფე თვით აკურთხებდა მას ჯარსა ჯვარითა.

„ДЖВАРИ ВАЗИСА“

(Крест из виноградной лозы)

В первой половине сего года в жизни Грузинской Православной Церкви произошли два знаменательных события. Первым из них было поломничество Святейшего и Блаженнейшего Илии II, Католикоса-Патриарха всея Грузии в Египет и на Синайскую Святую Гору, где он поклонился Синайским святыням. Вторым событием явилось 800-летие коронации великой царицы Тамар, почитаемой в лике святых Грузинской Церкви.

Журнал широко освещает эти два важных события.

На первой странице, предопределяющей тематическое направление журнала, помещена молитва Католикоса-Патриарха Илии II, вознесенная им на Синайской Святой Горе. К тексту приложены фотоиллюстрации.

Под общим заглавием «Мир всем» объединены письма, статьи, информации.

Как известно, история взаимоотношений между Грузией и Египтом, имевшая место задолго до Рождества Христова, уходит в глубь веков. Египет со своей разнообразной природой, свойственным ему философским духом, часто по сей день недоступным, зачастую совершенно непостижимым искусством или же библейскими чудесами, всегда привлекал внимание соседних государств и отдельных мыслителей. В то же время Египет является страной, где возвысился христианский дух. Из находящихся здесь многочисленных святых мест, самым дорогим для нас является Синайская Святая Гора, где пророком Моисеем были получены от Бога 10 Заповедей и где, начиная с VI века (по мнению некоторых ученых с IV в.), служили Господу Богу святые отцы-грузины.

В связи с этим велико значение посещения паломниками Грузинской Православной Церкви Египта и Синайской Горы.

Святейший Патриарх Илия II прибыл в Египет по приглашению Его Блаженства Николая VI, Папы и Патриарха Александрии и всея Африки. В журнале помещены несколько писем, касающихся этого события, дается обширная информация — «Паломники Грузинской Православной Церкви в Египте», письмо Митрополита Константина (Меликидзе) — «Египетские впечатления».

Здесь же помещена проповедь Католикоса-Патриарха Илии II — «Синайская Святая Гора», которую он произнес по возвращении из Египта в Сионском Патриаршем соборе.

Эти письма объединены под общим заглавием: «Да любите друг друга».

Под рубрикой «Из прошлого» помещено письмо Епископа Христофора (Цамалаидзе) — «Некоторые сведения из истории взаимоотношений Грузии с Египтом, из которого читатель, согласно историческим материалам, приводимым как грузинскими, так и иноземными летописцами, сможет узнать о взаимосвязи этих двух древнейших стран.

Как уже отмечалось, в текущем году исполнилось 800 лет со дня коронации великой царицы Тамар, причисленной к лику святых Грузинской Церкви. Царица Тамар, фресками, изображениями которой освещены церкви Грузии, о святости и доблести которой существует множество легенд и преданий (не говоря уже о литературных произведениях, и, в частности, о гениальном творении мирового поэтического искусства, поэме Шота Руставели «Витязь в Тигровой шкуре», которая была создана в эпоху царствования святой Тамар и посвящена ей), была личностью, под мудрым предводительством которой достигли расцвета Грузия и Грузинская Православная Церковь.

Грузинский народ святой любовью запечатлел в сердце своем память о своей прекрасной матери — царице Тамар. В лике царицы Тамар воочию воссоединилась истинная мудрость великого государственного деятеля, моральная светлость и религиозная чистота. Она была одарена и поэтическим талантом.

До наших дней дошли созданные с высоким поэтическим мастерством глубоко-философские ямбы, принадлежавшие царице.

В журнале напечатано письмо выдающегося грузинского писателя и ученого Павле Ингороква о литературном значении ямбов Тамар. Здесь же печатается песнь, созданная на один из ямбов Тамар. Автором является композитор Ш. Шилакадзе.

Под рубрикой «Поэзия» в журнале печатаются стихи Архиепископа Тадеоза и М. Чахава.

«Молебен»... Под этим заголовком, читатель знакомится с письмом М. Сумбадзе, в котором поэтическим вдохновением автора открывается верность и любовь жен-мироносиц к Пресвятой Богородице.

Здесь же напечатаны две проповеди Епископа Зосимы: «Равноапостольная святая Нина» (IV в.) и «День прощения и искушения».

В мае сего года во время пребывания в обители Давида Гареджийского неожиданно скончался профессор Иванэ Лолашвили. Вся научная работа покойного была связана с древнегрузинской духовной литературой. Грузинская Православная Церковь с глубокой скорбью восприняла кончину профессора И. Лолашвили. Под заголовком «Профессор Иванэ Лолашвили» в журнале печатается письмо Н. Папуашвили.

Прощальное письмо посвящается также скоропостижно скончавшемуся Г. Болгашвили, пресвитеру Грузинской Общины Евангелистских Христиан-Баптистов.

Здесь же читатель ознакомится еще с одним прощальным письмом. Оно посвящено шестерым грузинским альпинистам, молодым людям, которые погибли во время восхождения на сложнейшую высоту Ушба (Кавказ). На сороковой день трагической гибели альпинистов в Патриаршем Соборе Сиони была отслужена панихида, которую совершил Святейший и Блаженнейший Илия II.

«Во исцеление людей». Под этой рубрикой, в письме рассмотрены некоторые вопросы истории грузинской церковной медицины. Автор — врач-референт Грузинской Патриархии Е. Барамидзе.

Словарь и толкование для журнала составлены монахом Екатимием (Кочламазашвили).

„DJVARI VAZISA"

(Gaoss of Vine)

Two main facts were marked in the first half of the current year. The first one was the visit of His Holiness and Beatitude Ilia II, Catholicos-Patriarch of All Georgia to Egypt and Mount Sinai... seeing the sanctaties of Sinai and celebrating the 800 anniversary of enthronement of the Great King-of-Kings, St. Qween Thamar... the journal fully covers these two important facts:

The journal opens with the prayer of the Gatholicos-Patriarch said on the Holy Mount Sinai ... where Moses recieved the ten commandments from God.

Letters, articles and various information is printed under the common title „Peace to All".

It's quite well known, that the relations between Egypt and Georgia started many centuries ago B. C. ... Egipt with its fascinating nature, spirit and often completly mysterious art, or Biblical miracles, was always attrecting minds and thoughts of many peoples. At the same time, it was the country, where the Christian spirit was risen... and among all the Holy places existing there, the Mount Sinai was always mostly dear for us, where Georgian monks lived and served, begining from the 6th century and even earlear (some scholars mention the 4th century). That's why the visit of the representatives of Georgian Church to the ARE was of such a great importance.

His Holiness and Beatitude Ilia II, visited Egypt on the invitation of His Beatitude Nicholas VI, Pope and Patriarch of Alexandria and All Africa. The two articles cover this visit: „Georgian Church Delegation in Egypt" by B. Gagua, Secretary of External Relations Department of the Patriarchate and „Impressions of Egypt" by H. E. Constantin, Metropolitan of Urbnisi, who were the members of the delegation.

The preaching of the Catholicos-Patriarch „On the Holy Mount Sinai", delivered at Sioni Patriarchal Cathedral after the return from Egypt, is also printed here. All this information carries the common title „To Love Each Other". This section of the journal gives also the information concerning the history of Egyptian-Georgian relations author, Bishop Christephor (Tsamalaidze).

This year, the 800 anniversary of enthronement of the Great Qween Thamar, whose image is immortalized in numerous frescos of many Georgian churches and monasteries, was celebrated here. Her sanctity and power is depicted in many stories and legends, not mentioning the works of literature and particularly the world-famous masterpiece of poetry „The Knight in Panther' s Skin". It was created during the reign of the Qween and dedicated to her. The voice of nation is the only righteous judge and the Georgian nation carried the heartfelt love of St. Qween Thamar through the centuries, love towards the person who strengthened and rised her kingdom and church, being image of wisdom, moral light and religious purity. "Poetry"—some verses by Archbishop Thadeos (Ioramashvili) anS M. Chakhava are printed here.

„Entreaty"—under this title is represented a letter by M. Sumbadze, where deepest love and devotion to Mether of God and Myrrhbearing Women is given. Here are also two preachings by Bishop Zosime (Shioshvili) „St. Nino — the Right to Apostles" and „The Day of Mercy and Forgivness".

A letter „Prof. I. Lolashvili" by N. Papuashvili, dedicated to the distinguished scientist who devoted his whole life to the hygeographical literature, is published in the journal. He suddenly died in David Garedji monastery, where he led a scientific research in May of 1984, and whose sudden departure brought a great sorrow to the hearts of Georgian belivers.

The parting letter about the leader of Georgian Baptists, G. Bolgashvili, is also published in the journal.

Readers will be able to read one more parting letter about six young alpinists, di ed in the mountains while escending the most high mountain in the region, Ushba. His Holiness and Beatitude Ilia II himself conducted the last service to their memmory.

„For the Men's Care" = a very informative review on the history of medical treatment in Georgian Church by Dr. E. Baramidze, the Referent of the Patriarchate. The issue is supplied with dictionary and comments by Monk Ekvtime (Kochlamazashvili).



წმიდა მოწამე ა ბ ო ტ ფ ი ლ ე ლ ი,
ხაბინინის ალბომიდან

შინაარსი

ლოცვა, რომელი ვთქვი მე ცოდვილმან, მდაბალმან ილია II, კათოლიკოს-პატრიარქმან სრულიად საქართველოჲსა, წმიდასა სინის მთასა ზედა 5

მშვიდობა ყოველთა

საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ეგვიპტეში 8

მიტროპოლიტი **კონსტანტინე** (მელიქიძე). მოგზაურობის შთაბეჭდილებანი . . 14

ქადაგებანი

ილია II, კათოლიკოს-პატრიარქი. სინის წმიდა მთაზე 20

ეპისკოპოსი **ზოსიმე** (შიოშვილი). დედაო ნინო, დღე შენდობის და პატიების . 23

პავლე ინგოროყვა. თამარ მეფის იამბიკონი . . . 28

პოეზია

მთავარეპისკოპოსი **თადეოზი** (იორამაშვილი). იყვნენ დიდნი, დიდნი სულნი . 35

მ. ჩახავა. ლოცვა მამა ღმერთისადმი 35

საგალობელნი

შ. შილაკაძე. „ცასა ცათასა“ 36

მ. სუმბაძე. სავედრებელი ღვთისმშობლისა და მენელსაცხებლე დედათადმი 39

გამოსათხოვარი

პროფესორი ივანე ლოლაშვილი 41

პრესვიტერი გიორგი ბოლოდაშვილი 41

ნეტავ, რა ზნე სჳირს სიკვდილსა 42

წარსულიდან

ეპისკოპოსი **ქრისტეფორე** (წამალაიძე). ზოგი რამ ეგვიპტე-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან 45

განკურნებისათვის კაცთა

ე. ბარამიძე. ქართული საეკლესიო მედიცინის ისტორიიდან 51

ლექსიკონი დაგანმარტებანი

მწირმონოზონი **ეკვთიმე** (კოპლამაზაშვილი). საეკლესიო ღვთისმსახურების სახეები 57

ნაშრომი განძად დაშთების

გრიგოლ ორბელიანი. თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში 60

რეზიუმე რუსულ ენაზე 61

რეზიუმე ინგლისურ ენაზე

საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე — მიტროპოლიტი **კონსტანტინე** (მელიქიძე).

ჟურნალის რედაქტორი — **თ. გურიელი.**

საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, 1984 წ.
სიონის ქ. № 4. ტ. 72-24-27.
ტირაჟი 1 000, შეკვ. 1873.

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. № 19.

Грузинская патриархия.
«Джвари вазиса (Лозовый крест) № 1, 1984 г.
Тираж 1000, зак. 1873.
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.

ქართული ანბანი

Ⴀ	ⵓ	ᲐᲐ	a	1
Ⴁ	ⵔ	ᲑᲑ	b	2
Ⴂ	ⵗ	ᲒᲒ	g	3
Ⴃ	ⵘ	ᲓᲓ	d	4
Ⴄ	ⵙ	ᲔᲔ	e	5
Ⴅ	ⵚ	Ⴓ	v	6
Ⴆ	ⵛ	Ⴔ	z	7
Ⴇ	ⵜ	Ⴕ	ē	8
Ⴈ	ⵝ	Ⴖ	t	9
Ⴉ	ⵞ	Ⴗ	i	10
Ⴊ	ⵟ	Ⴘ	ḳ	20
Ⴋ	ⵠ	Ⴙ	l	30
Ⴌ	ⵡ	Ⴚ	m	40
Ⴍ	ⵢ	Ⴛ	n	50
Ⴎ	ⵣ	Ⴜ	j	60
Ⴏ	ⵤ	Ⴝ	o	70
Ⴐ	ⵥ	Ⴞ	ṗ	80
Ⴑ	ⵦ	Ⴟ	ž	90
Ⴒ	ⵧ	Ⴠ	r	100

Ⴓ	⵨	Ⴡ	s	200
Ⴔ	⵩	Ⴢ	ṭ	300
Ⴕ	⵪	Ⴣ	y	
Ⴖ	⵫	Ⴤ	u	400
Ⴗ	⵬	Ⴥ	p	500
Ⴘ	⵭	⴦	k	600
Ⴙ	⵮	Ⴧ	ɣ	700
Ⴚ	ⵯ	⴨	q̣	800
Ⴛ	⵰	⴩	š	900
Ⴜ	⵱	⴪	č	1000
Ⴝ	⵲	⴫	c	2000
Ⴞ	⵳	⴬	ʒ	3000
Ⴟ	⵴	Ⴭ	ḍ	4000
Ⴠ	⵵	⴮	č̣	5000
Ⴡ	⵶	⴯	x	6000
Ⴢ	⵷	ⴰ	q	7000
Ⴣ	⵸	ⴱ	ǰ	8000
Ⴤ	⵹	ⴲ	h	9000
Ⴥ	⵺	ⴳ	ə	10000